



1873

ՀՈՅԱԿԱՆ ՊՈՅԱՐԾՈՅ

ქრისტიანობი

სალიტერატურო ჟურნალი

გამოიცემის

ჩემი წლიდამ

1873

გევალი 70860

თვეილისი

მელიქიშვილის და ამხ. სტამბა

1873

Дозволено цензурою. Тифлисъ, 17 Сентября 1873 г.

მეშვიდე წიგნის შინაარსი

ვვერ.

I.—კილოს მიმოქცევა (პლეშჩევიდან)	ლექსი	1.
II.—ქართული სახალხო პოეზია, გლეხუ- რი სიმღერები, ლექსები და ანდაზები შეკ- რებილი რაფ. ერისავისაგან	6	
III.—ეგმონტი, გოტეს ტრაგედია (დასასრუ- ლი) ნათარგმნი გ. წერეთლისა	31.	
IV.—გლეხური სიმღერა (ილ. ჭავჭავაძის შეკრებილთაგანი)	170.	
V.—ჩემ პიროვნობაზე, პოლემიკური სტა- ტია ნ. სკანდელისა	171.	

171 ପ୍ରକଳ୍ପିତ । ଗାସାମ୍ବଦ୍ଧ ନିଯାମିତ ଉଲ୍ଲଙ୍ଘନ କରିବାରେ

134 (ଜମାଖାରାଟିକା) 4 ଲାଲା, ତକିଯା, କାଳା, ଅଫିଲ୍.

131 କୁଣ୍ଡଳ ପରିଷର ପରିଷର । କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା

228 କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା

120 (ଜମାଖାରାଟିକା) କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା

83 କାହାରେ କାହାରେ କାହାରେ କାହାରେ କାହାରେ କାହାରେ କାହାରେ

1873 ଫେବୃଆରୀ ଥିଲୁଗିଲୁଗି ଥିଲୁଗିଲୁଗି ଥିଲୁଗିଲୁଗି

ଜିଲ୍ଲା ମନୋରତ୍ନମା.

(ବ୍ୟାକିକାଳୀନ)

ବୀରାପ ଲାଗେଶ୍ଵରନାଥ ଘଟାକ୍ଷେ ବ୍ୟାକିକାଳୀନ,
ବୀରାପ ହୃଦୟ ମନୁରିକେ ଅଲାର କାରତ ଫଳେଶ,
ପ୍ରତ୍ୟେଲାଶ ଗୁଣିତାଦ୍ୱାରା ସାମାଜିକ ଧିଗ୍ନ୍ୟାନଙ୍କ
ଲାଭ ମନ୍ଦିରପ୍ରାଚୀ ତାନ ଆଶାଲୀଶା ଫ୍ରେଣ୍ଡୀ,
ଲାଭ କୁଳାମି ଅଥ ହୃଦୟ ମନ୍ଦିରପ୍ରାଚୀ
ମୃଦୁଲୀଙ୍କ ନୀତିମା ତାନ ଫାରିତାପ୍ରକାଶ,—
ଲାଭ ତକ୍ଷେଣ; ଫାଲ୍ଗୁନୀଯିଶ ପ୍ରତ୍ୟେକିତାଦ୍ୱାରା
ମନୁରିକେ କ୍ଷେତ୍ରକାନ୍ତି ମନ୍ଦିରପ୍ରକାଶ!

ଯୁଦ୍ଧାଶ ବୀରାପ ମତିରିନ ଉତ୍ତରାତ୍ମନେବା,
ବୀରାପ ଅଲ୍ଲାଦଗ୍ଧେବି, କ୍ଷେତ୍ରକ ମନ୍ଦିରପ୍ରକାଶ
ଲାଭ ମନୁରିନେବିତାଦ୍ୱାରା ତାଙ୍କେ କରା ଯୁଦ୍ଧା
ହୃଦୟଲେଖରିଗୁରୁଶା ମାତ୍ର ସାମାଜିକାଦାଶ,—

კრებული

ყველას გიგზავნი ამავ სალამსა
 და ვისურეი, რომ წელსაც ახალსა
 მოეცეს თქვენთვის ძალა ბრძოლისა,
 უბედობაშიც სიმხნე სულისა!

II

ზალა გაივსო დღეს კაცებითა...
 აქ ყველაფერი სიმდიდრით ელავს!
 და ერთმანერთსა აღტაცებითა
 ყველა ახალსა წელსა ულოცავს,
 რა ზომიერად, რა ზრდილობითა
 და თავ-დაჭერით არიან ამ დროს!
 გამოწყულია სულ დრამობითა
 სიტყვა, მამოხრა ამ მოლოცვის დროს!
 თარჯ-საუცხოვო და რა ნაზია
 აქ ყოფა-ჭყევა და საუბარი:
 არც ერთს აქ მყოფსა არ უკადრია
 ფიცხი მიმოხრა, ან ხმა მაღალი!...
 უცებ იქუხა ბალის მუზიკამ,
 ლაპარაკისა ჭმა ალარ ისმის;

ოჲ, რა მეწყინა!.. არ დაშაცალა
ყურის-დაგდება ბრძნულ მუსაიფის.

თორემ დილამდის ლმობიერებით
სულ ვისმენდი აქ ამათ ყბეღობას
მაზედ, თუ როგორ წახდა ზნეოპით
ახალ-გაზღობა ამ ჩვენს დროებას.

აი მოხუცი, თეთრ თწით შემყული,
რა გულ-მხურეალედ დარღობს იმასა,
რომ: „ყმაწვილები გარდარეულან;
„არ აფასებენ... ჩინსა და ჯვარსა!

„რაც წმინდა იარის და მშენიერი,
„ყველას ისინი ლაფითა სერიან;
„და ჩვენ მეტადრე მას უნდა ესწუხდეთ,
„რომ ისინი ზნით წამხდარ არიან.

„ყველა მათგანი ჩემლბს გრაკხობას,
„იგონებს გლეხის უბედურებას
„და კანონითა დედა-მიწაზედ
„გლეხებსაც ჩვენებრს აძლევს უფლებას!“

კრებული

ოქროს პირი აქვს უთუოდ ამ კაცს!
სიხარულითა გული მიფეთქავს,
როს მაგონდება, რომ მრთელ წელიწადს
უნდა ვუყურო ამგვარ საუბარს.

III

არ დაივიწყო, რომ ვალი გადევს
მისი, ვინც ობლად, ღარიბად არი,
ვისც გაჭირების უღელი აწევს,
ვინც მწუხარეა, მჭლედა ფერ-მკრთალი!
არ დაივიწყო, რომ ზეცამ მსგავსი
მოგცათ თრივეს წმინდა უფლება
მაზედ, რითაც არს ეს დღე ძვირფასი,
რაც არს ამ სოფლის კმაყოფილება!

არ დაივიწყო ის მოწამებიც,
ვისაც გვირგვინი ეკლის დაზდეს,
როცა ისინი ხალხს გზას უკელვდნენ —
რომ აღორძნდესო, ახალ გზას დაჭდეს!
დაწუგმურს, ძმაო, რომ შენს სახლშინა.

დაქანცულებსა წმინდა ბრძოლითა
ტანჯვის მალაშო, ღელვის დროს ბინა
მჩიცე ერთგულის, ძმურის ხეევნითა!

პართული სახალხო პოეზია.

(გლეხური სიმღერები, ძველი მესტვირული ლექსები
და მდაბიური ანდაზები.)

ამ უკანასკნელ დროში, ზოგიერთთა
პირთა განიძრახეს დიახ სასარგებლო და
ჩვენთვის სასიამოვნო აზრი: ძველებური მდა-
ბიური სიმღერების, ლექსების და ანდაზების
შეკრება, რომელნიც გლეხებმა და სხვათა-
მრავალთა ჯერჯერობით ზეპირათ იციან და
წერილით კი არსად გვევულვება.—ყოველი
მოყვარული მშობლის დედა-ენისა და ქარ-
თულის ლიტერატურისა უნდა დაეჩქაროს და
იმეცადინეოს შეკრებისათვის ესე გვართა,
ვიდრე იგინი, ჯერ კიდენ, სრულებით არ
დავიწყებია ხალხსა.

ილია ჭავჭავაძემ გვიჩვენა რაოდენიმე
ნიმუში გლეხების სიმღერებისა და ვ. უმიკა-
შვილი კი ამზადებს ცალკე გამოსაცემათ

მისგან შეგროვებულს ძველს სიმღერეებს და ჩეენც მოუთმენლათ მოველით ამ გამოცემას.

ურიგო არ იქნება, რომ სიმღერეების შემკრებელთ ითავონ შეგროვება: ზღაპრებისაც, მესტვირული ლექსებისა, ანდაზეებისა, გამოცანეებისა და სხვათა ამ გვართა, რაღვან მათში ხშირათ გამოსჭეირს ბევრი მოსწრებული სიტყვა და აზრი, კეთილშობილური გრძნობა და ჩეეულება ხალხისა; ისმის მათში ნამდვილი ქართული ენის ბრუნვა და მიმოხერა და, დასასრულ, ზოგიერთი შათგანი დაგვემსახურებიან ისტორიულ მასალებათაც...

ჩემის მხრით წარუდგენ მკითხველებს შემდეგთა შეგროვებულთა ჩემმიერ ძველებურს სახალხო ლექსებს, სიმღერეებს და ანდაზეებს და ალაგ-ალაგ დავრთავ, ალსახსნელადაც, განმარტებასა, თუ როდის და რა შემთხვევაში იხმარებიან ზოგიერთნა შათგანნი:

I

კალო, ანაო, ბახაო,
 ხელ-პირი დაგებანაო, მ
 შენი ხელ-პირის ნაბანი
 თვეულას ჩამომდგარო,
 სამი ავჭალა აფსილა,
 მეოთხეს გადამდგარო,
 შიგ დიაკვანი დამხეხვალა
 საბრალო დედის ერთაო,
 გაღმაცედებენ ნავითა,
 გამოღმა თქროს კაეითა,
 დაოცეს, გამოიტანეს,
 პირი ამსოდა წლამითა,
 ქოჩორი ჩალა-ბულითა...
 იმისი დედა მარიამ-
 შეღებულიყო „შავითა,
 წინ ქალი შემოეყარა:
 „დედავ სად მიხვალ შავითა?“
 — „ნეტავი არა მკითხვავდე,
 შვილი მომიყლეს დანითა,

ანძაზედ ჩამოშეკიდეს,
მაყურებინებს თვალითა!...“

I

შეილი ამბობს სიზმარს და დედა კი უხს-
ნის.

(იავ-ნანის ხმაზედ.)

შეილი. „ოლეის-ხე წამოქცეულა, დედავ, რახ, რაო?“
დედა. — „ის ხომ შენი ტანი არის, ვახ შენს დედასაო!..“

შეილი. „შტოები ჩამოქცეივნია, დედავ, რახ, რაო?“
დედა. — „ის ხომ შენი მკლავებია, ვახ შენს დედასაო!..“

შეილი. „ორი ვტრედი მამოშველარა, დედავ, რახ, რაო?“
დედა. — „ის ხომ შენი თვალებია, ვახ შენს დედასაო!..“

შეილი. „ერთი ჩიტიც მიფრინავდა, დედავ, რახ, რაო?“
დედა. — „ის ხომ შენი სული არის, ვახ შენს დედასაო!..“

შეილი. „წყალს კიდობანი მოპქონდა, დედავ, რახ, რაო?“
დედა. — „ის ხომ შენი კუბო არის, ვახ შენს დედასაო!..“

III

„ბაღჩაშია გადგისედე, ქალი ენახე მწოლიარე,
თვით ედგა თვეორი ფაშლი, ფერხით უფრო მსხმიარე.“

IV

„მინდორშია თეთრი ქვაო, ავწიე და არ ამყვაო,
ქალო შენი სიყვარული, საცა წაველ, თან წამყვაო.“

V

„ჰეერო, ჰეერო, ჩიკრიკო და შწყერო!
ჩიკრიკისა მთაზედა,
გველი იწვა ქვაზედა,
მიველ ტყავი ავხადე,
შიგ აბაზი ვაპოვე,
წაველ დედას ვახარე,
დედაშ კვერი დამიკრა,
მამაშ ტყეში წაიღო,
იმან გვრიტი მომგვარა,
გერიტმა კვერცხი დამიღო,
ამიგორდა, ჩამიგორდა,
ხუცის ცოლთან მიმიგორდა,
ხუცის ცოლი შინ არ იყო,
კარს უკანა ფურსა სწველდა,
ფურმა წიხლი გაიქნია,

ჯამ-ჭურჭელი დაუმტკრია,
 პატარძალი გაგულისდა,
 ცხრა ყმაწვილი აატირა,
 თიშო ეაშლი დაურიგა,
 ისევ თვითონ ღააჩუმა.“

VI

(იგივე ლიქსი სხვა ნაირათ.)

„ერთი მე ვკარ, ერთი ჩემმა დობილმა,
 დობილს თვალი გაჰვარდა,
 კალათაში ჩაეარდა,
 წაველ დედას ვახარე, (!)
 დედამ კვერი დამიკრა.
 მამამ ტყეში წაიღო,
 იმან გვრიტი მომგვარა,
 გვრიტმა კვერცხი დამიღო,
 ავაგორე, ჩავაგორე,
 ხუცის ცოლთან მივაგორე,
 ხუცის ცოლი შინ არ იყო,
 კარებს უკან თავს იბანდა,
 ერთი ასეთი გ.

ცხრა ბორბალი დააბრუნა,
ჯამ-ჭურჭელი დაამტვრია,
ყმაწვილები დაალვიძა..“

VII

(იგივე ლექსი სხვა ნაირათ.)

აგრე, აგრე მთაზედა,,
გველი იწვა ქვაზედა,,
მიველ ტყავი გავხადე,
მივ აბაზი ციპოვე,
წაველ დედას ვახარე.... და სხვანი.

(ბოლო ისეთი, როგორც სხვების.)

VIII

(მშობიარეს დაუსხდებიან ქალები და უმღერენ)

«მზე შინაო, მზე შინაო, მზევ შინ შემოდიო!..
მზე დაწვა და მთვარე შობა, მზევ შინ შემოდიო!..
იაგუნდის მარანშია, მზევ შინ შემოდიო!...
ვაჟის მამა შინ არ არის, მძევ შინ შემოდიო!..
ქალაქს არის აკეინისათვის, მზევ შინ შემოდიო!..
აკენის იარაღისათვის, მზევ შინ შემოდიო!..“

IX

(უქმე დღეს სოფლის ქალები იმღერიან, ტაშს უკვ-
ან და ბანს მოსძახიან; „ერთი კი მათგანი დაუკლის,
ცეკვავს და თან ამბობს ამ ლექსს:)

„ლე, ლე, ლეკურ-კაბა!

დედამ კაბა შამიკერა, დარაია ხრიალაო,
წითელი ქობა მოავლო, ბუზშენტები წურიალაო...
აბა მაზლო შამომხედვე, როგორ მადგა ტანმიაო?..“
— „ლმერთმა შენცა შეგარცხვინა, შენი კაბის არშიაო!..“
„გავკარ ხელი, გავიხადე, ჩავდე ზანდუკჩაშიაო,
ნაპერწყალი ჩაპყოლოდა სახელ აზლუტაშიაო,
მეორე დღეს ამოვიღე, ფერფლი მეცა თვალშიაო,
დავჯექ და ბევრი ვიტიორე, არ გამოველ კარშიაო!..“

X

(ამ გვარათვე სოფლის ქალებისგან ტაშის კერა, ხო-
ლო სხვები არ იმღერიან, მარტო მოცეკვარის შეტი,
რომელიც დაუკლის და ამ სიტყვებს დასძახის:)

„ზეცას ვიყავ, ზეცა ვნახე,

ვარსკლავებსა დავეძრახე...
 მთვარემ კაცი მომიგზავნა:
 „აქ იყავ და არა მნახე?..“
 „— შენმა მზე ემა, არ მეცალა:
 ყმაწევილის ქუდსა ვკერავდი,—
 შიგნით უვლებდი არშიას,
 გარედგან ოქრო-მკერდამდი...“

XI

„ეო, მეო, ძმაო დეჭეტრეო,
 წმინდის გიორგის კარები, როგორ გააღეო?..
 — „ხელი შევყავ, ვაჯაყაყა, კლიტე გავტეხეო,
 მღვდელმა კარებზე მომასწრო, თოფი დამცა მეო,
 სისხლიანი ახალუხი კარს უკანა ძეო,
 ადე, დაო, და გარეცხე, ლობეს მიპფინეო,
 ბანზედ ქოჩორი ჰუენია, ადი, “აკრიფეო“...“

XII

(სოფლის ქალები ორ კერძოთ გაიყოფიან: ერთი
 პირი ცალმხარეს დადგება და მეორე პირი — მეორე

მხარეს, მათ პირდაპირ და დაიწყებენ სიმღერას, ახე
რომ; ჯერ რომ ერთი მხარე იტყვის სიმღერით ლექსს,
თან სკუპით წინ წაიწევენ და მეორე მხარე რომ პა-
სუხს ეტყვის იმნაირათვე, პირველნი უკან დაიწევენ
იმ დროს. — ხელი ხელი კი აქვთ ჩავლებული იმ
დროს ქალებს ერთმანერთის=უვის.)

პირველი მხარე.

„ა ნიშანი, მოგვე ქალი, გულას გარდამაო
მეორე მხარე.

— „არც მოგცემთ და არ ვიკადრებთ, თამ არ კარგა
გვუავო!..

პირველი

„მეძროხის ცოლათ მინდოდა, გულას გარდამაო!...
მეორე

— „მეძროხე ნეხვიანია, თამარ კარგა გვუავო!...

„მემცვარის ცოლათ მინდოდა, და სხვ.

— „მეცვარე კურკლიანია და სხვ.

„მეღორის ცოლათ მინდოდა,

— „მეღორე ტილიანია,

„მებატის ცოლათ მინდოდა,

— „მებატე სკინტლიანია,

„შამე თორემ მოვიტაცებ,
 — „ვირც მოხვალ და ჰერც ხელს ახლებ,
 „ნიშანი მოგვიტანია,
 — „არ გვინდა შენი ნიშანი,
 „ასის თუმნის ფარჩა არის,
 — „არც შაურის ძონძებია,
 „ზანდუხაში ნადებია,
 — „სანახეეზე ნაგდებია,
 „შენი ქალი—თაროს თავები,
 — „შენი ვაჭი—მუქის კუნძი,
 „ხახვის ფოჩი, მოგიჩოჩდი,
 — „მოველი და მოვიტაცე,
 (აქ მისცვივიან და ქალის წართმევეზ მეორე მხარეს.)"

XIII

„მე აქედგან ვერა გხედამ ეელი შიტარებს წინარე,
 შენისა სურვილისაგან დაბნელილივარ მპინარე,
 სურვილმან ასე გამხალა, წამოველ ვეღარ ვიარე,
 ეს ჩემი თავი მოგიკვდა, მოყითხვა დაგიგვიანე;
 აქედამ, ვერა გხედავ ნისლისა და ბურისან,

კაცი შემიჯერებია, ქალო, შენის კითხვისაგან: . . .

შენ უჩემოთ როგორა სძლებ, მიკვირს შენი გულისაგან?

მოძულებას არ მოველი შენის კარგის თავისაგან; —

მომიძულებ? კარგათ მყვანდე, მე მჭირს ჩემი ბედისაგან,

ავათა ვარ, მოდი შნახე, თან წავალი მომიტანე,

თუ რომ მოვკვდე, დამიტირე, ცხარე ცრემლი დამაყარე

შენი ქოჩრის ნაგლეჯები, დამწვარ გულზედ დამაყარე,

სამარის კარს მიმიტანე, მუჭით მიწა მომაყარე... .

XIV

„ირეზო მთასა მყვირალო, ვინ ჩამოგაგდო ბარათა?

— „ჩემი მეუღლე მამაკვდა, დავიარები ცალათა...“

XV

„ეო, მეო, ქალო-ქალთა მზეო,

შენი ძმების ლხენასა,

წისქვილს ჩამომყეო,

წისქვილს უკან ჭალა არის,

ჭალას უკან — ტყეო,

ფური მგელმა შამიჭამა,

ხმო იძახის: „ბეო!...“

XVI

„ა, ქალო მძიევი, რა მძიევი, სათმეურისა მინაო...“

— „არ მიჩდა, შენი ჭირიმე, მიჯაერდებიან შინაო:
ქმარი მცემს, მაზლი მაგინებს, მული მილესამს დანას,
ღუ დედამთილმაც შამიტყო, გამომასალმებს ყველასა..“

„ა, ქალო, ვაშლი, რა ვაშლი,

უბეს ნადები, ნახეტყვი...“

ამაღამ შენთან წამოვალ,

— გულის ჭირიმე, რას შეტყვი?...“

XVII

„ქალი წავიდა წყალზედა, თან გაფადევნე თვალია,
აავსო კოკა, კუტალი, შიგ გაუყარა თმანია;
მიდის და მიდუდუნებდა: „ღმერთო, მომიკალ ქმარია!
არ დამიგრიხა საბელი, მიწყდება გიშრის თმანია...“

XVIII

„რავქნა, რა უყო თავსაო, მერმე პატარა ქმარსაო,
არ შაუქლიან შენახვა, არც დამანებებს თავსაზო...“

XIX

„აი მთაზედა, თოვლიანზედა,
ია დავთესე, ვარდი მოსულა,
ია კოჭამდის, ვარდი მუხლამდის;
სიძე სიმამრი ტყეს წადირობდნენ,
სიმამრმა სტყორცნა სიძე კი მოკლა...“
— შვილო თამარო,
როგორ მოგივალ?
— ქმარი მოგიკალ!...“

XX

„ქალო, ქალო შავ თვალიო,
ბიჭმა შამოგითვალიო;
ან მამე ჩემი ღანაო,
ან წამიყვანე თანაო.“

XXI

„ესე წიგნი ჭრელიაო,
შენთვის მომიწერიაო,

გენაცვალე ნუ გამიშვებ,
სიყვარული ძნელიაო...“

XXII.

„ადგილზედ ფეტვი დამებნა, ვინ აჰკრეცს წიწილის
მეტი? —
მე და შენსა სიყვარულსა რა გაჰყრის სიყვდილის
მეტი?“

XXIII

„ქალ-პატარძალი ტიროლა ქართლება შეა გზასაო,
დაუყარე წვრილი შეილები, ვერ გამოვასხი ზღვასაო,
იმისი სული ქრულია, რა ქალიც ენდოს ქმარსაო:
კოჭტასა, ამპარტავანსა, აზნაურისა ყმასაო;
წუხელის ლაშქრით მომიხტა, შეა ღამისა ხანსაო,
შორიდამ შამაშიძასა: „რათ არ გამიღებ კარსაო?..“
— ავდექ, ავანთე სანთელი, მივარდი გვერდის კარსაო,
ოქროსა სკამი დაუდგი, — დაბრძანდი ღმრთისა მადლსაო..
— „მე, „ღვთისი, ღვთისი“, რა ვიცი, თათრულათ მო-
გვერი თავსაო?..“
ავდექ და გამოეიპარე, ამ უგზო-უკვლო, გზასაო...“

XXIV

„ქალო თამარო, მინდორს გეძინა,
ზედ რა გეხურა? — „ზარი, ზარბაბი...“
შმოველ აგხადე, საჭი გაკოცე,
სამმა კოცნამა ფერი გიცვალა,
ფერმა ნაცვალმა წიგნი დაწერა...
ახ, ვის მისწერა? — „დავით მეფესა.“
„რითი დაწერა?“ — „ბროლის თითითა.“
„შიგ რა ჩაწერა?“ — „დიბა, ატლასი...“
„რითი გაგზავნა?“ — „ნიავ-ქარითა.“
„რით წაიკითხა?“ — „სისხლის ცრემლითა!..“

XXV

„მე ზემოღალმე წამოველ,
გადმოვყე ქორას ქროლასა,
აქ უარესსა შაცესწარ
რძალ-დედამთილის ბრძოლასა;
უფროსი რძალი დედამთილს
თავსა უგლიდა კერასა,

უნცროსი რძალი იძახის:

„ღმერთი გაგიწყრათ ყველასა!...“

XXVI

„კურდლელმა ფქვა: „ჩიქვში ცზივარ, ვერვინ მოვა-
ჩემზედაო, შავიხედაო, ბატონი ზის ცხენზედაო,
წინ მეძებჩები მოუძლეის დაგეშილი ჩემზედაო,
ერთმა წუწყმა მეძებარმა კბილი გამცრა გვერდზედაო,
გამწიეს და გამომწიეს, ჩამომკიდეს ცხენზედაო,
მზვარეულებს მიმაბარეს, „კარგათ შაწვით ცეცხლზედაო“
იმ მამაძალლს მზვარეულებს, რა ყოფა აქვთ ჩემზედაო.
ცალი გვერდი ცეცხლმა დამწო, ცალი ერბოს ცხებამაო
ამარიგეს, ჩამარიგეს წვრილ-წვრილ ლამბაქებზედაო,
ხორცი ხორცათ შემიჭამეს, ძვლებს იმტვრევენ ცერზედაო.“

XXVII

(შემოვიდა გლეხის ქორწილში ერთი მოხუმარი კა-
ცი, ღვინო შიაგებეს და უთხრეს: „აბა დემეტრე ერ-
თი დაილოცე!..“

დემეტრებ აიღო ყანწი ხელში და მოჰყვა:)

„ეო, მეო, კაწალხეო,
წინ მინდორი, უკან ტყეო.

მოურავი ადლეგრძელოს, ნაცვალს მოჭ დიღი დღეო,
გზირი, რალა ჩანჩალაა, იმის ცოლს კი შ...ეო! (თუ
ვაკოცეო?)

XXVIII

— „აბა, დემეტრე, ერთი გამოცანა თქვი.
„ბატონი ხარ!

— „გამოცანა! მოგახსენებ, დიღი არაფე-
რიაო; ზოგგან წითელ, ზოგგან ყვითელ, ზოგგან
ჩალისვერიაო.“

— ეგ ხომ ხალიჩა; შეიღო? პკითხა ერ-
თბა გლეხთაგან: „აბა სხვა თქვი, რომ ვერ
გავიგოთ.

— ვიტყვი, მომე ქალაქი, თუ ვერ გაიგო.
— მომიცია.

— „მაში ყურნე, მიგდე.

„ეს რა არის, მასრაც არის;
მასრას უკან კასრა არის,

კასრას უკან კალოა,
 კალოს უკან კვიცია,
 კალო მოჭედილია,
 კვიცი გაკრეჭილია...“
 — „აბა, გამოიცან.
 — არ ვიცი.

„ მოდი ქალაქო ჩემთანა, ხელი არეის
 აქვს შენთანა, სანთელ-საკმელი ღვთის წინა,
 ავლადიდება ჩემ წინა, წაიქცა ფურცელი, ლე-
 კებს გაუსკდა მუცელი.... დრამც იყოს: მოვა-
 რე... ”

XXIX

— აბა ახლა ზღაპარი თქვი.

— „ბატონი ხარ.

„იყო და არა იყო რა,—ღვთის უკეთესი
 რა იქნებოდა,—იყო ერთი გუთნის-დედა...ხო-
 დაბუნი ჰქონდა მოსახნავი, ადგა და წაილო
 სახნის-საკვეთი, წყალზედ, დასალბობათ, რომ
 მეორე დღეს კარგა ვხნავო... ”

(„ დემეტრე დიდხანს გაჩუმდა)

- მერე? — ჰკითხეს აქეთ-იქიღგან.
- „მოიცათ, ჯერ დალბეს და!..“
- რკინას, რა დაალბობს?.. ე, ოჭახ დაქ-
ცეული, რას არ მოიგონებს?!..
- გათავდა?..
- „გათავდა...“ ელასა, მელასა, ჭიქა მკი-
ლია ყელასა, მოქმედსა და გამგონებელსა,
ძილი გაამოსით ყველასა...“

XXX

(მესტვირულები.)

„დაუკარ, ჩემო ქამანჩაე, დაუკარ ტკბილსა ხმაზედა!..
იმერეთისა მთაზედა, ქალი ეიპოვნე ქვაზედა,
ამოვეჯარ ტკიპივითა, ბიჭი შევქენ გვრიტივითა,
მენახირეს მივაბარე, არ მომიკლა სიცივითა,
უშობელსა წიხლი ეკრა, გაეხეოქა ტიკივითა,
ტიკი-ტიკათ გამომადგა, პოლორჭიკი — საკრავათა...“

XXXI

„ერეკლემ ხმალი აიღო საქრისტიანოს გულისდა,
ერეკლეს ქართველთ ბატონსა, ლვოით ხმალიც აულიაო,

ქართლი შეყარა, ქალაქი თავი-თავს შოუყარა,
 გააღო ფანჯარავები, წიგნებიც გადუშლიაო,
 დიდის ჯარების თაობა ერეკლეს აულიაო,
 ერეკლემ ხერხებ იგონა, ჯერ არვის შაუტყვიაო,
 რკინის ააგო ურმები, ზარბაზნებ დაუწყვიაო,
 საცა დიდ-დიდი წყლებია, ხიდებიც გადუდეიაო,
 წერაქვებიც ხომ აულივ, სამი კლდეც გადუჭრიაო,
 ქურთის მოსახარეს ქალაქი, ხაზინაც წაუტიაო,
 მანდით წალებულ ხაზინა თელავში დაუწყვიაო,
 კოხტა *) მორბოდა ბეჭადი, ნეტა რას შაუშლიაო?
 ერეკლემ შემოუძახა: „რა თავი აგიგდიაო?...
 შენისთანა გულხადარა კაცად არ ჩამიგდიაო!..“
 ხმალი შამოჰკრა ფრეკლემ, თავი წინ ვადუგდიაო,
 თოფიც უჭირამს სიათა, ჯერაც არ დაუცლიაო...
 იქ ხალციხეს მიუხდა, თაორებს რა შაუძლიანო,
 ციხე გატეხეს ახალი, ძე აღარ გაუშვიაო,
 იმდვენი ხმლითაც არ ხოცეს, რაც რომ წყალს დაუ-
 ხევიაო,
 სამოცდა სამი თათარი ჩინჩილში გადუყრიაო. .

*) კოხტა—სახელი ლეკთა მოწინავე მელადისა:

თვალიც უჭირავს ქვეყანას, კოხიო ^{*)}) გაირჩებაო,
დიდის ბატონის ჯარშიდა, წირ ვერვინ წაუდგებაო,
ბატონის თვალი სწყალობდა, ბატონს არ მოუკცდებაო,
ნაკუდა ქუდქეს შვილი, რა კანჯარივით ხტებაო,
შვილი დაჭაფა ხმალ დახმალ, რიგი ხანჯალზედ დგებაო...

ემაგის მოშაირენი დავზღილვართ ღორებშიგაო,
ორნიე ძმანი ტყვეთა ვართ შისრეთის ქალაქშიგაო,
წირვა-ლოცვა ჩვენც გვიყვარდა სიონის საყდრებშიგაო,
ახლა ჩვენც მოსვლას ვაპირებთ, მანდ თავის ადგილშიგაო,
გიორგის ხელში ცაკოცარი, ერეკლეს მუხლებშიდაო...

ერეკლე ბატონისშვილი ტანად დაბალი, ყმარი,
ტანთ ჯაჭვა აცეია ფეოქაი, შესახედავათ მზეარსო,
მხართ შუბი აძა დარაზმა წარევდა იათრის ჯარშია,
ასი ცხენს წაალებინა, ასიც ქარავში წახვია,

*) კოხიო—სახელი თუშისა, გვარად ყოფილა ბულ-
ბლიაშვილი, წოვის თემისა.

შიგნიდგან გულიც რკინა აქვს, გარედგან სალიკლდე არსა,
აგრე დააქცევს ციხესა, როგორც ფუტური ხე არსა...*

(ეს შისტვირული ლექსები სიტყვითი სიტყვით, გა-
უსწორებლივ, დავსწერე მესტვირისაგან 1852 წელში;
ამ უკანასკნელს თითქოს ბოლო აკლიაო, მაგრამ, მე-
ტი არც მესტვირემ იცოდა.—სამიოდე საზანდრული
ლექსი კიდევა მაქვს შემდეგისათვის).

XXXII

(ძეელებური ანდაზები)

მოჩქარეს მოუგვიანდეს.

*

გინდა მგელს შეუჭამია, გინდა მგლისფერს
ძალლეა.

*

ვინც ღამე ხნა, ისიც მოკვდა.

*

ქალსა დედა გაუშინჯე, სამოსელსა—ნაწი-
ბური:

* * *

ჭინჭრის ადგილს ჭინჭარი ჰმოვა.

*

ყველა ქვეყნათა რიგდება და ცოლ-ქმრობა ზეცასაო.

*

შეხეთქებული ჭირისუფალი მალე გადაიგლოვს.

*

მანამ ხმალი მოვიდოდა, ენამ თავი მოსჭრაო.

*

დილის ლუკმა ცოლის მზითევს სჯობიაო.

*

სისხლი; სისხლით არ დაიბანება.

*

მკვდარს ლომს ცოცხალი ძალლი სჯობია,

*

გაუთლელი სჯობს ალმასი გათლილსა ფირუზანასა.

*

ასი ლამკარ და ერთი მართალი მათქმევინე.

*

კაცმა ჭირი მალა, ჭირმა თავი არ დამალა.

* *

ბუმბულს მანამ ქარი არ შეუბერავს, თა-
ვის თავი მძიმე ჰეონია.

* *

— „ობოლო, ვის ბოჰკლამო? — ვინც გამ-
ზარდაო?

* *

ვერიდებოდი ლოლოსა, დამიხედა მინდვრის
ბოლოსა:

* *

კაცი კაცის მტერია, ძალლი კი ერთგული.”

* *

იქნება, ჩეენმა მაგალითმა სხვანიც გამოი-
წვიოს ამ ვეარისავე შრომისათვის, და სამუ-
ლამოთ არ დაუკარგოს ჩეენს ლიტერატურას
ძველებური სახალხო ლექსების ნიმუშები...
ღმერთმა ინებოს!

რაფიელ ერისთავი.

მზაონტი

მ ე ს ა მ ე ა ღ ა დ ე ბ ა

რეგენტინის სასახლე.

ჭავაგარიტა პარმელი (რეგენტინი)

მე ამას უნდა მოვლოდებოდი. ფინაც მუდამ შრომაში და ზრუნვაში ატარებს თავის სიცოცხლეს, ასე ჰერნია იმას ვაკეთებ, რაც კი მოხერხდებაო; და ვიწც შორითგან თვალყურს აღევნებს და ბძანებას ჰსცემს, ასე ჰერნია, მარტო იმას ვითხოვ, რაც სრულდებაო.
— ჰოი მეფეებო! — მე ვერ მოვიფიქრებდი, რომ ეს ასე სამწუხაროთ დარჩებოდა ჩემთვის. რა შეენიერებაა ხელმწიფობა! — მაგრამ ტახ-ზედ ხელის-აღება! — არვიცი, როგორ შესძლო მამაჩემმა ეს საქმე; მაგრამ მეც ესა მსურს (მაკიაველი შორს სცენაზე ჩიდება.)

რეგენტინი

მაკიაველი, ახლოს მოდი. მე აქ ჩემი ძმის
წერილზე ვარ დაფიქრებული.

ეპისტელი

შემიძლია შევიტყო, რა მოუწერია?

რეგენტინი

ეგოდნათ დიდის ალერსით და სინარწა-
რით იწერება საკუთრათ ჩემზე, რაოდენათაც
დიდა მზურნველობას იჩენს თავის მმარ-
თებლობაზე. ის აქებს ჩემს სიმტკიცეს, მეცა-
დინეობას და ერთგულებას, როგორითაც
ვიცავდი აქამოშდე იმის დიდებულების უფლე-
ბას ამ ქვეყანაში. ვებრალები, რომ ლაგამ-
წაყრილმა ხალხმა ამდენი მწუხარება მომაყენა;
ის ჩემის ღრმა მოსაზრებით ისე სრულის გუ-
ლით დაჯერებულია, ჩემი მოქმედების გონივ-
რობით. ისე საკვირველათ კმაყოფილია, რომ
გულმავრათ შემიძლია ვთქვა, ეს წიგნი ისე
კარგათაა დაწერილი, რომ სრულიადაც არ
შევთერება კაროლს, და განსაკუთრებით
—ძმას.

მაკიაველი

ეგ პირველი არ არის, რომ ის თქვენ სა-
მართლიანს კმაყოფილებას ჰიცხადებსთ,

რეგენტინი

მაგრამ ეს პირველათ არის, რომ მისი წიგ-
ნი მარტო მჭევრმეტყველური სურათია.

მაკიაველი

არ მესმის თქვენი პასუხი.

რეგენტინი

თქვენ ეხლავ გაიგებთ, ამ დასაწყისის შემ-
დეგ ის ამბობს, უჯაროთ, თუ პატარა არმია
არ გეყოლაო, ყოველთვის საწუხარ მდგომა-
რეობაში უნდა იმყოფებოდეო. უანგარიშო-
ბა იყო ჩვენის მხრით, მცხოვრებლების ჩი-
ვილზე რომ ჯარი გამოვიყვანეთ მაზრებითგან.
ის ფიქრობს, რომ ჯარი, რომელიც მოქალა-
ქეებს კისერზე აწევს, ისეთი ტვირთია, რომ
დიდს ნახტომს არ გააბედვინებსო.

მაკიაველი

ეგ სრულებით მოთმინებითგან გამოიყვანს
ყველას.

რეგენტინი

მაგრამ კაროლი ფიქრობს, გესმის? ის ფიქრობს, რომ ერთი მარჯვე ღენერალი, ისეთი, რომ ყური არავის უგდოსო, ჩქარა გაწაფავდა ხალხსაც, აზნაურობასაც, მოქალაქეებსაც და გლეხებსაცა; — და ამისთვის ის გზავნის გერცოგ ალბას, ძლიერი ჭარით.

მაკიაველი

ალბას?

რეგენტინ

გაგიკვირდა?

მაკიაველი

თქვენ ბძნეთ: „ის გზავნისო“: იქნება ის გეკითხებათ, ვამოვფრთვნო თუ არაო?

რეგენტინი

კაროლი არ მეკითხება, კაროლი გზავნის.

მაკიაველი

მაში, თქვენ გამოცდილი მხედარი გეყოლებათ თქვენ ხელქვეით.

რეზენტინი

ეშ ხელქვეეით? მაკიაველი, პირდაპირ გა-
მოთქვა.

მაკიაველი

არ მინდოდა, თქვენთვის აზრი ღდამესწრო.

რეზენტინი

როგორ დავფარო ჩემი აზრი! ეს ჩემთვის
ძალიან საგრძნობელია, ძალიან. მე მერჩივნა,
ჩემ ძმას რომ პირდაპირ ეოჭეას, რასაც ჰუკ-
რობდა, ვინამც პოლიტიკური წიგნი მოეწე-
რა, რომელიც მდივანისგან არის გაწყო-
ბილი.

მაკიაველი

არ შეიძლება შეიტყოს კაცმა?..

რეზენტინი

მე იმათ შიგნითგანაც ეიცნობ და გარეთ-
განაც. იმათ ჰსურთ, ადგილი დაცლილიაყო.
მაგრამ რათგან თეითონ ვერ გამობრძა-
ნდებიან, ვინც ხელ-ცოცხიანი წარუდგე-
ბათ, მაშინვე მათ გულს იგებს. ჰო, რო-
გორ ვხედავ უოველსაც, თითქოს კა-

როლი და იმისი რჩევა ამ ხალიჩაზე იყონ
გამოყვანილი.

მაკიაველი

ნუ თუ აგრე ცოცხლათ?

რეგენტინი

ერთი ნაბიჯიც არ გამომეპარება. იმათში კე-
თილი კაცები ბევრია, დიდებული როდრიგ,
რომელიც ასე გამოცდილი და ზომიერია,
რომელიც აგრე მაღლა არ იწევა, შაგრამ ხე-
ლითგან კი არა წაუარა, გულწრფელი ალონ-
ცო, შრომის მოყვარე ფრენედა, ლას-ვარგა-
სი და კიდევ სხვანი, რომელნიც მათ მიჰ-
ყვებიან, თუ კეთილი პარტია ლონიერი იქნა.
შაგრამ იქ ზის აგრეთვე თვალებ ჩაცვენილი
ტოლედოს არქიეპისკოპოზი, ბრონზის შენ-
ლით და ლრმა, ალით საცხე. გამოხედულებით.
ის კბილებს შეუ ლრღნის სიტყვებს ჭალების
გულჩვილრბაზე, იმათ უდროო გულკეთილო-
ბაზე და ამბობს, რომ ჭალებს მარტო ქარ-
გათ გახედნილს ცხენებზე შეუძლიანთ სხდო-
მაო, თორემ თვითონ კი ცუდი მხედრები

არიანო და ბევრს ამისთანა დაცინებას, რომ-
ლებიც უწინ ძალა-უნებურათ უნდა მომე-
მინა სახელმწიფო კაცებისაგან.

გაკიაველი

თქვენ ამ სურათისთვის კარგი ფერის წამ-
ლები ამოგირჩევიათ.

რეგენტინი

მაგრამ ერთ საქმეში გატყდით, მაკიაველი:
ჩემ მოელს მრავალგვარფერებში, რომლის-
განაც ზემოხსენებული სურათები შევაღვინე,
იმისთანა შავყვითელი და ნალველასფერი წა-
მლი არ მოიძებნება, რომელიც ალბას პირის-
სახეს შევფერებოდეს და როგორსაც ის თვი-
თონ ხმარობს. იმის თვალში ყოველი კაცი
ღვთის მგმობი და ხელმწიფის მოღალატეა; ამი-
ტომ რომ ამისთანა შეწამებისგამო, შეიძლე-
ბოდა ყველასი დაკვეცა ურმის თველით, სარ-
ზე ჩამოცმა, ოთხათ დაჭრა და დაწეა... რაც
კეთილი მე აქ დავამყარე, დარწმუნებული
ვარ, ის შორიდამ არაფრათ გამოჩნდება, მხო-
ლოდ იმისთვის, რომ ის კეთილია. ალბა გა-

მოეკიდება ყოველს წინაალმდეგობას, რომელიც უწინ მომხდარა, იხსენებს ყოველს შთოთს, რომელიც ოდესმე ამტყდარა და იმდენს მუხანათობას, აჯანყებას და გიუწიობალდეგობას წარმოადგენს კაროლის თვალწინ, რომ იმას ეგონება, აქ ერთმანეთს სჭამენო, თუმც თავაშვებული ხალხის უსაქციელო შოქმედება ჩვენ გარეშემო კარგა ხანია მომხდარა და ჩვენ ეს კიდეც დაგვივიწყნია. იგას სრულის გულით სძაგს საწყალი ხალხი; იმის თვალში ეს ხალხი საძაგელია, როგორც პირუტყვი ან ვეშაპი. ის ცეცხლითა და ხმლით გამოწყობილა და ჰგონია, რომ ამ საშუალებით მოითოვებიან კაცები.

მაკიაველი

თქვენ მე ძალიან აღელვებულათ მეჩენებით. თქვენ საქმეს ძალიან ადიდებთ. თქვენ ხომ უწინდელივით გამგებელათ რჩებით.

რეზენტინი

მე ეს წინათვე კარგათ ვიცი. ის. დარიგებას (ინსტრუქციას) მოიტანს.. მე საქმაოთ გამოც

დილი ვარ სახელმწიფო გამგეობის საქმეებში,
რომ ჭიკოდე, ცხადათ სამსახურიდგან გადა-
უყენებლათაც თუ როგორ გადააჩოჩებენ კაცს
იმის ადგილიდგან. თავდაპირველათ ის წარ-
მოედგენს ისეთს დარიგებას, რომელიც იქნე-
ბა განუმარტებელი და როგორც გინდა ისე
ახსნი. ის თან და თან ჩემ უფლებებს მიი-
თვისებს, რათგან ძალა ხელში ექნება და თუ
უკმაყოფილება გამოვაცხადე, ის თავს გაიმარ-
თლებს საიდუმლო ინსტრუქციის ხსენებით.
თუ მე იმ ინსტრუქციის ნახვა მოვინდომე, კარ-
გა ხანს შის ჩვენების დაპირებით მატარებს.
თუ ძალა დავატანე, წარმომიდგენს ისეთს
ქალალდს, რომ შიგ სულ სხვა ეწერება და
თუ ამითი არ დაკმაყოფილდე, ის მაინც
თავისას იზამს და ჩემს სიტყვებს ყურში არ
შეუშევებს. ამასობაში, რისაც უფრო მეშინია,
იმას იზამს და სულ ჩემი, სურვილის წინააღ-
მდეგ წავა.

მაკიაველი

ნეტ, შემეძლოს მაგაში არ, დაგეთანხმოთ.

რეგისტრი

რაც მე გამოუთქმელის მოთმინებით დამიწყნარებია, იმას ის სიფიცხით და სასტიკი მოქმედებით ისევ გააბრაზებს. მე ჩემ თვალწინა დავინახავ ჩემი ნაშრომის დალუპვას და ამასთან მისი საკუთარი შეცომების პასუხის მგებელი მე ვიქნები.

მაკიაველი

თქვენი უმაღლესობა ამას მართლაც რომ უნდა გამოელოდეს.

რეგისტრი

იმდენი უფლება კი მაქეს ჩემ თავზე, რომ თავი შევიკავო. და მოვიდეს. სანამ ადგილითგან გადამავდებდეს, მანამ დაუუთმობ ჩემს ადგილს. ზრდილობიანათ.

მაკიაველი

მაგისთანა მძიმე ნაბიჯი და აგრე ჩქარა?

რეგისტრი

ეგ ჩემთვის უფრო მძიმეა, ვინამც შენ ფიჭ-რობ. ვინც ხელმწიფობას დაჩვეულა, ვისაც ჩვეულებათ. მიუღია უოველ დღე ათასი კაცის

ბედ-ილბალის ხელში ჭერა, ის ჩამოდის ტახ-
ტითვან ისე, თითქოს საფლავში ჩადიოდეს.
მაგრამ მაინც ეს სჯობია იმის მდგომარეობას,
ვინც კაცებს შორის აჩრდილათ დარჩენილა,
ვისაც ამაռ პატივი უფროსობისა შერჩენია
მარტო, და ნამდვილი უფლება კი სხვას
რეებია, რომელიც ახლა ბატონობს ზა კმა-
ყოფილებს იმითი.

(კლერჩენის სადგომი).

კლერჩენ და დედა მისი.

დედა.

ბრაკენბურგისთანა მოყვარული კაცი არ
მინახავს. მე დარწმუნებული ვარ, რომ მარ-
ტო გმირების მოთხრობაში იქნება იმისთანა.
კლერჩენ (შედი-გამოდის ოთახში და ნელა მლერის)

ბედნიერია ის გული,

ვინც გაიცნო სიყვარული!

დედა

იმას ეჭვი აქვს, რომ შენა და ეგმონტი
ერთმანერთს ყვარობთ. მაგრამ მე დარწმუნე-
ბული ვარ, ცოტა მეგობრობა რომ გეჩენე-

ბია იმისთვის და მოგენდომებია, ის კიდევ
შეგირთავდა.

კლერხენ (გალობა)

მხიარულება,

თან სულის ტანჯერა,

მუდამ ღცნება,

ნდომა, სურვილი,

შიშითა თრთოლება,

მოუსვენარ გულისა დარღმი...

ზეცამდი ატაცებული,

სიკვდილამდე ტარაგული,

ბედნიერია ის გული,

ეინც გაღცნო სიყვარული!

დედა

(თავი დაანებე მაგ ლექსის ზუზუნს.)

კლერხენ

ნუ მიძაგებთ, ეს სულის ჩამდგმელი სიმღე-
რაა. ამ ლექსით მე მეტრჯერ დამიძინებია
ერთი დადი ბავშვი.

დედა

შენ თავში შარტო შენი საყვარლის ჩეტი

აღარა ფერია. ყოველ ფურს ნუ კი დაიციწყებ ერთის გულისთვის. მე შენ გეუბნები, ბრაკენბურგს პატივის ცემით მოექეცი. ერთ დღეს იმას შეუძლიან შენი გამოიყენება.

კლერხენ

იმას?

დედა

დიალ. დრო მოვა! თქვენ ახალ გაზდები წინ არაფერს ხედავთ და ჩვენს გამოცდილებასაც ყურს არ უგდებთ. ახალგაზდობას და შეენიერს სიყვარულს, ამათ ყველას თავისი ბოლო აქვს, და მოვა დრო, როცა კაცი ღმერთს უნდა მადლობდეს, თუ სადმე თავის შეფარება შეიძლო.

კლერხენ (შეკრობა, გაჩუმდება და თრაის)

დედა, დავ, მოვიდეს ის დრო სიკვდილივით. იმაზედ წინათვე ფიქრი საზიზღარია.—და თუ მოვა, თუ საჭიროა... მაშინ ჩვენს თავს როგორც შევიძლებთ, ისე წაუძლვეთ! ეგმონტ,

მე შენ უნდა თავი დაგანებო! -- (სტირის) არა
ეს შეუძლებელია, შეუძლებელია.

ეგმონტ (რაინდის პალტოში, ქული
თვალებზე მოუცვამს)

კლერხენ!

კლერხენ (იკივლებს და უკან
დაიხევა

ეგმონტ! (აჩქარებით მივარდება) ეგმონტ,
(მოეხვევა მიეყუდება და გულზე ეკვრის) ოპ!
ჩემო კარგო, საყვარელო, ტკბილო! მოხვე-
დი? აქა ხარ?

ეგმონტ

საღამო შვიდობისა, დედავ!

დედა

ღმერთი იყოს თქვენი შემწე, ღილო ბატო-
ნო! ჩემი პაწაწა თითქმის დაილია, რომ თქვენ
ამდენ ხანს დაიგვიანეთ; ის კიდევ მთელი
დღე მარტო თქვენს ლაპარაკში იყო და
თქვენზე მღერობდა.

ეგმონტ

თქვენ ვახშამს ხომ მაჭმევთ?

დედა

დიდი პატივის ცემა იქნება ჩემთვის. მხოლოდ თუ რამე გვექნა.

კლერხენ

რასაკვირველია გვექნება. დედა, ოლონდ შენ იყავ მშეიღათ; მე ყოველი ფერი გავაწყვე, ცოტაოდენი რამ კიდეც მომიმზადებია. ნუ გამამწელ, დედა.

დედა

ერთობ ლარიბი ვახშამის.

კლერხენ

მომითმინეთ! მერე გულში ასე ვამბობდი: როცა ის ჩემთან არის, სრულებით აღარა მშია; მავასაც დიდი მაღა არ უნდა ჰქონდეს, როცა მე მასთან ვარ.

ეგმონტი

შენ გგონია? (კლერხენ ფეხს დაჰკრავს, და მწყრალათ მიტრიალდება) რა დაგემართა?

კლერხენ

დღეს როგორ გულ ცივათა ხარ! თქვენ ჯერ ერთხელაც არ გიკოცნია დღეს ჩემთვის.

რათა გაქვთ ხელები პალტოში გახვეული
ერთი კვირის ყმაწვილსავით? მხედარს და
მერე შეუვარებულს როგორ ეცადრება, რომ
ხელები ჩაკრული ჰქონდეს?

ეგმონტი

ზოგჯერ, ჩემო საყვარელო, ზოგჯერ! რო-
ცა მხედარი გუშაგათ (ყარაულათ) დგას და
მტერს ეპარება, მაშინ ჩუმდება, გულხელს იკ-
რეფს და თავის განზრახვაზე ჰქონდება.—
და შეუვარებული კი...
დედა

რატომ არ დაბძანდებით? რატომ თავისუფ-
ლათ არ მოისვენებთ? მე სამზარეულოში
უნდა წავიდე. კლერხენი არაფერზე აღარ ფი-
ქრობს, როცა თქვენ აქ ბრძანდებით. თქვენ
ეს უნდა იკმაროთ.

ეგმონტი

თქვენი კეთილი სურვილი ყველაზე უფრო
სასიამოენოა. (დედა გადის)

კლერხენ

მაშ ჩემი სიყვარული რალაა?

ეგმონტ

რაც შენ გენებება.

კლერხენ

შეუთანასწორე, რასმე თუ გული გაქვს.

ეგმონტ

მაშ, ყველაზე უწინ... (ის გადააგდებს პალ-
ტოს და შეენიერათ მოქარგულ ტასაცმელითა დად-
გება)

კლერხენ

ურ, ღმერთოვ?

ეგმონტ

ახლა კი თავისუფლათ მაქვს ხელები. (გულზე
მიიკრავს ქალს)

კლერხენ

ნუ შვრებით. ტანისამოსს გაიფუჭებთ. (ქალი
უკან დაიზეს). რა მშვენიერია! მე თქვენთან მო-
კარცებას ვერ ვბედავ.

ეგმონტ

კმაყოფილი ხარ? მე შენ დაგაირდი, როდისმე
ესპენსურათ ჩაცმული მოვალ მეთქი.

კლერხენ

მე ამის თხოვნას დიდი ხანია რაც თავიდა-
ვანებე: მეგონა, რომ თქვენ არ გსურდათ ჩემი
თხოვნის ასრულება. ოჰ, სულ აი ღქროს მა-
ტყლოსანის ნიშანიც!

ეგვიპტი

ახლა ხომ ნახე ეს.

კლერხენ

ეს შენ თვითონ ხელმწიფემ ჩამოგკიდა
კისერზე?

ეგვიპტი

დიახ, ჩემო საყვარელო! ვისაც ეს ძეწკვი და
ნიშანი აქვს იმას უმღლესი უფლება და
უპირატესობა ეძლევა. ჩემი მოქმედების გამ-
კითხველი ქვეყანაზე არავინ არის, ამ ორდე-
ნის გროსშეისტერსა და რაინდების მოთავე-
თა შეკრებილებას გარდა.

კლერხენ

შენ უშიშრათ შეგიძლია, შენი თავი
მთელ ქვეყანას გააჯევინო. ხავერდი ჩამეტ-
ნათ მშვენიერია! ღქრომიკედის ქსოვილი და

ნაკერიცა! რომ არ იცის კაცმა, ხაიდამ და-
წყოს სინჯვა

ეგმონტი

იჯერე გული ამის სინჯვით.

კლერხენ

ოქროს მატყლოსანის ნიშანიც! თქვენ რომ
ისტორიას მომიყევით და მითხარით: ეს არისა
ნიშანი ყველაზე უაღრესი და უძვირფასესი,
რასაც კი შრომით და გარჯილობით დაიმსა-
ხურებს და იშოვნის კაციო. ეს ძალიან ძვირ-
ფასია. მე ეს შემიძლია შევადარო შენს სიყვა-
რულს.—მეც იმას გულზე ვატარებ... მაგრამ
შემდეგ კრ...

ეგმონტი

რა გინდოდა, მავითი გეთქვა.

კლერხენ

შემდეგ უი იმას ვეღარ შეუდარებ.

ეგმონტი

რატომ არა?

კლერხენ

მე ის შრომით და ჯაფით არ შემიძენია.
მე ის არ დამიმსახურნია.

ეგვიპტი

სივეარულში ეგ სულ სხვანაირია. შენ ის
დაიმსახურე, იმიტომ ჩომ ის არ გიძებნია,
და მხოლოდ ისინი შოიპოვებენ მაგას; ჩო-
მელნიც იმას არ სდევენ.

კლერხენ

ეს შენითვე ხომ არ მიგიღია? შენ თვი-
თონ შენ თავზე ხომ არ შეგიშჩნევია ეგ ამა-
ყური შენიშვნა, შენ, რომელიც მთელს ხალხს
უყვარხარ?

ეგვიპტი

ჰალხისთვის რამე შაინც გამეკეთებინა, რამე
შემძლებოდა შაინც მისთვის! იმის მხრით ჩემი
შეყვარება მისი კეთილი ნებაა, მეტი არაფერი.

კლერხენ

შე მგონია შენ დღეს რეგენტინთან უნდა
ყოფილიყავი?

ეგვიპტი

შე იმასთან ვიყავი.

კლერხენ

კარგი განწყობილება გაქვს იმასთან?

ეგმონტ

ეტყობა, რომ აგრე უნდა იყოს, ჩვენ ერთ-მანეთს ზღილობიანათ და თავაზიანათ ცეკ-ცეკით.

კლერხენ

წმინდის გულით?

ეგმონტ

მე იმისთვის კეთილი მსურს. ყოველს ჩვენ-თავანს ჩვენ-ჩვენი განზრახვა გვაქვს. მაგრამ ევ არაფერია. ის არის ძალიან კარგი ქალი, იც-ნობს თავის ხალხს და ღრმათ იცქირება გულ-ში, თუნდ იჭირიანიც რომ არ იყოს. მე ბევრს საჭირ-ბოროტოს მიეაყენებ ხოლმე იმას თავ-ზე, ამიტომ რომ ჩემს მოქმედებაში ის დაფუ-რულს შიზანს ეძებს. და მე კი არა მაქვს რა დასაფარავი.

კლერხენ

სულ არაფერი?

ეგმონტ

იმას ნუ დაივიწყებ, რომ რაც უნდა სამა-გალითო ღვინო იყოს, თუ დიდხანს ქვეერში

ასხია, უეჭველათ თხლებს დაიღებს შიგ, მაგრამ ორანიელი მაინც უფრო დიდი აუხსნელი არსება და ყოველთვის ახალი გამოცანაა იმისთვის. ის მუდამ ასეა დარწმუნებული, რომ ორანიელი ყოველთვის რასმე ფარავსო იმის წინაშე. ის ყოველთვის აცქერდება იმის შუბლს, ნეტა რას ფიქრობსო და შიჩერებია ფეხებში, თითქას სურს შეიტყოს, საითკენ ადგამს ნაბიჯსო.

კლერხენ

თვითონ რეგენტინი კი გულჩხვეულია?
ეგმონტ

ხომ იცი, რომ ის გამგებელია, მაშ მაფას
რაღა კითხვა უნდა?

კლერხენ

უკაცრავათ, მე მინდოდა მეკიაზა, მზაკვარია
თუ არა?

ეგმონტ

არც მეტი, არც ნაკლები ყველა იმ პირებზე, რომელთაც სურთ თავიანთი განზრახვა
აასრულონ.

კლერხევნ

ქაზოგადოებაში მე ერთიან და დაეიძნეოდი... მაგრამ ის მაინც კაცური მხენეობის პატრიონია, ის სულ სხვა ქალია, ვინამც ჩეენ ტარტალა და მეოჯახე დედა-კაცები. ის არის დიდი გულადღ და თავ-გამოშეტებული.

ეგროვტი

დიალ, თუ რომ საქმე ძალიან არ დაიფუშა, ამ შემთხვევაში კი ის ცოტა გზა დაბნეულია.

კლერხევნ

როგორ?

ეგროვტი

იმას პაწაწა ულვაშები აქვს და ზოგჯერ გულისოქმის ქარებიც აუტყდება. სწორეთ რაინდი დედაკაცია.

კლერხევნ

სახელმწიფო დედაკაცია. მე კიდეც მეშინია იმის წინ გასელა,

ეგროვტი

შენ რომ ჟერე მშიშარა ხარ? ეგ შიში კი არ უნდა იყოს, ქალური მორცხობაა-

(კლერკენი თვალებს ძრის დახრის, აიღებს იმის ხელს და მიეხრება მას). მესმის რასაც ფიქრობ, საყვარელო კლერკენ, გაბედე თვალების ამართვა (აკოცებს თვალებში).

კლერხენ

— მაცალე გაჩუმება, და, შენი თავი მეპყრას: მაცალე თვალებში გიცქირო, შიგ მე ყოველსავე ვპოვებ,— გულის სალავაოს, იმედს, სიხარულს და მწუხარებას! (ის შემოჰვევს ხელებს და უყურებს), მითხარი, თქვი, როდი მესმის.... ნუ თუ შენ ეგმონტი ხარ? გრაფი ეგმონტი, რომელსაც ასეთი ხმა აქვს დავარდნილი, რომელზედაც გაზეთებში სწერენ და რომელზედაც სასოებენ მთელი მაზრები?

ეგმონტი

არა, კლერკენ, მე ის ეგმონტი არა ვარ.

კლერხენ

როგორ?

ეგმონტი

ყური დამიგდე, კლერკენ! — დამაჯინე! — (ის დაჯდება. ქალი პრაწა სკამზე დაიჩოქებს) მის წინ,

მიეუღდება და შეჰყურებსიმას). ის ეგმონტი წალელია ნი, გულ-შეკრული, გულ-ცავი ეგმონტია, რომელიც თავს იჭერს და ხან ასე, ხან ისე უნდა იცვლიდეს თავის სახეს; ის დატანჯული, გაუგებელი და გაჭირებულია, მაშინ როდე-საც სხვებს ჰგონია, რომ ის მხიარული და უდარდელია; შეყვარებული ისეთი ხალხის-გან, რომელმაც არც კი ცვის, თუ იმას რა ჰქონს; პატივცემული და მაღლა აყვანილი ისეთი ურდოსაგან, რომელთანაც ვერჩას გამოიწყებ; შემორტყმული ისეთი მეგობრებით, რომელთაც ის ვერც კი ენდობა. ისეთი კაცებისაგან თვალყურ-ნადევნები; რომ ცდი-ლობენ ყოველნაირათ ხელში ჩაიგდონ; მშრო-მელი და ჯაფა-გამწევი, ხშირათ უმიზნო, თით-ქმის ყოველთვის უჯილდოო... ოპ, ნუ მათქმე-ვინებ, რასა გრძნობს ის, რას დარდობს! მაგ-რამ აი ეს ეგმონტი, კლერხენ, ეს არის მო-სვენებული, გულგალებული, ბეღნიერი, შე-ყვარებული და გაგებული საუკეთესო გული-საგან, რომელსაც ისიც აგრეთვე სრულათ.

იცნობს და სრულის სიყვარულით და გულ-
დანდობით ამ გულს თავისაზე დააკრავს [მო-
ქვება], ეს შენი ეგმონტია!

კლერხენ

ოჰ, და მოვკედე.. ქვეყანას ამის შემდეგ
რაღა სრხარულის მონიჭება შეუძლია!

მეოთხე მოქალაქა

ქუჩა

რეტრერ. დურგალი.

იეტტერ

ერ, შენ, შენიობელო, სიტყვა მაქვს!

დურგალი

წალი შენ გზაზე და მშვიდობით იყალი.

იეტტერ

მარტო ერთი სიტყვა. ახალი არა არის რა?

დურგალი

არაფერია გარდა იმისა, რომ ლაპარაკი დაშ-
ლილი გვაქვს ხელახლავ.

იეტტერ

როვორი?

დურგალი

მოიწიდ აქეთ, სახლისკენ. ფრთხილათ იყავ!
გერცოგ ალბამ მოსვლისა თანავე ბრძანება გა-
მოსცა, თუ რაი ან სამი კაცი ქუჩაზე შეგროვდა

და ლაპარაკობენ, ისინი განუკითხავათ ჩაით-
ვლებიან სახელმწიფო მოღალეობეთო.

იეტტერ

ვაიშე!

დურგალი

არამცა და არამც სახელმწიფო ვამგეობაზე
არაფერი თქვათ, თორემსაუკუნოთ დაგატყვე-
ბენ.

იეტტერ

ვაი, ჩვენო თავისუფლება!

დურგალი

არავინ გაბედოსო სახელმწიფო საქმეებზე
ცუდი ლაპარაკი, თორემ სიკვდილით დასჯიან.

იეტტერ

ვაი, ჩვენო თავო!

დურგალი

და დიდი საჩუქარი აქვთ დანიშნული მამებს,
დედებს, ნათესავებს, მეგობრებს, მოსამსახუ-
რებს, თუ, რასაც შინ გაიგონებენ, ყოველსავე
გადასცემენ სამსჯავროს, წრომელიც საკუთრათ
ამისთვის გაიმართა.

იეტტერ

წავიდეთ შპნ!

დურგალი

და ვინც ასე მოიქცევა, იმათ ჰპირდებიან, რომ არაფერს გასაჭირო მიაყენებენ არც მათ სხეულს, არც მათ ქონებას.

იეტტერ

რა მოწყალებაა! რაღაც თავი ცუდათ ვიგრძე მასაქეთ, რაც გერცოგმა ალბამ ქალაქში ფეხი შემოდგა. იმიერიდგან მე მგონას ცას შავი ზეწარი გადაეფარა და ისე ძირს ჩამოწოლილა, რომ ყოველი კაცი დახრილი უნდა დაიოდეს, რომ თავი არ შეკრას.

დურგალი

და როგორ მოგეწონა იმის მხედრები? ესენი ხომ სულ სხვა გვარის ზორბები არიან, ვინაშვი ასინი, რომელსაც თვალი მივაჩვიეთ.

იეტტერ

ფუ, გული ჩამაწყდება, როცა ამისთანა რაზმს ვხედავ, ქუჩა-ქუჩა რომ დადის. კელაპტარ-სავითაწურული ტაშისა, მტრული შეხედულობა და ყველას ერთი და იგივე ნაბიჯი, რამდენიც

რომ იყოს! და როდესაც გუშაგათ დგანან და
შენ იმათ წინ გაუვლი, ისე გიცქერენ, თით-
ქოს თვალი ტვინში და გულში გაგიყარესო.
ისე გაჭიმულათ და გაბერილათ უკავიათ თა-
ვი, ასე გგონია ყოველ კუთხეზე საპყრობი-
ლეს მცველი იღვეს. არა, არ მომწონს მე ისი-
ნი. ჩვენი მილიციები, აი, მხიარული ჯარი!
ისინი ცოტათი თავისუფლათ იქცეოდენ, ფრ-
ხებს განზე გაღმიდენ, ქუდს გვერდზე მოიქ-
ცევდენ, თვითონაც ცხოვრობდენ და სხვებსაც
არ უშლიდენ ცხოვრებას. ეს საძაგლები კი
სწორეთ მანქანებია, თითქო ყოველ იმათვან-
ში თითო ეშმაკი ზის.

დურგალი

ერთმა იმათვანმა რომ შესძახოს კაცი: „და-
დექიო“, და თოფი უშიჩნოს, როგორ გგონია,
შეჩერდება კაცი, თუ არა?

ივტორ

სწორეთ მკვდარ კაცსავით გავშეშდებოდი.
დურგალი.

წავიდეთ შინ.

იხტტერ

კარგი არა იქნება რა. მშეიღობით.

სოდესტი (გამოლის)

ეი, ძმობილო, ამქრებო!

დურგალი

ჩუმათ. გავსწიოთ,

სოდესტ

იცით?

იხტტერ

ცოდნაზე შეტიც ვიცით,

სოდესტ

რეგენტინი წავიდა.

იხტტერ

ახლა კი, ღმერთო, დაგვიფარე!

დურგალი

ის გვიფარავდა კიდევ!

სოდესტ

უცბათ და ჩუმათ მოხდა ეს ამბავი. გერ-

ცოგთან ვერ, მოჲთანხმდა; ღმან აზნაურობას

აცნობა, კიდევ დაებრუნდებო. არავის, არ

სჯერა ეს ამბავი.

დურგალი

ღმერთმა მიუტეოს აზნაურობას, რომ ნება
მისცა ყელზე ეს ახალი ულელი დაგვდგომო-
და. იმას შეეძლო, რომ ეს არ მომხდარიყო.
ჩვენი უფლება დაიღუპა.

იმტორ

თუ ღმერთი გწამო უფლებებზე ნუ ლაპა-
რაკობთ. მე ვგრძნობ, რომ სიკვდილით და-
სჯის სულმა მოატანა, მზეს გამოჩენა აღარ
სურს, ღრუბელიც აქოთებულია.

იმტორ

ორანიელიც წავიდა.

დურგალი

მაშ ყველამ დაგვაგდო უპატრონოთ.

სოხესტ

გრაფი ეგმონტი კიდევ აქ არის.

იმტორ

დაილოცა ლეთის სახელი! ყოველი წმინ-
დანი იყოს იმისი შემწე, რომ კარგათ მოიქ-
ცეს: მარტო ის თუ რასმე გვიშველის.

ვანზენ (გამოდის)

ბოლოს ეს სამი კაცი შაინც ვნახე, რომელნიც ჯერ კიდევ არ გალალულან?

იეტტერ

თუ ღმერთი გწამსთ, თქვენ გზაზე წადით.
ვანზენ

თქვენ ზდილობიანათ ვერ იქცევით.

დურგალი

რა დროს ზრდილობაზე ლაპარაკია. აგიჭავდათ ზურგი? განა მოგირჩათ?

ვანზენ

ჰკითხე მხედარს შენი ჭრილობა რას ვი-
შეება თქო. მე რომ გალახვას მოერიდებო-
დი, ჩემს დღეში ვერას გავაწყობდი.

იეტტერ

შეიძლება უარიესიც დაგემართოს.

ვანზენ

როვორც გეტუობათ, ჭექა-ქუხილის მოახ-
ლოვების გამო, თქვენ სხეული საშინლათ დაგ-
ბრუშებიათ.

დურგალი

შენი სხეულის ნაწილებს სხვაგან მოგრძენენ, გაჩუმდით თორე.

ვანზენ

ამ საწყალს თაგვებს სულ იმედი ეკარგებათ, როცა შეიტყობენ რომ სახლის პატრონს ახალი კატა მოუყვანიან! ის კატა სხვანაირათ მოიქცევა, მეტი კი არაფერი იჭირდა. მავრამ ჩვენ მაინც როგორც უწინ, იმნაირათვე ნელ-ნელა წავმართავთ ჩვენ საქმეს, ნუგეშინიათ.

დურგალი

შენ შეუპოვარი ცულლუტი ხარ!

ვანვზენ

საწყალო უგნურო! დაე, გერცოგმა თავის საქმე აკეთოს. მაგ ბებერ კატას თაგვების მაგივრათ ეშმაკები უჭამია და ვერ ინელებს. დაცალეთ. იმანაც ხორ უნდა სჭამოს, სეას და დაიძინოს, როგორც სხვა კაცებმა. მე სრულებითაც არ მეშინია, ჩვენ თუ დროს კარგათ მოვიხმართ. ჯერ საქმეს, ჩქარო წარყვანს.

მერე ისიც დაინახავს, რომ სამზარეულოში ძეხვების გვერდით წამოწოლა და ღამით შევი-
დი ძილი უმჯობესია, ვინამც საკენჭე მოტ-
ყუებით რამდენიმე თავებს შეპყრობა. დამი-
ჯერეთ, მე კარგათ ეიცნობ გამგებლებს.

დურგალი

ამისთანა კაცს რა არ შოუვა თავში! მე
რომ ჩემს სიცოცხლეში ამისთანა რამე ვთქ-
ვა, შიშით ერთს წამსაც ვეღარ მოფისვენებ-
დი.

ვანზენ

რა გაწუხებს! თეითონ ლმერთმა არ იცის
თქვენისთანა მიწის ჭიების ამბავი, თორემ
გამგებელს საითგან ეცოდინება.

იეტტერ

წყეული ეის პატრონი!

ვანზენ

მე ეცნობ სხვებს, რომელთაც უმჯობესი
იქნებოდა ძარღვებში მკერველის სისხლი სდგო-
მოდათ, ვინამც გრინების გამბედაობა.

დურგალი

რაგინდა მაგითი თქვა?
ვანზენ

ჰმ, გრაფზე ვამბობ.

იეტტერ

ებმონტზე, იმას რისა უნდა ეშინოდეს?
ვანზენ

მე ერთი საწყალი კაცი ვარ და მთელი
წელიწადი შემეძლო თავი მერჩინა იმითი,
რასაც ის ერთს სალამოს დააბნევს. და ის
მთელ თავის წლის შემოსავალსაც მომცემ-
და, რომ მეოთხედს საათს მაინც ჩემი თავი
ებას მხრებზე.

იეტტერ

შენ შენი თავი მართლა რაღაცათ მიგაჩნია
ეგმონტის თმაში უფრო ბევრი ჭკუა არის,
ვინამც შენს ტვინში.

ვანზენ

ჭკუა კი იქნება იყოს, მაგრამ მიგნება კი
არა. დიდ-კაცები ყველაზე უფრო ადრე სცდე-

ბიან. იმათ როდი უნდა დაენდობოდეს ეგ-
მონტი.

იეტტერ

რას როშავს, მერე იმისთანა კაცზე!

ვანზენ

დიახ, იშიტომ რომ ის მკერვალი არ არის.

იეტტერ

ცუდი ენის პატრონი ხაჩ!

ვანზენ

მე მსურს თქვენი მხნეობა ერთს საათს
მაინც გადასულიყო იმის ძარღვებში, რომ
იმას აღეშფლოთებინა ის კაცი და იმდენი ეჩმი-
ტა და აეწვა იმისი კანი, რომ ჭალაჭი დაცვდო
და წასულიყო.

იეტტერ

თქვენ სწორეთ გიჟსავით ლაპარაკობთ. ის აქ
ისე უშიშრათ არის, როგორც ცაზე ვარსკლავი.

ვანზენ

არ გინახავს, რომ მომწყდარი ვარსკლავი
გამქრალიყოს?

კრებული

დურგალი

ვინ რას უზამს იმას?

ვანზენ

ვინა? შენ დაუშლი? ხალხი არ აჯანყო,
თუ დაიჭირეს?

იეტტერ

აჲ!

ვანზენ

თქვენ გვერდებს გამოიმეტებთ იმისთვის
თუ?

სოესტ

ეჲ!

ვანზენ (გაიცინებს)

იჲ, აჲ, უჲ! თუნდ ყველა ანბანებიც ჩამოს-
თვალეთ, გაიკვირეთ ძალიან. ასეა და ასეც
მოწდება. ღმერთი იყოს იმის მფარველი!

იეტტერ

მე განცვილებული ვარ თქვენ უირცხვი-
ლობისაგან, მაგისთანა კეთილშობილს პატიო-
სანს კაცა რისა უნდა ეშინოდეს?

ვანხენ

გაიძვერა ყოველგან მოგებულია. როცა ის სამეჯავროს წინ სდგას ის მახეში ავებს თეთრ სამართალს. როცა ის თეთრონ მოსამართლეა, ის სიამოვნებით მართალს მტყუანათ გამოიყვანს. მე შემხდა ერთი იმისთანა პროტოკოლის გადაწყრა, რომლის დამწერს სასახლიდამ ბეჭრი ქებით და ფულით დაჯილდოება ერგო იმის გულისთვის, რომ იმან გამოძიება ისე წაიყვანა, რომ დამნაშავეთ და ავაზაკათ გამოიყვანა ერთი პატიოსანი კაცი, რომელსაც ემტერებოდენ.

დურგალი

კიდევ ცხადი ტყუილი გაპენტია. რა შეუძლია გამოძიებას, თუ კაცი მართალია?

ვანხენ

ოჰ, შენ ბეღურას თავიანო? როცა გამოძიებიდამ არა გამოდის რა, შიგ იმას ჩასჩინიან, რაც სურთ. პატიოსნება კაცს წინადაუსედველათ და ამაყად ამოქმედებს. ჯერ წყნარათ დაუწყებენ კითხვას და ტუსალი, რომელიც, როგორც ამბობენ ხოლმე, თავის სიმართლით

ამპარტვანობს, ვულგაშლილათ წარმოსთქვამს იმისთანა რამეებს, რასაც მოხერხებული კაცი დამალავდა. მსაჯულები (ინკვიზოტორები) იმათ პასუხებიდამ ადგენენ ახალ კითხვებს და ელიან იმ დროს, როცა პასუხის გებაში ცოტა რამ ერთი-ერთმანეთის. წინააღმდეგი აზრები შეიძნევა. მაშინ უტბათ დაუდგმენ მახეს და თუ საწყალს შეეშინდა, რომ აქ მეტი უთქვამს, იქ ნაკლები, ან ლმერთმა იცის რის გულისათვის არ გამოუცხადებია ზოგიერთი გარემოება, ან შეშინებულა საღმე, მაშინ კი გაკეთდა საქმე! გარწმუნებთ, საწყალი კაცი, რომელიც ჩერების ძებნით და ყიდვით ჩხება, ისე გულს მოდგინეთ, არ ჩხრეკს ნაგავს იმათ შესაკრებათ, როგორც ეს ბოროტების მხარხეველი სჩხრეკს წვრილმანს, ორნაირათ გასაგებს, გადასხვაფერებულს, გადაყენებულს, შეცვლილს, მიგნებულს, უარ-ნათქვამს და გამოტეხილ გარემოებებს, რომ იმათგან ჩატების შესაშინებელი ძონძიანი საფოხობის შედგენა შეიძლოს, და ამით დამნაშავის სურათის ჩამორჩდა მაინც მოა-

ხერხოს. და ამ სმწყალმა ღმერთს მადლობა. უნდა შესწიროს, თუ ამ თავის ჩამორჩობის დანახვა შეიძლო.

იეტტერ

ძალიან გაქნილი ენა არა აქვს?

დურგალი

იქნება ასე იჭერენ ბუზებს. მაგრამ ბზიკს თქვენი ობობების ქედელის როდი ერიდება —
ვანხვნ

ეს ობობაზე ჰქიდია. შეხედეთ იმ მაღალ გერცოგს როგორი წერილი ტანის ობობაა, იმათ გვარი კი არა, რომელთაც სხვილი მუცელი აქვთ და იმდენათ ფიცხი არ არიან, ეგ უფრო გძელ ფეხებიანის გვარისაა და წერილ-ტანიანების, რომელნიც თუმც ბევრს სჭამენ, მაგრამ არ სუქდებიან, და რომელნიც ძალიან წმინდას და თან მაგარს ქსელს აბმენ.

იეტტერ

ეგმონტი ოქროს მატყლოვანი ორდენის რაინდია; ვინ გაბედავს იმის ხელის შეხებას? მხოლოდ იმის თანასწორებს შეუძლიან ის

გაასამართლონ, მხოლოდ ორდენის კრებამ უნდა განსაჯოს იმისი მოქმედება; შენმა თავ-ახსნილმა ენამ, შენმა ბოროტმა სიწლისმა წა-მოგაროვინა ეგ.

ვანჭენ

განა მე ამით მისთვის ცუდს ვეძებ? მე რა?... ჩემთვის ვიქნები. ის ძალიან კარგი კაცია. რამდენიმე ჩემი ამხანაგთაგანი სხვა ალაგას იქნება კადეც ჩამოეხმოთ, იმან კი მხოლოდ წააწვენინა, აცემინა და გაუშვა. ახლა წადით, წადით მე თქვენ ამას თვითონ გირჩევთ. აი იქ მე შევენიშნე. რომ გუშაგი ჯარი მოდის; ისინი ისეთები არ არიან, რომ ეგრე ადვილათ ჩენთან ძმური ღვინო დალიონ. თვალყური გვეჭიროს და წყნარათ უცქიროთ საჭმეს. მე ორიოდე ქმისწული მყავს ქალები და ერთი მიკიტანი. როცა ესენი გაუშავინძლდებიან და ამის შემდეგ ისინი თუ არ გაშინაურდებიან, ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი მოუშინაურებელი მგლები ყოფილან.

კულებშურგის სასახლე, გერცოგის ალბის სადგომი.

სილვა და გომეც (ერთმანერთს შეხვდებიან) სილვა

გერცოგის სიტყვა აასრულე?

გომეც

სიტყვა-სიტყვათ. ყველა დღიურს გუშაგებს
ნაბრძანები აქვთ, დანიშნულს დროს სხვა და
სხვა მაედნებზე გავიდნენ, რომელიც მე ა-
უნდშნე; ამას თანავე იმათ უნდა იარონ ქ-
ლაქში, რომ წესი არ დაირღვეს? არც ერთმა
არ იცის, სხვებს რა აქვს ნაბრძანები, ყოველს
იმათგანს სჯერა, რომ ბრძანება მე მაქვს მო-
ცემული, ასე რომ ერთს წამს შეიძლება რაზ-
მი ქალაქს შემოერტყას და ყოველი გასასე-
ლულ კარებიან სასახლეში გუშაგი იდგეს.
იცი, რა ახრი აქვა! ამ ბრძანებას?

სილვა

მე დაჩვეული ვარ თვალ ახვეულს მორჩი-
ლებას და ისე ადვილათ, როგორც გერცო-
გს სხვას ვის დაემორჩილება კაცი? შემთხვევა

და შედეგი ყოველთვის მაღა ამტკიცებს,
რომ იმას ჩინებული ბრძანება გამოუცია.

გოვეც

კეთილი, კეთილი. მე მგონია, საკვირველიც
არ არის, რომ შენ ეგრე გულ-ჩახვეული
და ჩუჭი ხარ, როგორც ის, შენ, რომე-
ლიც ყოველთვის იმასთან უნდა იყო. მე
კი ძალიან მცუცხოვება, რათგან სუბუქ
სამსახურსა ვარ მიჩვეული იტალიაში. მე
ყოველთვის მორჩილი და ერთ-გული ვარ,
მაგრამ ლაპარაკსა და ბაასს ვარ მიჩვე-
ული. ოქენ ყველანი გაჩუმებული ხართ და
თავისუფლებას არ იძლევთ ოქენ თავს. გერ-
ცოგი მე შალალი კოშკი მგონია, რომელსაც
შესასვლელი კარები არ აქვს და ფრთიანი
გუშაგებიც უყენია. ამას წინათ საღილობის
დროს ყორი მოვკარი მის აზრს ერთ. მხია-
რულ და გულკეთილ კაცზე: ის ერთს საძა-
გელს სამიკიტნოს ჰვაესო, რომელზედაც მიკ-
რულია ამგვარი განცხადება: „აქ არაუკა ჰყი-

დიან,” და რომელსაც ცული კაცები, გლახე-
ბი და ქურდები ესვეიანო.

სილვა

და განა საიდუმლოს კარგათ შენახვით
არ მოგვიყვანა იმან ჩვენ აქ?

გოგეც

ეს კი მართალია. ვინც მის გაფრთხილე-
ბულ მოთავობას დაესწრო, იმას შეუძლია თქვას,
მინახავს რამეო. იტალიიდგან აქამდის რო-
გორ მოიყვანა ჯარი, როგორ მოხერხებით
ძრღებოდა მოყვარესა და მტერს შუა, ფრან-
ცუზებში აჯანყებულებსა და კაროლის მომ-
ხრებს შუა, შვეიცარიელებსა და შერივე-
ბულ გერმანიელებს შუა როგორ ფიცხათ
დაიცვა ჯარში წესიერება და როგორ ადვი-
ლათ და უფათერაკოთ აასრულა ეს საქმე,
რომელიც ყველას ასე საშიში ეგონა.
ჩვენ ბევრი რამ ვნახეთ ჭკუაზე დამყენებელი

სილვა

აქაც ყოველგან ისეთი სიჩუმე და შეიდო-

ბიანობაა, თითქოს აჯანყება სულაც ამ ყო-
ფალიყოს

გოგეც

ჩეენ რომ მოვედით, მაშინაც თითქმის სულ
ყოველგან მშეიღობიანობა იყო.

სილვა

მაზრებში ეხლა კიდევ უფრო მეტი მშეი-
ღობიანობა; და თუ საღმე შოძრაობაშია ჭინ-
მე, შხოლოდ იმის თვის, რომ გაიქცეს. მაგ-
რამ მე მგონია ამის გზებაც მალე შეკრამს.

გოგეც

აი მაშინ კი საბოლოოთ მოიპოვებს კაროლის
მოწყალებას.

სილვა

და ჩვენ კი სხვა საქმე არა ფირჩ გვაქნა.
იმის მეტი, რომ შისი მოწყალება შევირჩინოთ.
თუ კაროლი მოერდა, გერცოგი უეჭველათ
დარჩება და ვისაც ის წარავენს; იმას კარო-
ლი უჯილდოვოთ არ დააგდებს.

გოგეცი

შენ გგონია, კაროლი მობრძანდება?

სილვა

იმდენი მზადება აქვთ, რომ იმისი მოსკოლა
შესაძლებელი საქმე მფრინავა.

გოგოც

ეს მზადება მე კი ვერ მარწმუნება.

სილვა

მაგას მაინც ნუ იტყვი: თუ კაროლს
მოსკოლის განზრახვა გულში არა ვქვს, ცხადია
იმას სურს, რომ სხვას მისი მოსკოლა სჯერო-
დეს.

ფერდინანდი (ალბან უკანონო შეილი)

მამაჩემი ჯერ არ გამოსულა?

სილვა

ჩეენ იმას უცდით.

ფერდინანდი

თავადები მალე მოვლენ.

გოგოც

დღეს უნდა მოჟიდენ?

ფერდინანდი

ონარიელი და ეგმონტი.

გოგევი (სილვას ჩუმათ)

მივხედი, რაც ამბავია.

სილვა

შენთვის შეინახე.

გერცოგი ალგა

(როცა გამოდის, მოსამსახურები გზას უტევენ)

გოგევი

გოგევი (წინ წაღვება)

ბატონო!

ალგა

ყარაულები ხომ დაარიგე და დააყენე თავ-
თავის ალაგს?

გოგევი

როგორც თქვენი ბრძანება იყო. დღიური
გუშაგები—

ალგა

კმარა. შენ დერეფანში მოიცადე. სილვა
შეგატყობინებს, როცა უნდა გამოიყენო ისი-
ნი ერთად და სასახლის გასავალ კარებში
უნდა დააყენო. დანარჩენი შენ იცი.

გოგევი

დიალ, ბატონო (გადის)

ალბა

სილვა!

სილვა

აქ გახლავარ.

ალბა

რასაც დიდი ხანია შენში ვაფასებ, მხნეობას, თავ გამომეტებას, ბრძანების მტკიცე ას-რულებას, ყოველივე დღეს უნდა გამოაჩინო.

სილვა

გმადლობთ, რომ მაძლევთ შემთხვევას და-ვამტკიცო, რომ ყოველთვის მე იგივე ვარ.

ალბა

როგორც კი თავადები . ჩემთან მოვლენ, მაშინ დაეშურე ეგმონტის მდივნის დასაჭერათ. დანარჩენების დასაჭერათ, ვინც კი უნდა დატუსალდეს, ხომ ყოველივე მომზადებული გვაქვს?

სილვა

დარწმუნებული ბრძანდებოდეთ. ისე მტკიცეთ და უცვალებელათ დაეცემა იმათ მათი ბედის წერა, როგორც კარგათ გამოანგარი-

შემოტკიცავთ
მზის დაბნელება.

აღგა

ხომ ნიადაგ თვალი უჭირავთ იმათზე?

სილვა

ყველაზე; ეგმონტზე კი სხვაზე უფრო; მარტო ის ერთია, რომელსაც თავისი ყოფა ქცევა არ გამოუცვლია; მას აქეთ რაც თქვენ აქ ბრძანდებით. მთელი დღე დასეირნობს და ცნენებს იცვლის, პიტიკობს სტუმრებს, ყოველთვის მხიარულია და სადილზე შემქცევი, თამაშობს ძვლებს, სროლა აქვს და ღამით საყვარელთან მიიპარება. სხვებმა კი ამის მაგიერათ, შესანიშნავათ შეაჩერეს თავისებური ცხოვრება; ისინი თავთავიანთ: სახლში ზიან; გარეუამ რომ შეხედო, ვეგონება თთქოს შინ ავათ მყოფები ჰყანანო.

აღგა

მაშ ჩქარა, თორემ ისინი რომ არ ვეინდა
ისე მორჩებიან.

სილვა

აჩემი თავი იყოს მათვი თავდებია თქვენის.

ბრძ ნებისამებრ ჩვენ იმათ ნამეტანი თავაზია-
ნობით ვეპფრობით- ეს იმათ აშინებს, მაგრამ
პოლიტიკით მაინც ძალდატან ებულ მაღლო-
ბას გვეუბნებიან. ისინი გრძნობენ, რომ მათ-
თვის ყველაზე უგონიერესი გაქცევა იქნებო-
და. ვერავინ ველარ ბედავს ნაბიჯის წინ წად-
გმას, აღარ იციან რა ქნან. შეერთებას ვერ
ახერხებენ. და ამქრობის სული როდი ვისმე-
აძლევს. ნებასა ცალცალკე რამე გაბედონ.
იშათ სურთ რომ ყოველივე ეჭვი თავიდამ აი-
ცილონ, და ამით უფრო და უფრო საეჭვონი
ხდებიან. სიხარულით ვნიშნავ, რომ თქვენი
განზრახვა ბეჯითად ასრულდება.

ალგა.

მე მარტო ის მახარებს, რაც ასრულებუ-
ლია, და ადვილათ არც მაშინ ეხარობ, ამიტომ
რომ ყოველვის ისეთი რამე რჩება, რომელიც
ჩვენი საფიქრებელი და საშიშოა. ბედი და-
უდვრომელია, ხშირათ უბრალო და ულირსი
საქმეა მოწონებაში და რაც კარგათ მოსაზ-
რებულია ის კი დარჩება გაკიცხული უხეირო
6

ბოლოს გამო. მოიცავდე, სანამდის თავადები შოვიდოდენ: მაშინ გომეცს ბრძანება მიეცი, ქუჩები ჯარებით შეკრას და თვითონ შენ დაეშურე, რომ ეგმონტის მდივანი და სხვები შეიპყრო, რომლებიც მოხსენებულია ბრძანებაში. ესეები რომ შეასრულო, მოდი აქ და ყოველივე მოახსენე ჩემ შეილს, რომ რჩევაში მომიტანოს ამბავი.

სილვა

იმედი მაქვეს ამ საღამოს თქვენ წინ გამოცხადება შემეძლება.

სლბა (შეილს მიუახლოვდება, რომელიც აქამდის ლერეფანში იდგა)

სილვა

ჩემს, თავს ვერ გამოუტყდები, თორემ ჩემი იმედი როგორლაც, საეჭვოა. მეშინია, ვაი თუ ისე არ იქნეს, როგორც ის ფიქრობს. მე ვხდავ ჩემ წინ სულებს, რომელნიც გაჩერებული და ჩაფიქრებული სწონიან შავს სასწორზე თავადებისა და უთვალავი ხალხის ბედს. ნელა გადად-გადმოდის სასწორის ისარი და არ

ჩერდება შეუ, ალავს. მსაჯულნი ღრმათ ჩაფი-
ქრმბულნი მეჩვენებიან. ბოლოს სასწორის
აქეთა მხარე დაეშეა, იქითა ადის თავი ნება-
ზედ, ბედმა დაპქროლა და საქმე გადაწყდა
(გადის)

ალბა (ფერდინანდი უკან მოსდევს)

რა ამბავია ქალაქში?

ფერდინანდი

უველა მოვალეობის მორჩილია, მე დიდ-
ხანს დავსეირნობდი ერთი ქუჩითგან მეორე-
ზე, თითქო დროს გასტარებლათ. თქვენმა
ქალაქში განაწილებულმა გუშაგებმა ისეთს
შიშში ჩააგდო ხალხი, რომ ჩუჩუნიც აღარ
არის. ქალაქი ისეთ ველს დაემსგავსა, საღაც
შორს ჭექა მოესმის და ამისა გამო ყოველი-
ვე მიმალულა; არც ფრინველი, არც ცხოვე-
ლი აღარსაით სჩანს, გარდა ზოგიერთის, რო-
მელიც შეშინებული მირბის თავის ბინაზე.

ალბა.

სხვა პრა შეგხვედრია რა?

უერდინანდი

ეგმონტი თავის მხლებლებით შაიდანზე
მოდიოდა ცხენით. ჩვენ ერთმანერთს მიცემ-
შვიდობეთ; ის იჯდა ერთს გარდარეულ ბედა-
ურზე, რომელიც ვაქე. „ვეცადოთ ცხენების
გახედნაო, დაიძახა, მალე დაგვჭირდებაო.“ მე-
ორეთ კიდევ გნახავ დღესო, მითხრა, თქვენის
მოპატიუების თანხმათ მოვალო თქვენთან
რჩევაში.

ალბა

მეორეთ გნახავს.

უერდინანდი

რაც აქ რაინდებს ვიცნობ, ყველაზე უფ-
რო ის მომწონს. როგორც სჩანს, ჩვენ დავ-
შეგობრდებით

ალბა

შენ კიდევ ყოველთვის ჩქარი გულისა ხარ
და თაფ-დაუკავებელი. მე ყოველთვის გამჩ-
ევ შენ დედისშენის ცუბუქ ხასიათს, რომელ-
იც ას მე უპარობოთ ხელში ჩამიგდო. გა-

რეგან შეხედულებას შენ მრავალს საშიშარს
კავშირში ჩაუთრიევიხარ.

ფერდინანდი

თქვენს ნებას მე ყოველთვის ვემორჩილები
აღბა

შენს აჭალიგაზდა სისხლს უნდა ვაპატიო
ეს სუბუქი გულის თქმა, ეს უდარცელი მხი-
არულება. მაგრამ არ დაივიწყო, რა საქმის
თვის გარ გამოგზავნილი და რა ნაწილი მინ-
და გიზიარო.

ფერდინანდი

გამახსენეთ და ნუ დამზოგავთ, სადაც სა-
ჭიროთ დაინახოთ.

აღბა (ცოტახანს შემდვგ)

ჩემო შვილო!

ფერდინანდი

მამავ!

აღბა

მთავრები მალე მოვლენ, ორანიელი და
ეგმონტი მოვა. დაუნდობლობა არ გეგონოს,
რომ მარტო ახლა გიმხელ იმას, რაც უნდა

მოხდეს: ისინი აქედგან აღარ უნდა წავიდნენ.

ზერდინანდი

რა აზრი გაქვს?

ალგა

გადაწყვეტილია, ისინი უნდა დატყვევდენ. — რამ გავაშტერა, გაიგონე, შენ რა უნდა ქნა; როცა ეგ ასრულდება, მიზეზს მაშინ შეიტყობ, ახლა მაგის ახსნის დრო არ არის. მე მსურს მარტო შენ მოგელაპარაკო ხოლმე უმძიმეს სა უსაიდუმლოეს - საქმეებზე. ჩვენ ორივეს ერთი მაგარი კავშირი შეგაერთებს; შენ ჩემი ლირსეული და საყვარელი შეილი ხარ; მე მინდა ყოველივე შენ მოგანიჭო; მე მარტო ის კიარა მსურს; რომ შენ თავში მორჩილების ჩვეულება ჩაგიბეჭდო: მინდა გადმოგცე ეს ნიჭი, რომ მოჭრით შეგეძლოს ლაპარაკი, უბძანო, განზრახვა აასრულო, მინდა დავტოვო შენთვის — დიდი მცმევიდრეობა, კაროლისთვის — ძალიან მაჭირო ყმა მინდა გიანდერძო შენ ყველაზე უძვირფასე

სი ჩემი თვისება, რომ შენს ძმებში გარევა-
სასირცხოთ არ გქონდეს.

ფერდინანდი

როგორ შემიძლია გადვიხადო შენი სიყვა-
რული, რომელიც მარტო მე მომავე, მაშინ
როდესაც მთელი სამეფო შენ წინ თრთის!

ალბა

ახლა გაიგონე, რა უნდა ქნა. როგორც კი
მთავრები მოვლენ, ყოველი გასავალი კარი
სასახლეში მუშაგით უნდა იყოს დაჭერილი.
ეს ვომეცს აქვს ნაბინები. სილვა უნდა დაე-
შუროს, რომ ეგმონტის მდივანი და სხეა სა-
ეჭვო პირები შეიპყრას. შენ გუშაგებს წესიე-
რათ მოუვლი, კარებთან და ეზოში, ყველაზე
უფრო ადრე ამ ახლო ოთახებში დააყენე
ძალიან საიმედო კაცები; სანამდის სილვა
დაბრუნდებოდეს, დერეფანში მოიცადე და
მოშიტანე რამე უბრალო ჭალალდები, რომ-
ლითაც შევიტყობ, რომ იმას თავისი მონა-
ბილობა შეუსრულებია. მერე ზაღის წინ იდექი,
სანამდის ორანიელი არ წავა; გაჰყევი. მე აქ

ეგმონტს მოვაცდევინებ, უითამც და კიდევ
მსურდეს იმის სათქმელათ. დერეფნის ბოლოს
ორანიელს ხმალი მოსთხოვე, გუშაგს დაუძახე
და ეს საშიში კაცი ჩქარა დაიჭირე. ეგმონტს
კი მე აქ შევიპყრობ.

ფერდინანდი

თქვენს ნებას შევასრულებ; მამავ, თუმცა
პირველია ჩემგან მისი გულ-დამძიმებულათ
და ნაღვლიანათ შესრულება.

ალბა

მოგეტევება. ეს დღე პირველი დიდი დღეა
შენს სიცოცხლეში.

სილვა (შემოდის)

ან ტერაენითგან შივრიკია. ორანიელის
წიგნი გახლავთ! ის არ მოდის.

ალბა

ეგ შაკრიკმა თქვა?

სილვა

არა გული მეუბნება.

ალბა

ჩემი ბოროტი სული ამბობს შენი პირით

(როცა წიგნს წაიკითხავს ორიექს ანიშნებს და ისინი დერეფანში გავლენ• ის მარტო ჩჩება წინა სცენაზე) არ მოღის! უკანასკნელ წამამდის არ უნდა წინააღმდეგათ თავი გამოიჩინოს. ის ბედავს, არ მოსვლას! ამ შემთხვევაში, მოულოდნელათ, გონიერი საკმაოთ გონიერათ მოიქცა, რომ წარმოუდგენელ გამბედაობას დაადგა!... ჟამი მოახლოვდა. ცოტალა დარჩომია საა- თის ისარს გასავლელათ და დიდი საქმე ან ასრულდება, ან ხელითგან წაგვივა, სამუდა- მოთ წაგვივა; ამიტომ რომ იმას ვერც მოე- წევი და ვეღარც დაფარავ. დიდ ხანს მოსაზ- რებით ავწონე ყოველივე ესენი, წინათვე წარმოვიდგინე ეს შემთხვევაც; გადაჭრით გადავწყვიტე, როგორ უნდა მოვქცეულვი- ყავი, ეს შემთხვევა რომ ასრულებულიყო. და ახლა, როცა საქმე შესრულებაზეა მიმდგარი, ძლიერ ვიმაგრებ თავს, არ შევირყე და ჩემ გულში საქმეს კიდევ ყველა მხრით ესწონავ. ჟითამ სჯობია სხვები შევიპყრო, როცა ის ჩემი ხელითგან წასულიაშ

ლავიცადო, ვაი თუ ეგმონტი და ამდენი იმისა
მომხრენი სულ გამიძერენ ხელითგან, რო-
მელნიც ამჟამათ და იქნება მარტო დღეს შეა-
ვან ხელში. ნუ თუ ბედმა შენც დაგამარცხა,
შენ, დაუმარცხებელო! რა დიდი ხნის ნაზრე-
ვია! რა კარგათ არის მომზადებული, რა დიდი
და შეენიერი პლანია! რა ახლოა იმედი თა-
ვის მიზანთან. და ახლა, ამ საქმის ვადაწყვე-
ტის ჟამს შენ ორ ცეცხლს შუა ხარ; თით
ქოს დახურულ ყუთითგან გამოუცნობელის
მომავლის ბედის წერილს იღებ. რაც ხელში
მოგყვა, ის ბედის წერილი, ის ბილეთი ჯერ
კიდევ შეხვეულია, გამოუცნობია, ან მოგებაა, ან
წაგება (შეჩერდება, თითქოს რაღაც მოესმაო და ფანჯრისკენ
წავა) ის არის!.. ეგმონტი! მხიარულათ მოჰყევ-
ხარ შენს ცხენს, ის არ კრთება სისხლის სუნზე,
და იმ მოჩერების დანახვაზე, რომელიც მო-
ელვარე ხლმით აღჭურვილი შენ ჭიშკართან
შემოგეგებაში.. გადმოხტი. ახლა ერთი ფეხი
საფლავში ჩაადგი... ახლა ორივე ფეხები! მოე-
ჭერო, დიახ, გავაზე ხელი გადუსვი უკანასკნე-

ლათ, აქ მოყვანისთვის მაღლობის ნიშნათ. აღარა მაქვს რა სარჩევი. ისე ბრძათ, როგორც დღეს მოდის, ეგმონტი მეორეთ აღარ ჩაგვიგზებს თავს ხელში! გესმისთ!..(ფერდინანდი და სილვა შემორბიან) აასრულეთ, რაც გიბბანეთ. მე ჩემს გადაწყვეტილებას აღარ გამოკველი, რაც უნდა მოხდეს. მე ეგმონტს აქ მოვაცდევინებ, სანამდის სილვასაგან ამბავი არ მომივა. ახლოს იყავი. ბედი შენ უაღრეს პატივს გართმევს— კაროლის უპირატესი მტრის დაჭრისას. (სილვა) დაეშურე. (ფერდინანდი) შეხვდი. (ერთ წამს ალბა მარტო რჩება და ჩუქათ წინ და უკან დადის).

ეგმონტ (შემოდის)

მე მოველ კაროლის ბძანების მოსასმენათ, შევიტყო, რა სამსახურს ითხოვს ჩემის ერთგულებისაგან, რომელიც საუკუნოთ იმისთვის არის.

ალბა

ყველაზე უწინ იმას ჰსურს, რომ თქვენი რჩევა მოისმინოს.

ეგვიპტი

რა საქმეზე? ორანიელიც მოვა თუ არა? მე
ის აქ მეგონა.

ალბა

ჩემთვის ძალიან საწყენია, რომ ამისთანა
მძიმე ჟამს იმან გვიმტყუნა. კაროლსა ჰსურს
თქვენი რჩევა და აზრი შეიტყოს იმაზე, თუ
რა საშუალებით დავამშვიდოთ ეს ქვეყანა. იმას
იმედიც აქვს, რომ თქვენ დიდის მხნეო-
ბით დაეხმარებით ამ შფოთის დასაწყნარებლათ,
და მაზრებში სრული და ხანგრძლივი წესიერე-
ბის დასამყარებლათ.

ეგვიპტი

თქვენ ჩემზე უკეთ სცნობთ, რომ ყოვე-
ლავე დიღი ხანია დამშვიდდა და კიდევ უფრო
დამშვიდებულიც იყო, სანამ ეს ახალი მხედ-
რები არ მოვიდენ და ხელ ახლავ შიშით და
ეჭვით აშფოთეს ყველასი გონება.

ალბა

მე მგონია, თქვენი პასუხით გსურთ ის აზრი

გამოთქვათ, რომ კაროლი უფრო გონიერათ
მოიქცევოდა, რომ მე აქ არ გამოვევზავნე.

ეგმონტი

უკაცრავათ, კაროლს უნდა გამოევზავნა
ჯარი, თუ ჯარზე ათასჯერ უფრო მეტი გავ-
ლენა თვითონ მისი დიდებულების პირად
შობძანებას ექნებოდა,—ამის განსჯაში შესლა
ჩემი საქმე არ არის. ჯარი აქ არის, კაროლი
კი არ მობძანებულა. მაგრამ ჩვენ ძალიან
უმაღლური უნდა ვყოფილვიყავით, ძალიან უყუ-
რადლებო, რომ არ გვახსოვდეს, რა დავალება
მიგვიძლვის ოეგენტინის წინაშე. გამოვტყდეთ,
რომ იმან გონიერი და მხნე მოქადებით
თავის გავლენით და სახელით, შეგონებით
და ხერხიანის ყოფა-ქცევით აჯანყებულები
დააწყნარა და მთელ ქვეყანას აკვირვებს, რომ
იპან რამდენიმე თვის განმავალობაში აჯანყე-
ბული ხალხი ისევ თავის მოვალეობაში
ჩააგდო.

ალბა

ამას არ უარესოფ. შფოთი დაწყნარებულა

ყოველი კაცი თავის მორჩილების საზღვარში ჩადგა. მაგრამ ყოველს იმათვანს თავის ნებაზე არ შეუძლია ამ მორჩილებიდამ ხელახლავ გამოსვლას ვინ დაუშლის ხალხს, რომ კიდევ თავი არ აიშვასი სად არის ძალა იმის დასაჭრათ ვინ დაგვაჯერებს, რომ ის შემდევ-შიაც ერთგულათ და მორჩილათ მოიქცევას მარტო იმათი კეთილი სურვილია ამ საქმეში ჩვენი თავდები.

ეგვიპტი

ნუ თუ ხალხის კეთილი სურვილი უფრო სარწმუნო და პატიოსანი თავდებობა არ არის! ლმერთო! კაროლისათვის იმაზე უფრო საიმედო რალა იქნება, როცა ყველანი ერთის-თვის არიან და ერთი ყველასთვის! მეტი გულ დაიმედება რალა იქნება შინაურს და გარეშე მტრის წინააღმდეგ!

ალბა

ჩვენ ჩვენს თავს ვერ დავარწმუნებთ, რომ ახლა ამ მაზრებში სწორეთ ეგრე იყოს.

ეგმონტ

გაშოსცეს კაროლმა საზოგადო შენდობა
დაამშევიდოს ხალხის გული, და მალე ენახავთ,
რომ ერთგულობა და სიყვარული კვლავ დამ-
ყარდება გულდანდობილებასათანავე.

ალბა

და ვინც კაროლის დიდებულება და წმინ-
და საჩრდინოება შეურაცხყო, იმას თავისუფ-
ლათ სიარული და დაუსჯელათ ცხოვრება
შეეძლება, რომ სხვებს ცხად მაგალითად უდ-
გეს, რომ საშინელი ბოროტება განუკითხვე-
ლი და დაუსჯელი რჩება.

ეგმონტ

ნუ თუ ჭიუა-შემლილობა და სიმთერალე
არ უნდა მიეტეოს და ისე დაისაჯოს, როგორც
მძიმე დანაშაულობა, განსაკუთრებით მაშინ,
როცა მტკიცე დარწმუნება და იმედია, რომ
ავი აღარ დაბრუნდება. განა ყველაზე უფრო
დაცულნი, ყველაზე უფრო ნაქებნი თანამე-
დროეთა და შთამომავალთაგან ის მეფეები
არ არიან, რომელთაც იცოდენ მათი ღირსე-

ბის შეურაცხყოფის შენდობა, შებრალება და არაფრათ ჩაგდება? ნუ თუ ისინი მაშინ არ შეედრებოდენ თვით ღმერთს, რომელიც იმდენათ მაღლა დგას, რომ მას გმობა ვერც კი აწვდება?

ალბა

დიახ, სწორეთ ამისგამოც კაროლმა დათისა და იმის სარწმუნოების დიდებისთვის უნდა იძრდოლოს და ჩეენ — კაროლის დიდებულებისათვის. რის დასჯასაც კაროლი არ იყარებს, ის ჩეენ უნდა ვსდევნოთ. ჩემის აზრით, არც ერთი დამნაშავე არ უნდა დარჩეს დაუსჯელი.

ეგმონტ

დარწმუნებული ხარ, რომ ყველას მიეწევი? განა ყოველ დღე არ გვესმის, რომ შიში იმათ ერთი ალაგოთგან მეორე ალაგს სდევნის და მირეკავს ამ ქვეყნითგან? მდიდარნი თავის ქონებით და ცოლშვილით ამ ქვეყნითგან გადიან. დარიბნი ჩეენს მეზობლებს ახმარებენ თავის სასარგებლო შრომას.

ალბა

სწორეთ, თუ იმათ წინ არ დაუდექით. ამის-
თვის რჩევას გთხოვს კაროლი ყოველ მაზრი-
საგან და სასტიკ მოქმედებას — ყოველ გამგე-
ბლისგან, და არა იმის ამბავს რაც არის, რაც
შეიძლება რომ შემდეგ მოხდეს, თუ ასე დარ-
ჩი ყოველივე როგორც ახლა არის. როცა დიღს
ბოროტებას თვალსწინ ხელავს კაცი, და იმედით
თავს იტყუებს, დროების იმედით რჩება, ხან-
დისხან რამე მძლავრ მოქმედებას ახერხებს,
რომ ამის წმა გავარდეს და სხვებს დაანახოს
რომ იმას რაღაცის ქმნა უნდაო, როცა იმას
ხელის განძრევაც არ სურს, — განა ამით ის
ეჭვს არ ბადებს, რომ იმისთვის აჯანყება საა-
მო საქმეა, რომ ის არეულობას კი არ ატეხს,
მაგრამ საგანგებოთ აგრძელებს?

ეგმონტი (კინალამ აინთება, მაგრამ თავს დაი-
ტყერს და ცოტა განუმების შემდეგ დატვიდებით
ამბობს.).

ყველა კაცის აზრი არა სჩანს და მრავალწი
არიან ისეთნი, რომ მათი აზრი ცუდათ. ესმისთ

სხვებს. ყოველგან ისმის, რომ კაროლს იმ-
დენათ ის კი არ სურს, რომ მაზრები ყოველ-
გან კრიგათ შედგენილი კანონებით განვივებო-
დესო, სარწმუნოების პატივისცემა დამყარდეს
და თავის ხალხს საზოგადო შეიღობისანობა მი-
ნისტერსო, რამდენათაც ისა, რომ ისინი სრუ-
ლებით დაიმორჩილოს, მათი ძველი სიმათლე-
ები დაარღვიოს, მათი ქონება მიითვისოს, თა-
ვად-აზნაურობის შეენიერი უფლება შეავიწ-
როვოს, რომლის გულისფერისაც ისინი მეფეს
თავიანთ სამსახურს, ქონებას და სიცოცხლეს
სწირვენ. ამბობენ სარწმუნოება მხოლოდ ერ-
თი შეენიერი ფარდააო, რომლის უკან უფრო
ადვილათ გვიმზადებენ ამ საზარელ განზრახვებს.
ხალხი მუხლს იყრის, ლოცულობს წმინდანე-
ბზე, რომელთა სურათები ფარდაზეა გამოხა-
ტული, და იმის უკან კი მოდარაჯებულნი
არიან მახის მგებლები, რომელსაც ხალხის
ხელში ჩაგდება სურს.

ალბა

ნუ თუ ეს შენგან უნდა მესმოდეს?

ეგშონტი

ეს ჩემი აზრი არ არის! ეს მარტო ისაა,
რასაც ყოველგან აშბობენ და აცხადებენ ღიღი
და პატარა, ვიუი და გონიერი; ნიდერლანდე-
ლებს ეშინიან, რომ ორფა უღელი არ დაად-
გან კისერზე და ვინ დააიმედებს იმათ, რომ
თავისუფლება არ მოეშლებათ?

ალგა

თავისუფლება? შეენიერი სიტყვაა, ვინც
კარგათ გაიგებს. როგორი თავისუფლება უნ-
დათ იმათ? რა არის თავისუფლება ყველაზე
უფრო თავიაუფალი კაცისა? ის არის რომ
კეთილის ქმნა შეეძლოს. და კაროლი იმათ
ამას არ დაუშლის. არა, არა! იმათ თავისუფ-
ლი კი არ ჰერნიათ თავი, თუ არ შეეძლებათ
თავის ზაფის და სხვისი ენება. უმჯობესი არ
იქნებოდა სულ ხელი აეღო, ვინამც ამისთა-
ნა ხალხის შმართველათ იყოს? გარეშე მტერი
რომ კარზე გვადგეს—რომელზედაც არც ერთი
მოქალაქე არ ფიქრობს, ამიტომ რომ ის გართუ-
ლია თავის საკუთარ საქმეებში,—და კაროლი

დასჭირდეს შემწეობა, ესენი მაშინ ერთმანეთში უთანხმოებას ასტერენ და მტრის მომხრენი ხდებიან. ბევრათ უმჯობესია იმათ კაცება ძალა დაატანოს, ბავშვებსავით ხელში დაჭიროს და რომელიც იმათთვის უმჯობესია, იმ გზაზე ბაშვებსავითვე ატაროს. დარწმუნებული იყავი, რომ ხალხი არც გონიერდება. ხალხი ყოველთვის ბავშვია.

ეგვანტი

აგრეთვე როგორც კაროლი იშვიათად მიაწევს გონიერების ასაკამდეს ადვილათ არ უნდა მიენდობოდეს ბევრი ბევრს, კვინამც მარტის ერთს? და ერთს კი არა, რამდენიმეს, რომელნიც პატონზე არიან დამოკიდებულნი და იმის ზეალწინ ბერდებიან, მარტი იმათ, უეჭველია, რგებიათ უფლება გონიერები შეიქმნენ.

ალგა

შეიძლება ეს ასე იმიტომ იყოს, რომ ისინა არასოდეს თავის თავზე არ არიან დანდობილნი.

ეგმონტი

ამიტომაც არავინ იმათ თავს არ მიანდობს. რაც ჰესუს ის ქენით. მე შენს კითხვაზე ასე მიქვამს და განმიმეორებია: საჭმე ცუდათ მიღის, ის ასე ვერ წავა. მე ჩემს თანამემამულებს ვინცნობ. ისინი ღვთის გაჩენილ მიწაზე სიარულის ღირსნი არიან, ყოველი მათგანი თავის თავისუფალია, პაწაწა მეფეა, გულმაგარი, მარდი, მოხერხებული, ერთგული, თავის ძველი ჩვეულების მიმყოლი. ძნელია იმათი ნდობის მოპოება; მაგრამ ადვილია იმის შენახვა. ჟინიანი და მამაცია! იმათი შევიწროება შეიძლება, მაგრამ დამონავება კი არა.

ალბა (რამდენჯერმე მიიხედ-მოიხვდავს
თავის გარშემო)

შევიძლია შენ, ყველა ესენი კაროლს წინაშე გვიმეორო?

ეგმონტი

უბედურება იქნებოდა თუ იმის თვალშინ ყოფნას ჩემი შემინება შეეძლოს. იმისთვის და იმის ხალხისთვის ბედნიერება იქნება, თუ

მხნეობას არ დამიკარგავს და გულდანდობას
შთამინერგავს, რომ კიდევ მეტი უთხრა.

ალბა

რაც სასარგებლოა იმის მოამენა მეც ისე
შემიძლია, როგორც იმას.

ეგმონტ

მე იმას ვეტყოდი: მეცხვარე აღვილათ მიი-
რევს წინ თავის ჯოგს, ჭარი უწინაალმდევოთ
ეწევა თავის ულელს, მაგრამ როცა კეთილ-
შობილს ცხენს შენ საჯდომათ ამზადებ, ჯერ
უნდა შეიტყო კარგათ იმისი ხასიათი, მარტო
გონიერი რამ გონიერათ მოთხოვო. იმისთვის
სურთ მოქალაქეებს თავისი ძველი წესდება და-
იცვან, და ნახონ თავის ქვეყნის კაცების
ხელში თავის საქმეების გამგეობა, რომ იციან,
როგორც რიგია ისე წაიყვანდენ საქმეს და
იმედი აქვთ იმათი თავგანწირულებისა და თა-
ნაგრძნობისა თავის ბედ-ილბალში.

ალბა

ნუ თუ მეფეს იმდენი ძალა არ უნდა ჰქო-
ნდეს, რომ ეს ძველი ჩვეულება გამოსცვა-

ლოს? ნუთუ ეგ მისი საუკეთესო უფლება, და
ხევდრი არ არის? რა არის მუდამი ამ ქვეყა-
ნაში? ნუთუ მარტო სახელმწიფო გამგეო-
ბა უნდა დარჩეს შეუცვლელი? ნუ თუ დროს
გამავალობაში არ უნდა შეიცვალოს ყოველ
ნაირი დამოკიდებულება მით უფრო — წესდე-
ბულება, რომელიც ათას ნაირი შეწუხების
მიზეზათ ხდება, იმისთვის რომ ის ალარ აქმა-
ყოფილებს ახლანდელს ხალხის მდგომარეო-
ბას? მეშინია იმიტომ არ იყოს ეს ძველი
წესდებულება ასე საყვარელი, რომ იქ ძლი-
ერნი და მოხერხებულნი პირნი შიგ თავს
იფარვენ ან იმალებიან ხალხის და სახელმწი-
ფოს საენებლად.

ეგმონტი

და ეს თავის ნებითი გადაკეთება, ეს ნია-
დაგი ცხვისი უფლებების დარღვევა უმაღლესი
მთავრობის მხრით განა იმას არ ამტკიცებს
რომ ერთს კაცს სურს ის მოიქმედოს, რაც
ათასმაც ვერ უნდა გამედოს? იმას ჰსურს
მარტო თავის თავს მიანიჭოს თავის უფლება,

რომ ყოველი თავისი სურვილის დაქმაყოფილება ყოველი თავისი აზრის შესრულება შეიძლოს. და ვთქვათ, ჩვენ მივენდვენით იმას კეთილს და გონიერ კონტალს, დაგვიღება ის თავისი შთამხმავლობის თავდებათ? აღვით ქვამს, რომ არც ერთი ამათგანი არ ჩნდება უპატივცემულოთ და დაჩატვრისთ ჩვენს მართვას? ვინ დაგვიფარავს ჩვენ სრულის თვით მნებელობისაგან, იმან რომ თავის მოსამსახურე დაახლოებული კაცები გამოგზავნოს და იმათ რომ ხალხის წა მისი საჭიროების უცოდნელათ, როგორც თეთონ ჰსურთ, დაუწყონ ხალხს შეართვა და გამგეობა, არა ეითარი წინააღმდეგობა არ იგრძნონ და ყოველი პასუხის გებისაგან თავიანთი თავი გათავისუფლებული ყევნოთ?

ალბა (ხელახლავ თავის ფარებზ იხედება) აღ.

აღვით გასაგები საჭმა, რომ კაროლი თავის თავათ შეფომს, და თავისი ბრძანების აღმასრულებლათ იმათ ნიშნავს, კისკენ ეს

უკეთ ესმის, ვისაც მისი გაფება სურს და ვინც
მას ერთგულათ ასრულებს.

ეგმონტი

მაშ ეგოდენათ აღვილათ გასაგები ისიც არის, რომ მოქალაქეებს სურდესთ, რომ მათი საქმეების მმართვა იმისთანა პირს ებარჩს, რომელიც იმათვე ქვეყანაში დაბადებულა და აღზღილა, რომელსაც სამართალი და უსამართლოება ისე ესმის, როგორც თეგითონ მოქალაქეებს და რომელიც იმათ, როგორც თავის ძმებს ისე უყურებს.

ალგა

შაგრამ თავად პზნაურობას რომ თავის უმდაბლესს ძმებთან თანასწორათ არ გაუყენა სიმღიდრე?

ეგმონტი

ეს რაშდენიმე საუკუნეების წინეთ შომხდარა და ახლა სრულებით შურით არ უყურებენ ამ საქმეს. შაგრამ გაუჭირველათ უცხო კაცები რომ გამოგზავნონ, რომელთაც მერეთ სურთ ხალხის ხარჯით გამდიდრება, და

ხალხმა თავის თავი მათ შეუწყნარებელ, აუ-
ლაგმელ და გამბედავ სიხარბის მსხვერპლათ
რომ იგრძნოს, ეს ისეთს მოძრაობას მოახ-
დენს, რომ ეგრე აღვილათ აღარ დაწყნარ-
დება.

ალბა

შენ ისეთებს მეუბნები, რომ მე მაგის გა-
ვონება არ მეკუთვნის; მეც უცხო კაცი ვარ.

ეგმონტ

ამისი თქმით გიმტკიცებ, რომ შენ არა მყა-
ვხარ მხედველობაში.

ალბა

რაც უნდა იყოს მე არ მსურს შენგან მაგი-
სთანაების გაგონება. კაროლმა გამომგზავ-
ნა იმ იმედით, რომ მე აქ თავად-აზნაურო-
ბის შემწეობა დამხვდებოდა. კაროლს ჰსურს
რაც ჰსურს. ღრმა გამოკვლევის შემდეგ კა-
როლი მიხვდა ხალხი რასაც საჭიროებს. რო-
გორც აქამდი ყოფილა, იმ შდგომარეობაში
საქმე ველარ დარჩება. კაროლის განზრახვაა,
რომ თავის ქვეშევრდომებს მათი საკუთარი

სიკეთისათვის ძალა დაატანოს, თუ საჭირო იქნება, ძალადობით აცხონებინოს სული საშიში მოქადაგები გამოიმეტოს, რომ სხვებს მოსვენება მიეცეს და გონიერი მმართებლობის ბეღნიერებით დატყბობა შეეძლოთ. ეს არის იმის მტკიცე აზრი; მე მაქვა ბრძანება თავად აზნაურობას ეს გამოუცხადო; და მე ვთხოვ კაროლის სახელით რჩევას იმაზე, თუ რა საშუალება ვიხმაროთ, და არა იმაზე, თუ რა უნდა ვწნაოთ: ეს მისგან გადაწყვეტილია.

ეგმონტი

ვაი, რომ შენი სიტყვები ამართლებენ ხალხის შიშს საყოველთაო შიშს! მაშ იმან გადასწყვიტა ის, რაც არცერთ მთავარს არ უნდა გარდაეწყვიტა. იმას უნდა დაასუსტოს, გაჭილიტოს და მოსტეხოს თავისი ხალხის ღონე, ხასიათი და გრძნობა, იმისთვის რომ შეიძლოს მისი მმართვა, თავის სურვილისამებრ. იმას სურს, ხალხს ნაციონალური სული ძირში ამოუგდოს, იმ აზრით, რასაკვირველია, რომ ეს გააბედნიერებსო, იმ განზრახვით,

რომ ხალხი გადასხვათეროს, გააუშვილესოს, იმას სურს მისი მოსპობა! თუნდ რომ კარგის განზრახვით შერებოდეს ამას, მაინც იმისი განზრახვა ცუდ გზას ადგია. კაროლის წინააღმდეგათ არავინ უხდება, როცა ის თავის პირველ საზარელ ხაბიჯებს ადგამს და საშიშარ გზაზე ადგება, იმასთან მოჰყვენ და წინ დაუდგებიან.

ალბა

თუ შენი აზრი ეგ არის, მე მგონია, ტყუილი შრომა უნდა იყოს. ჩვენი შეთანხმება. შენ ცუდი აზრი ჰგებინდა კაროლზე და არა ვითარი ჰატივის ცემა არ ჰგებინია იმის მრჩეველებისა, თუ ეჭვი გაქვს, რომ ეს ყოველივე არ არის წინათვე მომზადებული, ნაცადი და აწონილი. მე მონდობილება მაქვს - ერთხელ კიდევ ვიბაასო და სასარგებლო ან წინააღმდეგი საბუთები კიდევ ვშინჯო. მე ვითხოვ ხალხისაგან მორჩილებას და თქვენგან, თავდაზნაურების მოთავეებისაგან, თქვენს რჩევას და შემწეობას, რომელიც უნდა იყოს

ამ განუსაზღვრებელი მოვალეობის თავდებათ.

უგმონტი

ჩვენი თავებიც მოითხოვეთ, რაღა, და ის იქნება პატიოსანი სულისათვის ერთი უნდა იყოს, თუნდა კისერი დაუხრია ამ უღლის დასადგმელათ, თუნდ თავი წაულერია ცულის წინ ეოსაჭრელათ. სულ ტყუილათ ვილაპარაკე, მე შევარყიე მხოლოდ ჰერი, სხვა კი ვერაგარივე რა.

უერდინანდი (შემოდის)

უკაცრავათ, რომ მოლაპარაკება გაგაწყვეტინეთ. წიგნია. ამის მომტანი საჩქაროთ პასუხს ელის,

ალბა (განზე წაჭა)

ნება მომეცით, შევიტყო შიგ რა წერია.

უერდინანდი (ეგმონტის მიუბრუნდება)

შევენიერი ცხენია თქვენმა მოსამსახურეებმა რომ მოიყვანეს თქვენთვის.

უგმონტი

სხევებზე ცუდი არ არის. ის მე გვარიანი

ნინია რაც მყავს და მინდა შევეღია. თუ მოგ-
წონთ, შეგვეძლება მოვრიგდეთ.

ფერდინანდი

კარგი, უნახოთ.

ალბა (ანიშნებს თავის შეილს და ის მოშორებით
დადგება)

ეგვონტ

შეიდობით. განმათავისუფლეთ, ღმერთმანი
არ ვიცი, მეტი რა უნდა ვთქვა.

ალბა

შემთხვევამ შენდა საბედნიეროთ დაგიშალა,
რომ კიდევ უფრო გაგეცა შენი განზრახვა.
შენ წინადაუხედველათ აჩენ შენი გულის ნა-
კეცს, და შენს თავს უფრო სასტიკათ ამ-
ტყუნებ, ვინემ შენს მტერს შეეძლებოდა.

ეგვონტი

მაგ საყვედურით მე ვერ აღმძრავ. მე საკმა-
ოთ ვიცნობ ჩემს თავს და ვიცი, რამოდენათ
ერთგულივარ კაროლისა, ბევრით უფრო
იმათზე, რომელნიც იმის საშსახურზე უფრო

თავის თავს მსახურებენ. ჩემდა სამწუხაროთ, ამ ზაას გაუთავებელათ ვანებებ თავს. სრულის გულით ვისურვებ, რომ კაროლის სამსახურმა და ქვეყნის სიკეთის სურვილმა ჩვენ მალე შეგვაერთოს. იქნება სხვა მთავრების დასწრებამ, რომელნიც დღეს არ არიან, მოახდინოს უმჯობეს დროებაში ის, რაც ეხლა შეუძლებელი გვეგონია. მე ამ იმედით გეცლები.

ალბა (უცბათ ფერდინანდს ანიშნებს)

დაიცა, ეგმონტ! ხმალი აიყარე! (შუაკარი გაილება. დერეფანში ჯარი მოსჩანს. ისინი უძრავათ დგანან)

ეგმონტ (გაოცებული, რამდენსამე ხანს ხმას არ ილებს

ეგ აზრი გქონდა? ამისთვის მომიწოდე? (ხმალს ხელს ჰყიდებს, თითქოს თავი უნდა დაიცვას) განა უიარალო ვარ?

ალბა

ეს კაროლის ბრძანებაა, შენ ჩემი ტყვე ხარ (ორივე მხრიდამ ჯარი შემოდის)

ეგმონტ (ცოტას გაჩუმდება და შერე)

კაროლინა—ორინიელო! ორანიელო! (ცოტანს შემდეგ ხმალს იხსნის) ეგრე იყოს, წაილე!
ეგ უფრო ხშირათ კაროლის. საქმეს იცავდა,
ჭინამუ ამ მკერძისა. (მიღის შუაკარში. რაც ოთხში
ში იყო ის ჯარი უკან გაჰყება; ფერდინანდიც გადის.
ალბა უმოძრაოთ დგას. ფურდა წამოერზებუ)

მეს უთ ე მო ძა მ დ ე გ ა

ქუჩა ბრნდია

კლერხენ, ბრაკენბურგ, მოქალაქეები.

ბრაკენბურგ

საყვარელო ლვთის გულისათვის, რა გან-
გიზრახავს?

კლერხენ

წამო ჩემთან, ბრანკენბურ! მგონია, შენ
კაცებს ვერ იცნობ. ჩვენ უკველათ იმას გან-
ვათავისუფლებთ. აბა რა შეედრება იმათ სი-
ყვარულს ეგმონტისადმი? გეფიცები, ყო-
ველი კაცი გრძნობს თავისს გულში
მხურვალე წალილს, რომ იხსნას, ძვი-
რფასი სიკოცხლე, განაშოროს უბედურე-
ბას და უთავისუფლოს კაცს მისცეა თავი-
სუფლება. წამოდი! მხოლოდ ერთი ხმის ამოლე-
ბაა საჭირო, რომ ისინი ერთად შეაერთოს. მათ

გულს ჯერ კიდევ ცოცხლათ აჩნია, რამდენათაც
დავალებულნი არიან იმისგან! და იმათ იციან,
რომ მარტო იმის ძლიერს ხელს შეუძლიან
იხსნას ისინა დალუპვისგან. და მიმდინარე და თა-
ვიანთ გულისათვის ყველაფერი უნდა გაბედონ
იმათ. და რას ვკარგავთ? ბევრი. ბევრი, ჩეენს
სიცოცხლეს, - რომლის დაცვა აღარც დღის,
თუ კი ის დაიღუძა.

ბრაქენბურგ

უბედურო! შენ ძალას ვერ ხედავ, ძალას,
რომელმაც რყინის ბორკილით შეგვერა.

კლერხენ

ის მე არ მგონია უძლეველი. ტყულა სა-
ტყვებს წუ ვკარგავთ. აგერ მოდიან. ჩეენი
მოხუცი, პატიოსანი და მამაცი კაცები! მე-
გობრებო, გამიგონეთ! მეზობლებო, კური მიგ-
დეთ! მითხარით, რა დაემართა ეგმონტს?

დურგალი

რა უნდა ამ ყმაწვილს? გააჩუმე!

კლერხენ

ახტოს მოდით, ჩეენ ნელა ვილაპარაკოთ,

სანამდის მაგრათ ერთად არ შევკავშირდებით. ჩვენ ერთი წამიც არ უზღა დავკარგოთ! შეუპოვარმა მტარეალობაში, რომელმაც იმის დატვევება გაძედა, კიდევაც ამოილო ხანჭალი იმის მოსაკვლელათ. მეგობრებო! ყოველი ნაზიჯი განთიადისა მწუხარებს, მიმატებს. მე ამ ლამის, მეშენია წამოდით, გავიყოთ, ნაწილ-ნაწილათ. ჩქარა ვირბინოთ ერთი უბნითვან შეორეში და გამოვუძახოთ მოქალაქეები, ყველამ თავისი სურალი თან წამოილოს. მერე, მაიდანზე შევიყაროთ კიდევ და ჩვენი გროვა ყოველი კაცის მიმატებით თან და თან ვადიდა დება. მტერი, იგრძნობს, რომ გარ-შემორტყმულია, კლებული და გასრესილი! რა წინა-აღმდევობა შეუძლიან, ჩვენ წინ დერთ მუჭა მოწებს! და ის, ჩვენი საშუალებით დაბრუნდება, ნახავს თავის თავს ვანთავისუფლებულს და შეუძლია ჩვენ დაგვიმატლოს, ჩვენ, რომელნიც ასე ლრმათ დავალებულნი ვართ იმისავან, იქნება იძან კიდევ მეხედოს... დიახ ის ტეჭვდლათ შეხედაქს გამლილს ცას.

დურგალი

ახალგაზლა. ქალო, რაგინდა?

კლერხენ

ნუ თუ თქვენ ვერ გაიგეთ ჩემი სიტყვები?
მე ვამბობ გრაფზე! ეგმონტზე გეუბნებით?
იქმით

ნუ ამბობ მაგ სახელს. ის მამაკულინებელი:
კლერხენ

სახელს ნუ ამბობო! — როგორ? ამ სახელს
ნუ გამოთქვამო? ვინ არ იძაბლდა იმის სა-
ხელს ყოველს შემთხვევაში? საჭ არ არის
ის დაწერილი? ამ ვარსკვლავებში ხშირად
ამომიკითხავს ყველა იმისი ასოები. არ დაფა-
სახელო? რა უნდა იყოს ეს? მეგობარნო!
კეთილნო და ურთგულნო მეზობლებო, თქვენ
სიზმარშა ხართ; გამოერკვით, ასე გაშტერებით
და შეწუხებული ნუ მიყურებოთ აგრე შეში-
ნებული. ნუ იცქირებით იქით-აქეთ. რაც
ყოველს თქვენგანს სურს, მე სხვას არას
გახსენებთ. ნუ თუ ჩემი ხმა საკუთარი თქვე-
ნი გულითგან არ არის ამოსული: ამ საშიშარს

ლამეში, რომელი თქვენთაგანი ჩაეგდება და-
საწოლაუ, რომ იმის წინათ მხურვალე ლო-
ცვით არ შესთხოვოს ღმერთს იმისი უკან
დაბრუნება. ჰყითხეთ ერთმანეთს! თითოეულ-
მა თქვენგანმა ჰყითხოს თავის თავს! და ვინ
არ წამოიძახებს ჩემთან ერთათ: „გათავისუფ-
ლება ეგმონტისა, ანუ ჩვენი სიკვდილი“.

იეტტერ

ღმერთო დაგვიფარე, უბედურება მოხდება.

პლერხენ

გაჩერდით, გაჩერდით და ნუ იხევით უკან
იმის სახელის ხსენებაზე, რომელსაც უწინ ასე
მხიარულათ მიეგებებოდით... როცა ხალხი
აცხადებდა იმას, როცა ის იტუოდა: „ეგმონ-
ტი მოდის, ის მოდის გენტიოფან“. მაშინ
მცხოვრებლები, რომელთა გზაზედაც ის ჩაივ-
ლიდა, თავიანთს თავს ბეღნიერათ რაცხავდენ
და როდესაც იმის ცხენების ხმას გაიგონებ-
დით, ყოველი აგდებდა თავის მუშაობას და
თქვენს მწუხარე სახეზე, რომელიც ფანჯა-
რაში გამოგეყოთ, გადირბენდა მზის სხივებ-

სავით მხიართლება და მმელი. მაშინ თქვენ
მაღლა აიყვანდით თქვენს ბავშვებს, მაღლა კა-
რების შესავალთან და უხსნიდით მმას: შე-
ხედე, აი ეგმონტი, ყველაზე დიდი რომ არის.
აი, ის არის, ის არის, რომელისგანაც თქვენ
უნდა მოექლოდეთ უკეთს დროს, უინამც
თქვენს საწყალს მამებს ჰქონიაო. ნუ იქთ
იმას, რომ თქვენმა შეილებმა ერთ დღეს ასე
გკითხონ: “რა დაემართა იმას? სად არის ის დრო,
რომელსაც თქვენ დაგვპირდით,”? და ჩვენ კი-
დევ ელაპარაკობთ? ჩვენ ტყუილა ვდგავართ,
ჩვენ იმას ცლალატობთ!

სოდესტ

გრცხვენოდეს, ბრაკენბურგ! რათ არ უშლი-
აცილე უბდეურებას.

ბრაკენბერგ

კარგო კლერხენ! წავიდეთ! რას იტუვის დე-
და? იქნება...

კლერხენ

იქნება შენ გვინია, რომ ყმაწვილი უიყო,
ან გიჟი? რაო, იქნება აო? ამ საშინელ დარ-

წმუნებას ვერა უსთარაში იმედით ვერ მო-
მისპობ, თქვენ უნდა მამისმინოთ და კიდეც
მომისმერთ: მე ~~უნდა~~ თქვენს გაოცე-
ბას, თქვენ არ შეგძლიათ გულში ჩახვე-
დოთ, ახლანდელს უბედურებაში თქვენ თვა-
ლო მოავლეთ წარსულს დროს, ამ მოკლე წარ-
სულს ხანს მოუბრუნეთ: თქვენი აზრი
მომავალს: განა შეგიძლიათ ცხოვრება?
ის თუ დაიღუპა? იმშის სულის ამოსვლას
უკანასკნელით თქვენი თავისუფლებაც თან გა-
ეფევნება, რაარ იყო ის თქვენთვისში ვისოფის
ჩავარდა, ის ამ საშინელს უბედურებაში? იმის
ჭრილობას, სისხლი სდის და ის რჩება მხო-
ლოდ თქვენი გულისთვის. დიდი სული, რომ-
ლისკენაც ყველანი მიისწრაფოდა, იხუთება
საპყრობილები და მუხდალი სიკვდილის სახე,
მას თავზე ადგია. იქნება ას თქვენზე ფიქ-
რობს, თქვენი იმედი აქვს მას, რომელსაც
სჩვევია, მხოლოდ მოცემა და თქვენის სურ-
ვილის ასრულება.

დურგალი

მოძმენო, წავიდეთ-

კლერხენ

და მე არც ხელი მაქვს, არც იმდენიტვინი,
რამდენიც თქვენ; მაგრამ რაც მე ის მაქვს. თქვენ
ყველას გაკლიათ: სიმამაცე და უშიშროება
ნეტამც ჩემს სულს შეეძლოს თქვენი გამხნევება!
ნეტამც ჩემს შკერდს ჭვეშ შეეძლოს თქცენი
გათხობა და სულის ჩადგმა! წამოდით! თქვენს
შუა ჩავდგები. როგორც თავ დაუცვე-
ბლი დროშა, რომელსაც ფრიალით მიჰყავს
არჯვე ჯარი მეომრებისა, ჩემი სულიც ისე
იქნება.. თქვენ თავებზე და სიყვარულს და
მხნეობას შეაერთებს შერყეულს და გაბნეულს
ხალხს ერთ საშიშ ჯარათ.

იეტტერ

წაიყვანე, ეგ მე მეცოდება. (მოქალაქენი წავ-
ლენ.)

ბრაქენბურგ

კლერხენ, ვერ ხედავ, სადა ვართ?

კლერცენტ

სად? იმ ცის ქვეშ, რომელიც ასე ხშირათ
მშევნიერათ გვქონდა ფადმოდგმული, როდე-
საც დიდებული ეგმონტი იმის ქვეშ მიღიოდა.
ამ ფანჯრებითვან უყურებდენ ისინი მას: ოთ-
ხი, ხუთი თავი ერთი მეორეზე იყო მიწყობი-
ლი; და ამ კარების წინ ისინი ძრწოდენ და
აძლევდენ სალამს, როცა ის შემოჰქედავდა ამ
მშიშარებს. ოჯ, რა მიყვარდენ ისინი, როცა
მას პატივს სცემდენ ის რომ მტარვალი ყო-
ფილიყო, იმათ შეეძლოთ ზურდი შეექციათ,
როცა იმას ამ უბედურებაში ნახავდენ: მაგრამ
იმათ უყვარდათ ის... ოჯ იმათი ხელი,
რომელსაც ქუდი ეჭირაახლა ხმალს ვერ იჭერს.
ბრაკენბურგ და ჩვენ? გავკიცხოთ ისინი? ეს
ხელები, რომელნიც ასე ხშირათ ეხვეოდენ
იმას, აბა რას აკეთებენ იმისგულისთვის?.. მო-
ხერხებას ძალიან ბევრი. შეუძლია ქვეყანაზე.
შენ იცი გზები და შესავალები, გაცნობილი
გყავს ძეელი სასახლე, შეუძლებელი არა არის
რა, მომეცი რჩეა.

ბრაჟენგურგ

მოდი შინ წავიდეთ!
კლერხენ.

კარგი.

ბრაჟენგურგ

იქიმ კუთხითგან დავინახე ალბას ყარაულები. გონიერების ხმა შეუშეი გულში. შენ მე შშიშარა გვინივარ? განა არ გჯერა, რომ შენი სურვილით შემიძლია თავი მოვიკლა? ჩეენ არივე აქ სულელებსაცით ვდგევართ, მეცა და შენც. ნუ თუ ვერ ხედავ შეუძლებელს? ნეტამც თავს დაიჭერდე! შენ შენ თავი ვეღარ ფლობ.

კლერხენ

ჩემ თავს არ ვფლობ! ვაიმე ბრაჟენბურგ, თქვენ თვითონ ვერ ფლობთ თქვენ თავს, როცა თქვენ გმირს ხმა მაღლა ადიდებდით, იმას მეგობრათ, მფარველათ და იმედათაც უწოდებდით, უყვიროდით „დღეგრძელობას“, როცა ის მოდიოდა, მაშინ მე ჩემს კუთხეში ვიდექი, ნახევრათ გავალებდი ჩემს ფანჯარას, მაღ-

ვით უცდიდი და ჩემთვის გული, უფრო მაღლა
სცემდა ვინამცი თქვენი ყველასი, ახლაც უფრო
მაღლა მიცესმ ვინამცი თქვენ ყველას! თქვენ
იმალებით, როცა გასაჭირი მოგადგებათ, უარ
ჰყოფთ იმას, და არ გრძნობათ, რომ ის თუ
დაიღუპა, თქვენც დაიღუპებით.

ბრაჟენბურგ

წამოდი შინ.

კლერხენ

შინ?

ბრაჟენბურგ

მოეგე გონებას. გარშემოიხედე. აი ის ქუ-
ჩები, რომელზედაც შენ მხოლოდ კვირაო-
ბით გამოდიოდი და მოწიწებით ეკკლესიაში მი-
დიოდი, სადაც შენ მეტის მეტის მორიდებით
გული მოგდიოდა, როცა მოგიძლვნიდი მეგო-
ბრულსალამს. ეხლა კი შენ დგები, ლაპარაკობ,
მოქმედობ შთელი საზოგადოების თვალწინ;
მოეგე გონებას, საყვარელოს ეს რას გვიშვა-
ლოს?

ქლერხენ

შინაო! დიახ, მე მოვეგე გონებას! წამოდი
შინ, ბრავენბურგ! იცი შენ, სად არის ჩემი
სამშობლო? (მიღინ).

ციხე.

ის ერთი ლამპრით განათებულია. შუა სცენის ბო-
ლოს გამართულია საწოლი

ეგვიპტი (მარტო).

ძეელო მეგობარო! მუდამ ერთგულო ძი-
ლო, შენც მშორდები, როგორც ღანარჩენი
მეგობრები. რა ნებიერათ ჩამოდიოდი და
გარს ეხვევოდი ჩემ თავს და აგრილებდი, რო-
გორც შეენიერი დაფნის გვირგინი სიყვარუ-
ლისა, ჩემოძილო.იარალსა და ცხოვრების ზეირ-
თებს შორის მე ვისვენებლი შენს ხელებში, თა-
ვისუფლათ ესუთქავდი, როგორც ვარდ გაშ-
ლილი ყმაწვილობა. როცა ქარიშხალი ზუ-
ზუნებდა ტოტებს და ფოთლებს შუა და დი-
დი ტოტები ჭრიჭინით იძროდენ, ხის გული
მაინც უძრავათა იდგა. ახლა რამ შეგაძრწუ-
ნა? რამ შეარყია შენი მტკიცე და იმედიანი

გონება? მე ვგრძნობ, ეს არის მომაკვდინებელი ცულის წკრიალი, რომელიც ძირში მჭრის. მაგრამ შე კიდევ ჯერ მაგრათ ვდგევარ და ჩუმი ქრუანტელი მივლის ტანში. დიახ, ის იმარჯვებს, ის მოღალატე ძალა. ის უთხრის ძირს მაღალს და მაგარს ტანს. და სანამ ქერქი და კანი გაუხმებოდეს, მანამ ქოჩორა წვერი ივრიალებს, და ასკდება შიწას და დაილექტება. შენ, რომელიც ეგრე ხშირათ ძლიერის ნებით თავიდამ იცილებლი, როგორც საპნის ბუშტებსა, ამ წინაგრძნობას, ეხლა რა დაგემართა, რო ვეღარ შეიძლე იშის გადენა. ათას ჯერ გაგიდენია და ათას ჯერვე თავს გეხვევა. რა დროთვან არის, რომ შენთვის სიკვდილი საშიში გამხდარა? შენთვის, რომელიც მშვიდობიანათ სცხოვრებლი, სხვა და სხვა ფერ სურათებთან, როგორც სხვა ნაჩვევ დედა-მიწის საგნებთან. ეხლა სიკვდილი ის მალიმტერი არ არის, რომელთანაც შებმა მაგარს მკერდს სწყურია გასამარჯვებლათ, ის ეხლა კიხეა სურათი სამარისა, რომელიც თანასწორათ საზი-

ზღვრია; როგორც გმირისთვის, ისე მუკ
 ხდლისთვის. მე ვერ უტანდო იმ, შე-
 წუხებასაც როცა ჩემს რძილს სკამზე ფიჯე-
 ჭი პატივცემულ შეკრებილებაში, სადაც მთავა-
 რები ბასობდენ უაუთვევებელათ იმისთანა ასა-
 გნებზე, რომელნიც ადვილა გადასაწყვეტი-
 ლყვნენ. დარბაზის ბნელი კედლები, ბოძები
 და თალები მაშინ სულს მიხლოვდენ, მე ვი-
 სწრაფოდი რაც შეიძლებოდა იქიდგან გამო-
 სვლას, და უკანასკნელ ღრმა ამოხვნეშით
 საჩქარით შევჯდებოდი ცხენზეც და ცოცხ-
 ლათ გამოვე შურებოდი და სადაც ჩვენ ჩვენ
 თავს ვე ვეჯუთვნით! მინდორზე, სადაც სუნნე-
 ლოვან მიწითგან ჭოველი კეთილი ქმნილე-
 ბა ბუნებისა მეგობრულათ გიცხერის და ცით-
 გან ჩამოსული კტროზევა ყველა ვარსკელი
 ვებისა და მნათობებისა ნათლათ უარ შემო-
 გადგება; სადაც ჩვენ ჩვენისადედა-მიწისკა შე-
 სება და გვიმარტებთ გულს, რომ მიწაზე შო-
 ბილ ბუმბერაზების ტოლათ გვეძის და ჩვენ
 მაშინ ისე დალებულათ მოვალეობა თითქოს

თავი ცამდის აგველჩის; სადაც ჩეკეზს მთელს
კაცობრიობას და ცაცობრიულს წადილს ყვე-
ლა ჩეკენი ძარღვების ფეთქით ეგრძნობთ; სა-
დაც ჩეკენს ახალგაზდა სულში გაიელვებს სუ-
რეოლი წინ წასულისა; ვამარჯვებისა, ჩეკენს
ძალის ხმარებისა, დაპყრობისა და დამორჩი-
ლებისა; სადაც მებრძოლი თავის აჩქარებულ
სიარულში აჩენს თან-დაყოლილს უფლებას
მთელს ქვეყანაზე და გაშმაგებულ თავისუფ-
ლებით, როგორც სუტყვა-ქუჩილი, იქლებს მინ-
დორს, ველსა და ტყეს, და არცერთს იმ საზღვარს
არ სცნობს, რომელიც კაცის ხელს გაუვლია.

შენ ხარ სურათი, სიზმრათ მოგონება იმ
ბეჭნიერებისა, რომელშიაც ასე დიდხანს ვი-
ყავი ჩაფლული; მოლალატე ბეჭის წერამ სად-
მოგიყვანა? განა ის უარს გეუბნება შენ, რო-
მელსაც ძიკვდილისა არ გშინებია, სწრატლი
შიკვდილი მოგანიჭოს წინაშე მზისა და
განა ამ საზიზლარი დამხერჩევალი აღგილით
წინათვე გიღვიძებს საფლავის გემოს როგო-
რა მოწამლული სუნი ამოდის ამ ცივ ქვე-

ბითგან. სიცოცხლე კიდეც გამიშრა. ფეხი ჩემ
საწოლს წინ ისე უკან იხევა, როგორც ხა-
მარის წინ...

ოჰ, მწუხარებავ, მწუხარებავ, რომელიც კაცა
წინათევ ჰკლავ, თავიდან მომშორდი! რა დრო-
თგან შეიქნა ეგმონტი მოძულებული, ასე მარ-
ტო ამ სოფლათ? ბედნიერებამ კიარა, შენ იჭ-
ნეულობამ გაგხადა ასე უგრძნობელი. ნუ თუ
კაროლის სამართლიანობა, რომ ელზედაც შენ
ნიადაგ დანდობილი იყავი და რეგენტინის
მეგობრობა, რომელიც (ამის თქმა დარწმუნე-
ბით შეგიძლია) თითქმის სიყვარული იყო, გა-
ქრენ აგრე უეცრათ, და შენ მარტო ხელათ
დაგტოვეს ამ ბნელს ბილიკზე? მაგრამ ნუ
თუ ორანიელს თავის მეგობრების თან გაყო-
ლით წინააღმდევობის აზრი არ მოუკავშირდა
ნუ თუ ხალხი არ შეერთდება და გაზღვავე-
ბული ძალით არ გამოიხსნის თავის ძველს
მეგობარს? კედელნო, რომელნიც შეპყრობი-
ლი გუაგართ, ნუ დაუშლით ამდენს კეთილ-
გულებს ჩემამდი მოღწევას. უწინ რომ ჩემი

შეხედუა იმათ სიმჩნეს უმატებდა, გადმოდი
იმათგან ისევ ჩემ გულში. დიახ, იმათ
ათასობით შექნეს მოძრაობა! ისინი მოდიან?
გარ შემომადგენ! მათი კეთილი ლოცვა ზე-
ცამდე მიისწრაფის, ის ითხოვს სასწაულს. მაგ-
რამ ზეცილგან ანგელოზი კი არ მოფრინავს
ჩემ საშველათ, მეცხედავ, რომ ისინი მახვილებს
და ხმლებს ხელს ავლებენ. კარები სქდება,
რკინის სანათურები იღება, კედლები იმათი
ხელით ინგრევიან და ეგმონტი ადგება და
მხიარულათ მიეგებება თავისუფალს სინა-
თლეს, რომელიც მისამდი მიაწევს. რა-
მრავალი ნაცნობი სახეები მომეგებებიან ალ-
ტაცებით! ახ, კლერხენ, შენ რომ კაცი ყო-
ფილიყავ, პირველათ აქ შენ დაგინახავდი და
გეტუოდი მადლობას თავისუფლებისათვის, რო-
მლის მიღება ასე ძნელია კაროლების ხე-
ლითგან.

კლერხენის სახლი

კლერხენ (გამოდის ოთახიდგან, უამო-
აქვს ლამპარი და ჭიქით წყალი; ჭიქის

სტალინ დადგამს და გასწევს ფანჯრისკენ.)
 ბრაკენბურგ? თქვენ ხართ? რა მომესმო?
 კიდევ არავინ არის? არავინ არის! ლამპარს
 ფანჯარაზე დავდგამ, რომ შეიტყოს, მე კიდევ
 მღვიძიავს, მე იმას ვუცდი. დამპირდა, ამ-
 ბავს მოგიტანო. ამბავიო? საშინელი სინამ-
 ფილე! ეგმონტი დასჯილი! რა სამსჯავ-
 რომ გამედა ამის გასამართლება? და ისინი
 მაგას დასჯიან! კაროლი დასჯის, თუ გერცო-
 გი? რეგენტიც მოგვმორდა. ორანიელი იგვია-
 ნებს და ყველა იმისი მეგობრები? მაშეს არის
 ის საზოგადოება, რომლის ლალატზე და უსინ-
 დისობაზე ბევრი გამიგონია, თუმცა საკუთრათ
 მე არ გამომიცდია. მაშე ეგ არის ის საზოგა-
 დოება? ვინ არის იმდენათ ბოროტ მოქმედი,
 რომ ავი ისურვა ამ კეთილი კაცისთვის? ბო-
 როტი განა ეგრე მძლავრია, რომ უცბათ
 დასცნიის, ვისაც ყველა პატივს სცემს?. მაგრამ
 ეს ასეა... ასეა!.. ო, ეგმონტ, შენ ისე გაჭ-
 ჭირვებელი მეგონე ლვთისა რა კაცების წინა-
 შე, როგორც ჩემს მკერდზე. რა ვიყავი შენ-

თვის? შენ მე შენად დასახე, ჩემი სიცოც-
ხლე სულ შენ შეგწირე... რაღა ვარ ახლა? სულ
ტყუილად ვიწვდი ხელებს იმ საპყრო-
ბილესკენ, რომელსაც შენ დაუჭერიხარ. შენ
დატყვევებული ხარ, მე კი თავისუფალი! აი
ჩემი კარის გასაღები, ჩემს ხელშია შემოსვ-
ლაცა და გასვლაც და მე მაინც უსარგებ-
ლო ვარ შენთვის. შემკარით, რომ სასოება
არ წამეკვეთოს; და ჩამაგდეთ ციხის სიღრმე-
ში, რომ თავი ნოტიო. ჭედლებს მეხალა,
მეყვირა თავისუფლებისთვის და ვყოფილვი-
ყავი იმ ფიქრით წალებული, როგორ უნდა
უშველო, როგორ უშველიდი მას. შებორ-
კილი რომ არ ვყოფილვიყა! ეხლა კი თა-
ვისუფალი ვარ და ამ თავისუფლებაში ვგრ-
ძობ ჩემი უძლოურების გულის წუხილს, მე
თავისუფალი ვარ და ერთი ნაბიჯის წინ
წადგმაც არ შემიძლია იმის საშველათ. ვაი
რა საწუხარია, რომ ერთი პაწაწა ნაწილი შე-
ნის გვამ.სა შენი კლერხენი, შენსავით ხელ-
შეკრულია და შენთან მოშორებული სულის

ბრძოლაში ფანტაზის თავის ღონეა! მესმის შრიალი, ხეელი.—ბრაკენბურგ... ის არის! საბრალო კეთილო კაცო, შენი ბედის წერა ყოველთვის ერთი და იგივეა. შენი საყვარელი გილებს ღამის კარს, და ვაი რა უბედური შეხვედრაა!

ბრაკენბურგი (გამოდის)

კლერხენ

შენ რა გადაფიტრებული და ზარ-დაცემული მოდიხარ, ბრაკენბუგ! ეს რას ნიშნავს? **ბრაკენბურგ**

შორს მოვლით და დიდი შიშის გამოცდით მოგნახე შენ. დიდს ქუჩებზე ყარაულები დგას. მოსახვევი გზებით და გზის კუთხეებით შემოვძვრ შენთან.

კლერხენ

მითხარი, რა ამბავია?

ბრაკენბურგ (ჯდება)

ვაიმე, კლარა, თავი დამანებე, ვიტირო, მე ის არ მიყვარდა. ის იყო მდიდარი კაცი და საწყალი კაცის ერთად ერთი ცხვარი თავის უკეთეს სა-

ბალახოზე გადაიტუა; მე ის არ დამიწყევლია; ღმერთმა მე ერთგული სულისა და გულჩვილი გამაჩინა, შწუხარებაში გადის ჩემი სიცოცხლე და ყოველ დღე ველი მოუძლურებას:

კლერხენ

ბრაკენბურგ, დაივიწყე ეგ, დაივიწყე შენი თავი. იმის ამბავი მითხარი! მართალია? მართალია იმისი სიკვდილით დასჯა?

ბრაკენბურგ

აგრეა! მე ნამდვილათ ვიცი ეს.

კლერხენ

და კიდევ ცოცხალია?

ბრაკენბურგ

დიახ, ის კიდევ ცოცხალია.

კლერხენ

მაგას როგორ დამარწმუნებ? მტარვალობა კლავს დამით დიდებულ კაცს! ყველას თვალს უკან ლვრის იმის სისხლს! სამწუხაროთ, ყრუხალხი ძილშია და ეზმანება იმისი შველა, ეზმანება იმის სულ მოსწრაფებული სურვი-

ლის ასრულება და ამასობაში კი ჩვენზე გულ
ნაკლულმა გმირის სულმა უნდა დაგდოს ეს
ქეყყანა. ის აღარ არის!.. ნურც მე მატყუებ,
ნურც შენ თავსა.

გრანპერაბურგ

გეუბნები არა, ის ცოცხალია! . . . მაგრამ
ვაი! ესპანიელები უმზადებენ ხახლს, რომლის
დამხობაც ჰსფრთ, საშინელს და ყოველი კა-
ცის გულის გამხეთქელს ამბავს, თითქმს
განუზრახავთო ჩვენი თავისუფლების საუკუ-
ნოთ გასრენა.

კლერხენ

გააგძელე და ჩემი სიკვდილის დასჯაც
წარმოსთქვი ბარემ! მე თანდათან ვუახლოვდები-
ნეტარ სამოთხეს და მე კიდეცა ვერძნობ იმ
ქვეყითგან მოდენილს სანუგეშო სიოსა თქვი
გრანპერაბურგ

შე ზოგიერთი ესპანიელების ყარაულები
ვნახე, ზოგიერთ იმათ ლაპარაკს ყური მოვ-
კარი და შევიტყე, რომ ბაზრის მაიდანზე რა-
ღაც საშინელებას ამზადებდენ. მე გავძვერ

მოსაცლელი გზებით და გასაცლებით ჩემ
ნათესავების სახლში და შიგნით აკოშკითდან
მაიდანზე გავიხედე. მოშორებით ესპანიელი
სალდათების წრე იყო გაკეთებული, და
შიგ ანთებული საწათები მოძრაობდნენ. პირ-
ველათ ვერა დავინახე რა, მაგრამ თვალები
რომ სიბნელეს შევაჩიდე, ღამეში ჩემ წინ
აიშართა ერთი შავი, უზარ მაზარი, ეშაფოტი.
ეს რომ დავინახე, ტანში გამაჟრულა. შრა-
გალი მუშები ეხვია გარეშემო ამას და რაც
რომ ხისა იყო და თეთრათ სჩანდა, იმას შავს
მაუდში ახვევდენ. ეს რომ გაათავეს, ბოლოს
კიბესაც შავი მაუდი შემოაკრეს. ეს მეკარგათ
შევნიშნე. ეტყობოდა, რომ ისინი ამზადებ-
დენ საშინელს სხვერპლ-შესაწირავს დღესასწა-
ულს. გვერდით ერთი თეთრი ჯვარცმა ძა-
ლიან მალლა ამართეს და ღამეში როგორც
ვერცხლი ისე ბრჭყვინავდა. მე თანდათან
უფრო ცრწმუნდებოდი, რომ საშინელი ამბავი
მართალი იყო. ჯერ კიდევ სანათები თითქოს
მიღი მოდიოდენ ამ დასასჯელ შენობის გარე

შემო, მერე ცოტ-ცოტათ დაბნელდენ და გაქრენ. და უეცრათ ეს საშინელი ქმნილება ლამისა ლამის უფსკრულშივე ჩაიძირა:

კლერხენ

გაჩუმდი ბრაკენბურგ, ახლა კი გაჩუმდი; ცოტა მაცალე, რომ ჩემს სულს ეს ლამის ჰეწარი დაეფაროს. შოჩვენება გაქრა და შენ, ძალის მომცემო ლამე, გადააფარე შენი ჰეწარი მიწას, რომელიც ასე დუღს; ის თრთოლვით აღებს თავის ნაპრალებს, ამტკრევს და ნთქავს შიგ ამ სიკვდილის იარაღს. და ლმერთი, რომელიც იმათ შეურაცხყვეს მითი, რომ თავიანთი ბრაზი იმის სახელით აასრულეს, გზავნის ერთს თავის ანგელოზს, წმინდა მოციქულის შეხებით კარის საგდული ეარდება, ბორკილები წყდებიან და მშვენიერს ნათელში აყენებს თავის მეგობარის; ის წყნარათ და მოსვენებით გაატარებს იმას ლამეში თავის-უფლებისკენ და ამ ბნელს გზაზე მეც ჩუმათ მივ-დივარ იმისვე შესახვედრათ.

ბრაჲვენგურგ (უნდა გააჩეროს)

ჩემო ძეირფასო, სად მიღიხარ? რა განგიზ-
რახავს?

კლერხენ

ჩუმათ, გეთაყვანე, რომ არავინ გაიღვიძოს!
რომ ჩვენც ჩვენი თავი არ გავაღვიძოთ! იც-
ნობ, ბრაჲვენბურგ, ამ ჭიქას? მე შენ ეს ხუმ-
რობით წაგართვი, როცა შენ ერთხელ ჩვე-
ულებისამებრ მოუთმენელად მაშინებდი, თავს
მოვიკლავო..., და ახლა, ჩემო მეგობარო....

ბრაჲვენგურგ

გაფიცებ ყველა წმინდანების სახელს!

კლერხენ

შენ ვერ მოშლი. სიკვდილი ჩემი ხეედრია:
ნუ გეზოგება ჩემთვის ტკბილი და უეცარი
სიკვდილი, რომელსაც შენთვის იმზადებდი.
მომეცი ხელი! იმ ქამს, როცა მე ვაღებ ბედშავს
კარებსა, საითვანაც მობრუნება აღარ შეიძ-
ლება, ნება მომცცი ამ ხელის ჩამორთმევით
გითხრა, რაოდენათ მიყვარდი და რაოდენათ
მებრალებოდი. ჩემი ძმა ახალგაზდა მომიკვ-

და; მე შენ აგარჩიე იმის აღგილას. შენი გული წინააღმდეგი იყო ამისა და ამით შენც დაგტანჯა და მეც. შენ მხურვალეთ ითხოვდი და უფრო და უფრო მხურვალეთ მას, რაც შენთვის არ იყო არჩეული. მაპატივე და მშეიღობით! წება მომეცი, შენ ძმათ გიწოდო! ეს ისეთი სახელია, რომელშიაც მრავალი სხვა იპოვება. მიიღეთ წმინდის გულით უკანასკნელი შვენიერი ყვავილი გამოთხოვებისა. მიიღე ეს კოცნა... სიკვდილი ყველას აერთებს, ბრაკენბურგ, და ჩვენც შეგვაერთებს.

ბრაქენბურგ

შენთან სიკვდილი მაინც დამაცალე! მაშ გამიყავ, გამიყავ! მაგ ჭიქაში ორივესთვის საკ მარა საწამლავი.

კლერხენ

დადეგ! შენ უნდა იცოცხლო, შენ შეგიძლია სიცოცხლე.... ჩემს დედასთან დარჩი, რომელიც უშენოთ სიღარიბეში უნდა გაისრისოს. იყავ იმისთვის ისე, რათაც ყოფნა მე ალარ შეიმიძლია. იცოცხლეთ ერ-

თად და სტიროდეთ ჩემთვისა სტირო-
დეთ მამულისთვის და შისთვის; რომელ-
საც მხოლოდ შეეძლო ჩეენი წამოყენება.
დღევანდელი თავობა ვერ მოესწრობა ამ
უბედურების დასასრულს. სისხლის მეძიებლო-
ბის ბრაზიც ვერ გადაიხდის იმის მოკვედინებას.
იცოცხლეთ, საწყალნო, იცოცხლეთ და გან-
ლიეთ ეს გამოუთქმელი ტანჯვით სავსე დროე-
ბა. დღეს უეცრათ შედგა ქვეყნიერება. მისი
მსვლელობა შეიძორება. რამდენიმე წამი კი-
დევ და ჩემი გული უკანასკნელათ იფეთქავს.
მშეიდობით!

გრავენდური

ოჰ, იცხოვრე შენც ჩეენთან, ჩოგორც
ჩეენ მარტო შენთვის ვცხოვრობთ! შენი
სიკვდილით ჩეენც მოგვკლავს. იცხოვრე და
იტანჯე. ჩეენ ორივე განუყრელათ იქით-
აქეთ მოგიდგებით და თვალყურის მღევნელი
სიყვარული თავის ცხოველს ხელებში შეიძ-
ლებს მოგიზადოს უშმენიერესი ნუგეში-
იყავი ჩეენი, ჩეენი, ჩემს თქმას ვერ ვბედავ.

კლერხენ

ბრაკენბურგ, ჩუმათ! შენ ვერა გრძნობ, რითაც მიკლავ ეხლა გულს. რაც შენ იმედათ მიგაჩნია, ჩემთვის ის სასო-წარკვეთილებაა.

ბრაპენბურგ

და შენ გაიყავ ცოცხლების იმედი! ქვესკნელის პირზე შეჩერდი, ჩახედე შიგ და შემდეგ უკან მოიხედე ჩვენსკენ.

კლერხენ

მე გავიმარჯვე ბრძოლაში ხელმეორეთ ნულა მომიწვევ.

ბრაპენბურგ

შენ შემცდარი ხარ. ღამით გარემოცული შენ ეძებ ლრმა წყუდიადს. მაგრამ ყოველი სხივი ჯერ არ გამქრალა, ჯერ კიდევ მრავალ-ჯერ გათენდება.

კლერხენ

ვაი, შენ უბედურო, ვაი! შეუბრალებლათ დახიე შენ ჩემ თვალ წინ ჩამოშეებულიფარ-და. დიახ, დღვე გათენდება! ამაოთ იწყებს

ლრობელში გახვევას, რაც უნდა ეცალოს, მაინც გათენდება. შიშით გამოიცქირება თავის ფანჯრითგან მოქალაქე, ღამე დატოვებს შავს 5ათლეთს. ის იცქირება და საშიშარათ იზდება სინათლეში მომაკვდინებელი შენობა. ხელმეორეთ ჯვარცმული, შეურაცხყოფილი ლვთის პირი მაცხოვრისა აღმართავს მავედრებელს თვალებს მამისაკენ. მზე ვეღარ ბედავს ამოსელას; იმას არ უნდა აღნიშნოს ის ჟამი, როდესაც ეგმონტი უნდა მოკვდეს. საათის ისარი ზანტათ მიღის თავის დისკოზე და საათი სცემს ერთი მეორეზე. გაჩერდი, გაჩერდი! ახლა კი დროა. დილის მოახლოება სამარეში მიმაჩქარებს. (მივა ფანჯარასთან, თითქოს გარმშემო იხედებოდეს, და ჩუმათ სვამს)

ბრაქენბურგ

კლარა! კლარა!

კლერხენ (მიღის სტოლთან და სვამს წყალს)

აქ, დანარჩენია! მე შენ არ გიწვევ. რაც გულმა გირჩიოს, ის ქმენი, შეიდობით, წყნარა დაქრე ეს ლამპარი და მე წავალ დასა-

წოლათ, ნელა გაიპარე აქედგან, კარები გაიხურე. ნელა, დედა ჩემი არ გააღვიძო. წადი, თავს უშველე, თუ არ გინდა რომ ჩემ მკვ-ლელათ დაგსახონ,

ბრაჟენბურგ

შენ უკანასკნელათაც ისე მტოვებ, რო-
გორც ყოველთვის. ოჭ, თვით იფრძნობს
იმას, თუ რანაირათ შესძლებია ამას შეუკა-
რებრლის გულის დაგლეჯა. იმან დამტოვა,
ჩემ თავს მიმანება.. სიკვდილიც და სი-
ცოცხლეც ერთნაირათ საზარელია ჩემთვის,
მაგრამ მარტო სიკვდილი! სტიროდეთ თქვენ,
ვისაც განგიცდიათ სიყვარული! ჩემს უბედუ-
რესი აღარავინ არის! იმან გამიზიარა სიკვდი-
ლის წვეთი და გამიშვა, გამაგდო! შორს!
ის ხელს მიქნევს თავისკენ და თან უკუ მაგ-
დებს სიცოცხლისკენ. ო, ეგმონტ რა ძეირ-
თასი და დიდებული ხვედრი შეგხვდა! იმან
დაგასწრო შენ, იმის ხელით დაგედგმისგამარ-
ჯვები, გვირგვინი, ის შემოგაგუბებს შენ
მთელს სამოთხეს. ნუთუ შეც უნდა გავყევი

ნუ თუ კი იგივ განზე უნდა ვიდგე? ნუ თუ ამ სოფლის მცხოვრების განუკურნებელი სიხარ-ბე იმ სოფლათაც უნდა წამოვილო! მიწაზე მე აღარაფერი აღარ შაკავებს. ჯოჯოხთიც და სამოთხეც ერთნაირი ტანჯვაა ჩემთვის. ბედნიერი იქნებოდა დატანჯულისთვის არა რაობის საშიში ხელის შეხება

(ბრაკენბურგი მიდის. ტეატრი ცოტახანს რჩება ისე. დაიწყებენ ქლერხენის სიკვდილის დაკვრას მუზიკაზე; ლამპა, რომლის გაქრობაც დაავიწყდა ბრაკენბურგს, უკანასკნელათ ამოანათებს და გაქრება. მერე სცენა გა- მოიცელება)

საპურობილე

(ეგმონტს საწოლში სძინავს, გასაღების რაჭუნი იწყება და კარი გაიღება, მსახურები შემოვლენ ლამპ- რებით; ამათ შეჰყვება ჭერდინანდი, ალბას შვილი და სილვა, რომელთაც უკან მოსდევს დაარყულებული კაცე- ბით ეგმონტი ძილითგან უცბათ წამოსტება)

ეგმონტი

ეინა ხართ თქეენ, აგრე მოურიდებლათ რომ ძილი დამიტოხეთ? თქეენი შეუპოვარი და ფიცი

თვალები რას მიცხადებენ? ეგ რა საძაცელი
მზადებაა? მთვლემარე ჩემს სულს რა საშინელი
სიზმარი მოუჭორეთ?

სილვა

ჩვენ გამოგვეზავნა გერცოგმა, რომ გამო-
გიცხადოთ სამართლის გადაწყვეტილება შენ-
ზედ.

ეგმონტი

შენ მეხლმეც თან მოიყვანე, რომ ის აას-
რულოს?

სილვა

მოისმონე და შეიტყობ, რა მოგელის.

ეგმონტი

თქვენ და თქვენს დაწყებულს ბოროტებას
ეგ ეკადრება! ღამეში განზრახული ღამეშივე
სრულდება. ამ უსირცხო მოქმედებით აუ-
მართლოებთამ აგრე უნდა დამალოს თავი! მოდი
გაბედე შენ, რომელსაც ხმალი პალტოს ქვეშა
გაჭ მიმალული; აი, ჩემი თავი უთავისუფლესი,
რომელიც როდესმე მტარფალობას მოუკვე-
თია.

სილვა

შენ სცდები!... რაც მოუყიდველმა მოსა-
მართლებმა გადაწყვეტის, იმას დღეს სინათ-
ლეს როდი დაუმალვენ.

ეგმონტ

ამ სახით უსირცხვილოებამ ყოველს მოსა-
ზრებას და მოფიქრებას გადააჭარბა.

სილვა (ერთს იქ მდგომარე კაცს
გამოართმევს გადაწყვეტილებას, გაშ-
ლის და კითხულობს).

სახელითა კაროლისათა და განსაკუთრებულის
ძალითა, განსამართლების უფლებისა, რომე-
ლიც მოგვანიჭა მისმა დიდებულებამ ყველა
ქვეშეერდომებზე, რა წოდებისაც უნდა იყონ
ისინი, აგრეთვე ოქროს-მატყლოეან რაინ-
დუბზე, გუანით ჩვენ...

ეგმონტ

განა კაროლს მაგის მონიჭება შეეძლო?

სილვა

„გუანით ჩვენ, ბეჯითად და კანონიერათ
წარმოებულის გამოძიების შემდეგ, შენ გენ-
10

რიხი გრაფი ეგმონტი, მთავარი გაერისა და მინა-შავეთ სახელმწიფო მოღალატობაში და წარ-მოვსთქვით ეს გადაწყვეტილება; რომ შენ აღრე განთიადზე ციხიდგან მაიდანზე უნდა გამოგიყვანონ და იქ მთელი ხალხის თვალ წინ შესაშინებელათ ყველა მოღალატეებისა სლმით თავი უნდა მოგეჭრას. ხამოცემულია ბრუსელს (თვისა და წლის რიცხვს ისე ხმა დაბლა კითხულობს, რომ ყურის მიგდებლებს არ ესმის).

„ფერლინანდ, გერცოგ ალბა თავს
მჯდომარე თორმეტის მოსამართლისა“

ახლა შენი ბედის წერა ნაცნობი გაქვს. შენ ცოტა დრო გრჩება, რომ დაემზადო, შენ საქმეებს უპატრონო და შენებს გამო-ეთხოვო. (სილვა თავის ხლებულებით გადის. დარჩე-ბა ფერდინანდი და მარტო ორი ლამპარი ანათებს თე-ატრის).

ეგმონტი (რამდენსამე ხანს ღრმა
ფიქრშია, წყნარათ დგას და არ ნი-
შნავს სალვას გასელას, რომელიც
ისე გადის, რომ გარშემო არ იხე-
დება. ეგმონტს პეტრი მარტოა და
მერე როცა ზევით აიხედავს, შეხედავს
ალბას შვილს).

შენ აქ რჩები? შენ გინდა, რომ ჩემი გან-
ცვიფურება, ჩემი ზიზლი შენი აქ მყოფობით
ჭიდევ უფრო გაადიდო, გინდა სახიამოვნოამბა-
ვი მიუტანო მამა შენს, რომ მე დედაბრულათ
სასოწარკვეთილებას მივიცი? წალი! უთხარი!
უთხარი, რომ ის ვერც მე მომატყუებს,
ვერც ქვეყანას. მას დიდების მოყვარეს ჯერ
მხრებს უკან მოესმის ჩუმი ხმა, მერე კარგა
გამორკვევით ხმა მაღლა ეტყვიან და ბოლოს
ეხლანდელ სიმაღლითგან ჩამოვარდება, ათა-
სი ხმა პირდაპირ დაუწყებს ყვირილს: არც
გაშვეობის კეთილდღეობის სურვილს, არც
კაროლის ლირსებით დასაცველათ, და არც
მაზრების დამშეიღებისთვის მოსულა ის აქ

თავის სარგებლობისთვის უჩჩია იმან ბრძოლა, რომ მებრძოლმა ბრძოლით მოიპოვოს სახელი. იმან ეს ალიანქოთი თავის საჭიროებისათვის აღძრა. და მე იმის სულ მდაბალი მტრობის, იმის სულმოკლე სითვალხარბის მსხვერპლი შევიქენია დიახ, მე ეს კარგათ ვიცი და კედეც შემიძლია ამის თქმა, მომაკვდავს, სიკვდილით ძლეულს შეუძლიან თქვას: იჭვნეულს კაცს მე შევეხარბე, ჩემი დალუპვა იმას, დიდიხანია გულში ედვა. დიდიხანია მას აქეთ როცა ჯერ კიდევ ყმაწვილები ვიყავით, ძვლებს რომ ვთამა მობდით და ოქროს ხეავები ერთი, მეორეზე იმის მხრითგან ჩემსკენ ძოჩქაროდენ მაშინ ის მოიღუშებოდა, მიიღებდა გულ გრილს სახეს: მაგრამ შიგნით კი ჯავრი წიწკინდა იმის, გულს, უფრო ჩემი ბედნიერება შურდა, ფინემც თავის წაგება. მე კიდევ მახსოვეს იმისი ცეცხლი თვალები. ის მოღალატე ნაცრის ფერი სახისა, როცა ერთს მზიარულს დღესა სწაულზე მრავალი ათასი კაცის თვალწინ წარმავი მოუგე სროლაში. იმან გამომითხოვა

და ორივე ერი იქვე იყვენ; ესპანიელები და ნიდერლანდელები დაინიძლავდენ და ნატურაში იყვნენ; მე იმას ვაჯობე; იმან დააცილა, მე მოვარტუყი; ატყდა ხმაშალალა სიხარულის ყვირილი ჩემი მომხრეებისა და შეიქნა საზოგადო დღესასწაულობა. ახლა იმის ნასროლი მე მამხვდა. უთხარი შე იმას, მე ეს ვიცი-თქვა მე იმას ვიცნობ, ქვეყანას სძულს იმისთანა გამარჯვების ჯილდო, რომელსაც მოკლე სულის კაცი ცუდი მოქმედებით შოულობს. და შენ თუ შეილისთვის შესაძლებელია მამის ზნეობის განკიცხვა, ისწავლე დროზე სირცხვილი, ჯერ გვიან არ არის! გრცხვენოდეს შენი თავისა იმის გულისთვის, რომელსაც სულის გულით უნდა სცემდე ჰატიცს.

ფერდინანდი

— მე შენ გისმენ რომ არ გაგაწყვეტინო ლაპარაკი! შენი სიტყვები ისე მამძიმებს როგორც კეტის რტყმა მუზარადზე; მე ტანშა ვწანკალებ, მაგრამ იარაღი დამიყრია. შენ მეხები, შენ ვერ დაჭრი ჩემს გულს; ჩემთვის

მხოლოდ ტკივილია. საგრძნობელი, რომელიც შიგნით გულში მაქვს. ვაიმე! ვაი! თურმე ამისთანა სანახავისთვის გაეზღილვარ, თურმე ამისთანა საშინელს შემთხვევაზე დასასწრებათ ვყოფილვარ ვამოგზავნილი!

ეგვიპტი

შენ გოდების ხშა ამოუშვი? რა გაშფოთებს? რა გაწუხებს? ეგ დაგვიანებული მონანება ხოჭარის, რომ შენი ხელი მოახმარე იმ საძაგელ შეთქმულობას? შენ ყმაწვილი ხარ და გაქვს სანატრელი შეხედულობა შენ გულდანდობით და მეგობრულათ მომეპყარ. როცა შეც დაგინახავდი მამაშენს უფრო ვურიგდებოდა და ახლა სჩანს, რომ შენ ეგრეთვე მატყუარი უფროც მატყუარი ყოფილხარ; შენ შემიტკიც მასთან. შენ საზიზლარი ხარ! ვინც იმას ენდობა თავის თავზე უნდა იყოს დაიმჯდებული. მაგრამ შენ ვინ არ უნდა გნდობოდან წადო, წადო! ნუ მიკარგამ იმ ცოტა ჟამს, რაც დამრჩენია: წადი, რომ მეგონება მოვიკრიბო ქვეყანა დავივიწყო და შენ ყველაზე უწინ.

ფერდინანდი

რა უნდა გითხრა? ვდგევარ და გიცქერი და
ვერც გხელავ და მეც უკრ ვერძნობ ჩემ თავს.
ნუ თუ ჩემი თავი უნდა გავამართლო? როგორ
უნდა დაგარწმუნო, რომ მე ასე გვიან, შეეი-
ტყე მამიჩემის განზრახვას, რომ მე ვმოქმე-
დებდი როგორც მორჩილი უსული იჭრალი
იმის ნებისა? რა უნდა იყოს ჩემთვის შენი
აზრი ჩემზე? შენ დაკარგული ხარ; და მე უ-
ბედური ვდგევარ მხოლოდაქ, რომ შენ ამაზე
დაგარწმუნო, რომ შენ გიტირო.

ეგმონტი

რა საოცარი ხმა, რა მოულოდნელი ნუგე-
ში მხვდება სამარის გზაზე? შენ, შეიღოს ჩემის
უპირველესის, ჩემის თითქმის ერთად-ერთის
მტრის, შენ გეწყალები, შენ ჩემ მკვლელებს
შორეს არ დგახარგ მითხარი, მომიყევი! ვინათ
დაგსახო?

ფერდინანდი

უწყალო მამაკ! მე შენ ამ ბრძანებაში
გცნობ. შენ იცი ჩემი გული, ჩემი გრძნობა,

რომელსაც ასე ხშირათ მესაყვედურებოდი; რომ ის თვისება ნარნარი დედის ჩემისაგან მქონდა გადმოკემული. შენ აქ იმისტენის გამომგზავნე, რომ შენი მზგავსი გამხადო შენ ძალათ დამანახე ეს კაცი სამარის პირზე მდგარი მუხთალის სიკვდილის ხელში, რომ ძლიერი გულის წვა მეგრძნო, რომ არც ერთმა სხვა უბედურებამ არ ამაღლებოს, რომ უგრძეობელი შევიქნე, რაც უნდა მოხდეს.

ეგმონტ

მე განცვიფრებული ვარ! თავი დაიჭირე!
დადეგ, ილაპარაკე, როგორც კაცი.

ფერდინადი

ოჰ, ნეტაშც ქალი ვყოფილვიყო, რომ შემძლებოდა, შენთვის მეთქვა: რა გაშფოთებს? ცეცხლი რათ გეკიდება მეთქი! მიჩვენეაბაუფრო მძლავრი და საშინელი წვალება, დამისახელე ამაზე უფრო გულმოსაკლავი რამე და შაშინ თავს დაეხრიდი და გეტყოდი: ეს არაფერია მეთქი.

ეგმონტ

შენ მოტყუებული ხარ? აბა, საღა ხარ?
ფერდინანდი

ნუ მიშლი თვე აშვებულათ მოვთქვა! მე
არ მინდა უგრძნობლათ გამოვჩდე, როცა ჩე-
მი გული დატანჯულია. ნუ თუ მე შენ აქ
უნდა გხედვიდე?!.. შენ?!.. ეს წარმოუდგენე-
ლია! შენ არ გესმის ჩემი სიტყვები, მაგრამ
შენ უნდა გაიგო. ეგმონტ! ეგმონტ! (ყელზედ
ჩამოეკიდება)

ეგმონტ

ამიხსენ ეს საიდუმლო.

ფერდინანდი

საიდუმლო არა არის რა.

ეგმონტი

ასე ღრმათ როგორ გარეეს ბედის წერა
უცხო კაცისა?

ფერდინანდი

უცხო კი არა! შენ ჩემთვის უცხო არა ხარ.
შენი სახელი ჩემს პირველს ყმაწვილობაში
ცის ვარსკვლავსავით მინათებდა, რა ხშირათ

გამიგონია შენზე, მიკათხავს! ყმაწვილობის
იმედი ჭაბუკობაა, ჭაბუკობისა კი ვაჟკაცობა.
ამ სახით შენ ყოველთვის ჩემ წინ მიღიოდი.
ყოველთვის უთვალხარბოთ გხედავდი შენ
ჩემ თვალწინ. და მე შენ მოგდევდი მარადის.
ბოლოს იმედი მომეც შენი ნახვისა, გნახე
კიდეც და ჩემი გული ფრენით შეგეგება შენ,
მე პირველათვე ჩემათ დაგსახე და როცა
გნახე ხელმეორეთ ალგირჩიე. მაშინ იმედი
მომეცა შენთან ყოფნისა, შენთან ცხოვრე-
ბისა, შენთან კავშირის დაჭერისა... ახლა ყო-
ველივე ეს გაწყვეტილია და შენ აქ გხედავ.

ეგვინტ

ჩემო მეგობარო, თუ რომ შეუძლია ამას
გასიამოვნოს, დამერწმუნე, პირველსავე შეხე-
დვაზე ჩემი გული შენსკენ წამოვიდა. ყური
მიგდებ მოდი, ჩეენშორის რამდენიმე სიტყვა
გულდამშვიდებით წარმოვსთქვათ. მითხარ:
ნუ თუ ეს, ჩემი მოკვლა, არის შეურყეველი
და შტკუცე სურვილი მამის შენისა?

ზერდინანდი

ეგ არის.

ეგმონტ

განა ეს გადაწყვეტილება უბრალო შეშინება
არ არის, რომ მე შემაწუხოს, შიშით და
მუქარით დამსაჯოს, დამამციროს, და მერე
კაროლის მოწყალებით კვლავ ზევით ამწიოს?

ზერდინანდი

არა. ოჰ, სამწუხაროთ არა! თავში მე ჩემ-
თავს ვანუგეშებდი ამ შეუძლებელის იმე-
დით; და მაშინაც ამიტყდა მწუხარება და ტკი-
ვილი, რომ შენ ამ მღვომარეობაში იყავი.
ახლა ეს სარწმუნოა, ნამდვილია. არა, მე ჩემს
თავზე არ ვუფლობ. ვინ მომცემს მე შემწე
ობას, ვინ მომცემს რჩევას, რომ აუცილებელს
ავშორდეთ.

ეგმონტ

მაში ყური დამიგდე. თუ შენიჭული ასე ძალას
გატანს, რომ დამიხსნა, თუ შენ მტარეალობა
გულს გიშფოთებს, რომელსაც მე აქ შეპყრო-
ბილი გყავარ, მაშ მიხსენი! ეს წამი ძვირფა

შენ ყოვლის შემძლე შეიღლი ხარ და თვითონ-
ნაც ძალა გაქვს ხელში, გავიქცეთ! მეგზა ვიცი;
საშუალებანი შენც უნდა იცოდე. მხოლოდ
ეს კედლები და ერთი პაწაწა მანძილი გვა-
ბერებს ჩემ მევობრებთან. შემხსენი ეს ბორ-
კილი, მიმიკანე იმათთან და ჩვენი იყავი, კა-
როლი უკჰეველათ დაგიმადლებს ღდესმე ჩე-
მის ხსნის გულისტვის. ახლა ის ან უცბათ
შეწუხებულია, ან და იქნება არც კი იცის
რა. მამაშენი ბედაეს და შისი დადებულება
უნდა დაეთანხმოს, რაც მოჯდა, იმას, თუმცა
იმის საწინააღმდეგოციყოს ეს საქმე. დაფიქრ-
დი?.. მოძებნე ჩემთვის თავისუფლების გზა!
თქვი და გააძლე იმედით ცოცხალი კაცის
სული.

ფერდინადი

ჩუმათ! ო, ჩუმათ! შენ ყოველის სიტყვით
აღიდეს ჩემს სასოწარკვეთილებას. აქეთგან
წასასვლელი გზა აღარ დაგვრჩენია, არც სა-
შუალება, არც გაქცევა... ეს მტანჯავს, ეს
კლანჭებივით ჩამფრენია გულში. მე თვითონ

დავაგე ეს მახე; მე ვიცი რა ვიწრო და მაგა-
რი ნასკულები აქვს იმას. მე ვიცი, როგორც
ყოველს გამშედაობას, ყოველს მოხერხებას
გზა გადალობილი აქვს. მე ვგრძნობ, რომ
სელ-შეკრული ვარ, როგორც შენ და სხვე-
ბი. განა ჩიცილს დაგიწყვებდი, რომ ყოველრვე
არ მეცადა? მე იმას მუხლზე მოვეხვიდ, ვთხოვფ
ვეხვეწე. იმან აქ გამომგზავნა, რომ, რაც ცხო-
ვრების სიმოვნება და მხიარულება გულში
მიძევს, ყოველივე დალეწოს.

ეგმონტი

მაშ არავითარი ხსნა აღარ არის?

ფერდინანდი

არავითარი

ეგმონტ (ფეხს დაკრავს)

არავითარი ხსნა არ არის!... ტკბილო სიცოც-
ხლე! შეენიერო სასიამოვნო ჩვეულებავ არსე-
ბობისა და მოღვაწეობისა! უნდა გაგშორ-
დე! წყნარათ გაგშორდე! ბრძოლის არევ-და-
რევაში, იარაღების წკრიალს შუა, როდესაც
ლეწვეისა და ხოცვის ალიანქოთია, შაშინ კი

არ მიგზაუნი სწრაფ გამოთხოვებას; შენ უკუ-
რათ როდი მეთხოვები, როდი მიმოკლებ
განშორების წუთს. მე უნდა ჩამოვართვა ხე-
ლი, ერთი კიდევ ჩაგხედო თვალებში, შენი
სიშევენიერე, შენი ლირსება მწვავათ ციგრძნო
და მერმე გულმაგრათ მოგშორდე, გითხრა:
გასწი.

ფერდინანდი

და მე უნდა გიღგე გვერდით, გიყურო,
მოწმეთ დაგესწრო, ვერც, გაგაჩერო ვერც შეგი-
კავო! ო, რა ხშას შეუძლია გამოთქვას ეს მწუხა-
რება! რა გული იქნება, როდ არ ამოხტეს თავის
ბურიდგან ამ მწუხარების შემხედვარე?

ეგვიპტი

თავი დაიკავე.

ფერდინანდი

შენ შეგიძლია თავი შეიმაგრო, გაჩუმდე
და საჭიროების გულისთვის გმირულათ გადა-
სდგა ეს მძიმე ნაბიჯი. მე რა შემიძლია; რა
უნდა ვქნაო. შენ შენზე და ჩემზედაც გაიშარა
ჯვე, საჭმე მოიგე; მე კი შენსა და ჩემს სი-

ცოცხლეს ჩამოურჩი. მეჯლიშის ქეიფში დაუკარგე ჩემი სინათლე და ბრძოლის აღიანქოთში ჩემი ბაირალი. გამოფიტებული, დაბუწული და ამლვრეული მიღვას თვალწინ მომავალი.

ეგმონტ

ჭაბუკო მეგობარო, რომელსაც საკვირვეა-
ლი შემთხვეულობის ძალით ერთ დროს კი-
დევ გჰოულობ და კიდეც გყარგავ, რო-
მელსაც გულსაკლავათ გული გეწვის და
ჩემთვის იტანჯები, დამაკვირდი ამისთანა წა-
შებში და აღარ დამკარგავ. თუ შენთვის ჩემი
ცხოვრება სარკე იყო, როჩელშიაც შენს თავს
სიამოვნებით ხელავდი ასემცგამოგდგომია ჩემი
სიკვდილი! კაცები მარტო მაშინ კი არ არიან
ერთათ, როცა ერთმანეთს ხელვენ; მკვდრე-
ბიც და გამომშეიდებულებიც ჩვენთვის ცხოვ-
რობენ. მე შენთვის ვიცხოვრებ, და ჩემთვის კი
მე საკმაოთ ვიცხოვრე. ყოველ დღით ვისიამოვა-
ნე, ყოველს დღეს ჩქარის მოღვაწეობით
ჩემს მოვალეობას ვასრულებდი, როგორც
ჩემი სინდისი მიჩვენებდა. ახლა თავდება ჩემი

სიცოცხლე, როგორც ადრე, სულ ადრე შეიძლებოდა გრაველინგენის ბრძოლაში მონაბობილიყო. მე ვათავებ სიცოცხლეს; მაგრამ მე ვიცხოვდე. ასე იცხოვდე შენც, ჩემო მეგობარო, სიამოვნებით და სიტკბოვებით და სიკვდილის წუ გეშინია.

ფერდინანდი

— შენ შეგეძლო ჩვენთვის დარჩენილიყავ, ეს შენი მოვალეობა იყო. შენ შენით მოიკალი შენი თავი. ხშირათ გამიგონია, გონიერი კაცები რომ შენზე ლაპარაკობდენ, მტერი და მოყვარე; ისინი დიღხანს ბაასობდენ შენს ლირსებაზე; მაგრამ ყველანი თანხმა იყვნენ მხოლოდ ერთში; ვერც ერთი ვერ ბედავდა უარი ეთქვა, თითოეული ასე ამბობდა: დიახ ის საშიშარ გზას ადგიაო. რა ხშირათ მინდოდა, რომ შემძლებოდა გამეფრთხილებინე! ნუ თუ შენ არც ერთი მეგობარი არ გყვდა?

ეგვანტი

მე მაფრთხილებდენ.

ფერდინანდი

და როგორ სიტყვა-სიტყვათ წავიკითხე. ყველა ეს შენი ბრალდება ბრალდებითს წერილში და იქვე შენი პასუხებიც. ისინი ჩეენ თვალში საკმაოთ გამართლებენ, მაგრამ სამსაჯულოს თვალწინ კიარა.

ეგმონტი

კაცი დარწმუნებულია; თავი დავანებოთ მავას, რომ თავის ცხოვრებას თვითონ მართავს და თვითონ პატრონობს. მაგრამ იმისი შინაგანი არსება შეუმაგრებელათ მიიწევს თავის ჭედის-წერისკენ. ნუ ვიფიქრებთ მაგაზე; ეგ აზრები ძალიან აღვილათ. უკუვაგდე; უფრო სამძიმოა ჩემთვის ჩემ ქვეყანაზე ფიქრის თავიდგან მოცილება; თუმცა ესეც საკმაოთ განისჯება. თუ კა ჩემი სისხლი მრავლისათვის დაინთხევა, ჩემს ხალხს მ'მვიდობას მისცემს, მისი დალერა სასიამოვნოა. სამწუხაროთ ეს ასე არ იქნება. მაგრამ კაცს არ შეშვენის, ჯავრი იქ, სადაც ხელის განძრევა აღარ შეუძლია. თუ შენ შეგვეძლება შემდეგ-

ში მამის შენის ძალის შეკავება და მიმართვა, ეცადე; მაგრამ უინ იქნება, რომ ეს შეიძლოს? მშევიდობით.

ფერდინანდი

მე არ შემიძლია წასვლა.

ეგმონტ

ჩემს მხლებლებს გაბარებ, მე კარგი მხლებლები მყავდა. ეცადე, რომ ისინი არ დაითანტონ, არ გაუბედურდენ. როგორ არი ჩემი მდივანი რიხარდი?

ფერდინანდი

იმან შენ წინ გაგასწრო. იშას, როგორც სახელმწიფოს მოღალატეს, თავი მოსჭრეს.

ეგმონტ

საწყალი! ერთი სიტყვა კიდევ და წადი. მე ეტი არ შემიძლია, რაც უნდა სული განვითარებულ იყოს, ბოლოს ბუნება მაინც თავისას მოითხოვს მიუცილებლათ; და როგორც გველ შამოხვეული ყმაწვილი ძილს მიეცემა მშეიდათ განსვენებს, აგრძოვე მოღალული-კაცი სიკვდილის კარებთან ერთჯერ კიდევ და

წვება და ღრმათ მოისეენებს, თითქოს კიდევ გძელი გზა ქონდეს გასაცლელი. ერთი სიტყვა კიდევა: მე ვიცნობ ერთ ახალ გაზღა ქალს; ნუ შეურაცხოვ რმას იმისთვის, რომ ის ჩემი იყო. გაბარებ იმას და სულ დამშეიდებით ვკვდები. შენ სულგრძელი კაცი ხარ. იმ ქალს, რომელიც შენისთანა კაცს შეხვდება არაუჭირსრა. ნეტა ჩემი მოხუცებული ადოლფი თუ ტოპ-ხალია? თავი სუფალია?

ფერდინანდი

აი ის მხიარული მოხუცი, რ. ჯელიც თქვენ ყოველთვის ცხენით დაგდევდათ?

ეგმონტი

აი, ეგ.

ფერდინანდი

ცოცხალია, თავისუფალია.

ეგმონტი

იმან იცის მისი საღვამი; უთხარი და წაგიყვნს იმასთან და დაჯილდოვე სიკვდილაშე, რომ იმან ამ საუნჯის გზა გიჩვენა. შვილობით.

ფერდინანდი

არ წავალ.

ეგვანტი (კარებამდის მიუყვენს)

შეიძობით!

ფერდინანდი

ო, დამარჩინე კიდევ!

ეგვანტი

შევობარო, გამოთხოვება არაა საჭირო.

(ის მიუყება ფერდინანდს კარამდის, და ძლიერ გათავისუფლდება იმის ხვევნისაგან. თავბრუდახვეული ფერდინანდი სიჩქარით გაშორდება.)

ეგვანტი (გართო)

უსულგულო კაცო! შენ რთა იცოდი, რომ ამდენ სიკეთეს მიზამდი შენი შეილის გამოგზავნით. იმის მაღლობით მე მომეხსნა ფიქრი და მწუხარება, შიში და ყოველივე შეჭირვება. ბუნება ტკბილათ და მძლავრათ თხოულობს თავის უკანასკნელს სხვერპლს. გათავდა, გადაწყდა და ამ უკანასკნელ ღამეს რასაც ეჭვში ვყავდი, რაც მიფობდა. ძილს

ჩემ საწოლში, ისევ ამშვიდებს ჩემს გონებას
მტკიცე დაჯერებით.

(დაჯდება საწოლზე. მუზიკა)

ტკბილო ძილო! შენ მოდიხარ შენის ნე-
ბით, როგორც წმინდა ბედნიერება, უთხოე-
ნელათ, შეუვეღრებლათ. შენ ხსნი ნასულს
შავის აზრისას, ერთად რევ ყველა მხიარულო-
ბისა და მწუხარების სურათს. შეუჩერებლათ
მომდინარეობს წრე შინაგანის გარმონისა
და კაცი ჩანთქმული სასიამოვნო უაზრობაში
უძლურდება და აღარ გრძნობს სიცოცხლეს.

(იმას მიეძინება; მუზიკა აჰყევბა მის თვლე-
ბას. იმის საწოლს უკან თითქოს კედელი
გაირღვევა და ბრწყინვალე მოვლენა გამო-
ჩდება. თავისუფლება ზეციურ ქსოვილზე
ბრწყინვალე სხივებით გარემოცული განისვე-
ნებს ღრუბელზე. იმას კლერხენის სახე აქვს
და მიუახლოვდება მძინარე გმირთან. ის მწუ-
ხარეთ არის სახეზე, თითქოს იმას მოთქვამსო.
უცებ გამოერკვევა და ჩქარის ტანის რხევით
ის მიუთითებს მას ისრების კონაზე. შერე

ყავარჯენზე და ქულზე. ის მოუწოდებს შას სამხიარულოდ, და უცხადებს, რომ იმისი სიკვდილი მაზრებს გაათავისუფლებს. ის იმას მძლეველათ სცნობს და მიაწვდენს მას დაფნის გვირგვინსა. როგორც კი გვირგვინი იმის თავს მიუახლოვდება, ეგმონტი შეინძრება როგორც კაცი, რომელიც ძილში აღელვებული არის, ამ სახით ის გადაბრუნდება და პირს იმისკენ მიიქცევს. თავისუფლებას გვირგვინი ეგმონტის თავს ზემოთ უჭირავს. ისმის შორს სამხედრო მუზიკის დაფებისა და სალამურების წმი; ამ წმაურობაზე მოვლენა ჰქონება. წმაურობა თანდათან ძლიერდება. ეგმონტს გამოელვიძება; საპყრობილე დილის შუქით ცოტაოზნათ არის განათებული. პირველი ეგმონტის მოძრაობა თავზე ხელის ტაცებაა; ის აღგება და გარეშემო იყურება, ამასთანავე ხელი შუბლზე აქვს)

გვირგვინი გაქრა! შენ, შვენიერო სურათო, დღის სინათლეშ გაგაგდო! დიახ, ისინი აქ იყვნენ.

ორი ძეირთა! ჩემის გულის ლხენა ერთად შეკავშირებულიან. ღვთიურ თავისუფლებას ჩემის საყვარლის სახე მიეღო. შეენიერი კლერხენ შემოსილი იყო ზეციურის მეგობრის სამოსითა. პირეელს ნახვაზე ისინი თითქოს შეერთებულიყონ. უფრო მჭუნვარენი ვინამც მომლიმარნი ისინი ჩემსკენ მოდიოდენ, სისხლით გასერილ ფეხებით და სისხლითვე შეთხუპნუნული კაბის ქობით. ეს იყო ჩემი და მრავალი გმირების სისხლი. არა ის ტყულათ არ დათხეულა. გასწით წინ, მხნე ხალხო! გამარჯვების ღმერთი თქვენ წინ მიგიძლებათ! და როგორც ზღვა იმის შესაკავებელს მიწის კედელს გარღვევს, დალეწეთ და დამხვეთ მტარვალობის კედელი. და დამარცხებული მტარვალობა გადააგდეთ შორს იმ ადგილითვან, რომელიც იმან დაიმონავა!

(დაფების ხმა თანდათან ახლოვდება)

ყური უგდეთ, ყური! რა ხშირათ გამომიწვევდა ეს ხმა თავისუფალს გზაზე ბრძოლისა და გამარჯვების ასპარეზისკენ! რა მარდათ

მიღიოდენ ჩემი ამხანაგები საშიშო დიდებს
გზაზე მეც მივდივარ დიდებით სავსე სიკვდილის
შესახვედრათ ამ ციხითგან; მე ვკვდები თავისუფ-
ლებისთვის, რომლისთვისაც ვცხოვრებდი და
ვიბრძოდი, და რომელსაც ახლა მე ჩემს თავს
სხვერპლათ ვწირავ.

(შუა სცენას ერთ მწკრათ ესპანიის სალ-
დათები დაიჭირენ, რომელნიც ალებ-რდე-
ბით არიან შეიარაღებულნი).

დიალ, ყველანი ერთად მოიყვანეთ, შეჰ-
კარით თქვენი წრე, მე ვერ შემაშინებთ. მე
დაჩვეული ვარ ლახვარს შევეგებო წინ, რო-
გურც წინამდლომელი, მუქარა სიკვდილით
გარშემორტყმული, და ვიგრძნო მაშინ, რომ
მამაცური აღტაცება მემატება.

(დაფებს უკვრენ)

შენ ყოვლის მხრით გარშემორტყმული
ხარ შტრისაგან! ხლმები მოელავენ. მეგობ
რებო, მოხმატეთ მხნეობა: თქვენს უკან დგანან
მოხუცნი, ჭალები და ყმაწვილნი!

(ესპანიელებზე უჩვენებს)

ამათ კი რეკს ჩვენ წინააღმდეგ ცარიელი სიტყვა მეფისა და არა იმათი საკუთარი გული. დაიცეთ თქვენი სამკვიდრებელი. და იმის დასაფარავათ, რაც თქვენთვის ყველაზე ძირფასია, დაეცით, მოკვდით მხიარულათ, როგორც თვითონ მე გაძლევთ მაგალითს!

(დაფების ხმაა. ის მიღის ესპანიელებისკენ მხნეთ და შუა ჭარში გადის, ფარდა ჩამოეშეება. მუზიკა შესწყდება და გათავდება გამარჯვების სიმფონიით).

გ. წერეთელი.

გლეხური სიმღერა

(ილ. ჭავჭავაძის, შეკრებილთაგანი)

გლოვს ბერდიაი, ხინჩლაი, სონეს შაყრილან სმაზედა,
მტერობა ჩამოვარდნიათ ადრინდალ მტერობაზედა.
ბერდიამ უთხრა ხინჩლასა, როცა შავიდა სმაზედა:
მოგიყვდა შენი ბერდია, ვერ შაგეყარე გზაზედა,
კა ჩემი მოკლე ფრანგული ვერ ვათამაშე შენზედა!
—იყუჩე, ძმაო ბერდიავ, სონეს ლუდი ვსვათ ჯანზედა,
ეგ საუბარი მაშინ ხამს, რომ შავიყარნეთ გზაზედა,
არ გყვანდეს მაშველებელი, თითო დაუკრათ ფარზედა,
სხვა კი ვერ გალალებულა ბებრის ხინჩლაის თავზედა.

ჩემ პირვენობაზე

„მნათობი,“ 1872, №№ 10, 11 და 12
სტატია: „საწყალი კულაბზიკა!“ („კრებულ-
დროება“ და იმავე ყვითებილობა.)

„კრებულის“ სტატიას „მნათობზე“ („კრე-
ბული“ 1872 № 12) მთლათ ერთიანათ გაუ-
ცოფიანებია ამ ჟურნალის კრიტიკოსი, უფ.
ანტ. ფლრცელაძე, რომელიც დღეს სამაგიე-
როთ „კრებულ-დროებას“ ბრაზიან პასუხს
აძლევს. ეს პასუხი ბევრი მხრით შესანიშნა-
ვია ჩვენი მწერლობის და მკითხველი საზო-
გადოებისთვის, და-- „მნათობი“ რომ არ ჩამ-
კვდარიყო—ჩვენ იმას იქნება უმეტეს უუ-
რადლებასაც ვათხოვებდით. მაგრამ დღეს ეს
ჟურნალი მოისპო. მისი კრიტიკოსი აცხადებს,
რომ დღეის იქით მე თქვენზე ხმას არ ამო-
ეილეფო. ამის გამოისობით ვერც ჩვენ ვისარ-

კრებული

ლებთ იმ ძვირფასი შეცომებით, ბაიყუ-
ძაობით და აზრის სიღარიბით, რომელსაც
ჩვენ ამ უბედური ჟურნალის უკანასკნელი
წიგნი და უკანასკნელი სტატია წარმოგვიდ-
გენს.—ჩვენს მწერლობაში ეხლა ჩინებული
მოდა შემოდის. გამობრძანდება ვინზე, გა-
მოთქვამს მკითხველის წინ ასიოდე სისულე-
ლეს და ცილიცწამებას, იინურათ ჩასახავს
მკითხველის გულში თავისი მოწინააღმდეგის
შესახებ ეჭვს ან დაუნდობლობას, და მერმე
უცრათ შეძვრება თავის სოროში, იმ სიტყვე-
ბით, რომ „დღეისიტით ჩაც უნდა სწეროთ
მე ხმას აღარ ამოვილეთო.“ ვითომ და სათ-
ქმელი კი ბევრი მაქსო, მაგრამ არ მინდა,
ლაპარაკი არ ღირსო. ასე მოგვექცა ჩვენ უფ.
ბ. ლოლობერიძე, ასე გვექცევა უფ. ანტ. ფურ-
ცელაძეც: ვიმეორებთ, ეს ძლიერ ოსტატური
ოინია, რომლის შემწეობით იმედ-დაკარგუ-
ლი და დამარცხებული ვითომ-მწერალი
გაქცევის და თავის-შველის ბილიკს იმზა-
დებს და შინაურებთან იმის თქმასაც ახერ-

ხებს, რომ არ ვისურევ, თორემ ჩემს წინააღმდევს დედი-მიწის პირთან გაესწორებდიო. ჩვენში უწინ, როცა საზოგადოებაში და ხალხში გმირობა დაკარგული არ იყო, ამას სიმხთალეს და დედაბრობას უძახოდენ. დღეს რა სახელი ჰქეია ამას? ამბობენ, ამას ეხლა თავდაკავებას, სიფრთხილეს, ზომიერებას უძახიანო. სახელს რომ თავი დავანებოთ, აქ შენიშვნის ღირსი ისიც იქნება, რომ ამ გვარი საქციელი ცხადათ გვიჩვენებს, რომ ამისთანა ვითომ-მწერლებს პოლემიკა და მწერლობა პიროვან, კერძოობით საქმეთ მიაჩნიათ, და მის წაყვანის ღრმული ისინი მარტო თავის საკუთარ სახელზე და პიროვნობაზე ჰყიქრობენ. თორემ იმათთვის მათი აზრი, მიმართულება, საქმე და მიზანი პიროვნობაზე მაღლა რომ იდგეს, ასე ადგილათ ბრძოლას თავს როდი დაანებებდენ და შოწინააღმდევეს მაედანს როდი დაუცლედენ. ვინც თავის საქმეს, აზრს, მიმართულებას და მიზანს მართლა ერთგულად ემსახურება, ვისაც თავისი აზრი საზოგადოებისთვის სასარგებ-

ლოთ მიაჩნია, ის თავის პიროვან სიამოვნებას ან უსიამოვნებას ყურადღებას როდი მიაქცევს, ის იბრძვის, მოქმედებს, სწერს, ლაპაროკობს სანამ მისი მიმართულება გაიმარჯვებს, ან სანამ ის მთლათ ერთიანათ არ დამარცხდება, ისე, რომ განძრევის სალაფათი აღარ ჰქონდეს. ის მოწინალმდევეს „ან მოჰკლავს, ან შეაკვდება.“

მაგრამ ეს ჩვენი ვითომ-მწერლები სხვა მოდას დასუგომიან. იმათ ბრძოლა და ნამდვილი დავა სალაზათო ჯირითობათ გადუქცევიათ. გამოხტება ამ ნაირი მოჯირითე, ერთ-ორ ჯირითს ისერის, ცხენს გაახტენს-გამოახტენებს, სიმარდეს გამოიჩენს და ისევ ხალხის გროვისკენ დაბრუნდება, ხალხს ამოეფარება,— „რომ მდომოდა შუაზე გავსტყორცნიდიო,“ დატრაბახებს და შინისკენ გასწევს.

საქმე სეირათ გადაქცეულა, ბრძოლა—ჯირითად, აზრების წინალმდევობა—პიროვანი თავმოყვარეობის ასპარეზათ. ჩვენს დაცე-

მულს საზოგადოებას, ჩვენს მიძინებულ ქვეყანას ეგლა აკლდა, რაღა!

მაგრამ, თუ ეს ვაჟბატონები მწერლობას პიროვან საქმეთ სთვლიან, თუ ისინი ასე შხატეთ და სუბუქათ ეპურობიან პოლემიკას და მწერლურ მოვალეობას, ჩვენ იმათ მაგალითს ვერ მიესდევთ და არც თვითონ იმათ მივცემთ იმის ნებას, რომ ამისთანა ჩვეულებები ჩვენს მწერლობაში შემოილონ. დღეის იქით ჩვენ როდილა დავზოგავთ იმ ვითომ-მწერალს, რომელიც ამ ჩვეულების შემოღებას მოინდომებს, და კედლიტილის მაგალითის მიხედვით, იგრძნობს თუ არა თავის სისუსტეს, თავს მოიმკვდანურებს და გაეგდება. აქაოდა, რალას მერჩიაო, რაც იყო—იყო, დღეის იქით მე შენთვის ხომ მკვდარი ვარო,

თანხმად ამისა, თუმც ჩვენ არ ვსარგებლობთ „ჩნათობის“ უთვეალავი შეცოთომებით და უმზგავსოებით, ჩვენ მაინც საჭიროთ ვრაცხავთ ორიოდე სიტყვა ვთქვათ ერთ გარემოებაზე, რომელიც თუმც ამ სტრიქონების დამწერს

პიროვნათ ეხება, მაგრამ მაინც „მწერლურ მოვლენას“ შეადგენს და ლირისია, რომ იმას სამაგალითო მნიშვნელობა მიეცეს ჩვენს მწერლობაში.

I

ჯერ იმით დავიწყოთ, რომ გავიხსენოთ რას ვამბობდით ჩვენ იმ სტატიაში („ჩვენი მწერლობა“), რომლის პასუხათ დაწერილია დღეს ანტ. ფურცელაძის „საწყალი კულაბზიკა!“ აი ჩვენი სიტყვები:

„ეს ანირებული კაცი (უფ. ფურცელაძე), რომელსაც ჩვენ, მარტო ზღილობის მიხედვით, მწერლის სახელს არ მოვაკლებთ — გამოდის სალიტერატურო ასპარეზზე და მკითხველებს გვაძეზლებს: „კრებულ-დროება“, ამბობს ის, მიზდგომია, უსინიდისოა, ამხანაგობით აქებს და საკუთარი თავმოყვარეობით, ხარბობით აძაგებს მწერლებსო; „კრებულ-დროებას“ არც ღიტერატურული, არც კერძოობითი პატიოსნება. და სინიდისი აქვსო, ის მეტოველ საზოგადოებას ატყუებსო და სხვ. და სხვ. ამასთანვე ის ამტკიცებს, კითომ ჩვენს

ნაწერებში აზრი და გაგება არ მოიძიებოდას და ჩვენ უკელანი ერთიანათ უნიჭოები და უსიწიდისო „ურუ-პენტელები“ ვიყოთ. გვაქვს ჩვენ ნიჭი, სჩანს ჩვენს ნაწერში აზრი და მიმართულება თუ არა, ეს უფ. ანტ. ფურცელაძის ჭიუის საქმე არ არის. მკითხველი, იმედია, არ დაგვემღურება და კიდეც დაგვიმადლებს, თუ ჩვენ ან. ფურცელაძის „მსჯელობას“ უურადლებას არ მივაქცევთ. მისი აზრი იმოდნათ დასა- ფასებრელი არ არის, რომ კაცმა მის დასარღვევლათ თან ვი შეიწუხოს, როცა აითრეულ მკითხველს ადვილათ შეუძლია ჩვენი ნაწერის აღება და ანტ. ფურცელაძის „მსჯელობასთან“ შედარება. ჩვენ იმოდნათ დარწმუნე- ბული ვართ მკითხველის განაჩენის მიუდგომლობაზე და ანტ. ფურცელაძის „მსჯელობის“ სისუსტეზე, რომ ამ მხრით ხმის ამოღებასაც საჭიროთ არ ვთვლით.

„მაგრამ ლიტერატურული მსჯელობის შეტი არი სხვა ცხეთი ძხარე აქვს ანტ. ფურცელაძის პოლემიკას, რომელზედაც ჩვენ ხმის ამოუღებლობა. არ შეგვიძლია ეს ორი ძხარე ორი ცილის წამებიდამ შესდგება: ერთი ვითომ ჩვენ უსინიდისოთ ეხსარობდეთ ჩვენ ლიტერა- ტურულ ცდგომარეობას და მკითხველს თვალს უხვევ-

დეთ მიღვომით ან სიხარბით, და მეორე — ვითომ ჩეენ
ცუდი კაცები ვიყოთ ჩეენ კერძო ცხოვრებაში. ამ უკა-
ნასკნელ საგაწზე ლაპარაკი, რასაკვირველია, შეუძლებე-
ლია, ამიტომ რომ უსაფუძვლოთ, უსაბუთოთ გამოთქმულ
აზრზე პასუხათ მარტო, ის ითქმის: — არა, ჩეენ, ძლიერ
ატიოსანი კაცები ვართო, და აბა ამის აქმა ვის ეკა-
დრება? მავრამ რამდენათ დამჯდარათ და საფუძვლია-
ნათ სჯის ამისთანა. საქმეებზე უფრო ანტო ფურცელაძე,
გვაჩვენებს ჩეენ პირველი ცილის-წამების განხილვა, —
ჩეენი მიღვომის და ხარბობის თაობაზე. ა. ამ საგაწს
შეუდგებით ჩეენ, მხოლოდ იმისთვის, რომ ამ საქმის
გარემოება მკითხველს თვალს წინ არა აქვს, და ჩეენი და
ფურცელაძის გასამართლება იმას ჩეენის მხრით საბუთების
წარუდგენელათ არ შეუძლია:”

დღეს უფრო ფურცელაძე ხელმეორეთ გა-
ხსობს ჩეენს ჭკუაზე, რიჭიე; ნაწერზე, გონება-
ზე, ხელმეორეთ ამტკიცებს ვითომც ჩეენ მწე-
რლობაში უსინიდისოთ ვიქცეოდეთ, და თან
ორიოდე პირდაპირ დაბეზღებასაც ხმარობს,
რომლითაც მკითხველს იმ აზრს უწევთებს
ყურშა, ვითომ ჩეენ, და განსაკუთრებით მე

საძაგელი და უპატიოსწო კაცები ვიყოთ ჩემს
კერძო ცხოვრებაში.

რაც იმას დღეს ჩენი მწერლობის და გო-
ნების შესახები დამტკიცებები მოჰყავს, ის
უწინდელივით ისე სუსტი და უსაფუძვლოა,
რომ ჩენ იმის დასარღვეველათ სტუდენტ
რ ვიტყვით. ირონიის პირდაპირათ გაგებით,
კრთი მწერლის შეხედულობის მეორის წინაა-
ლმდეგათ ხმარებით, აზრის გადასხვაფერებით
და სხვა ამ გვარი უბეჭური ოინებით, მწერა-
ლი შორს ვერ წავა და მოწინაალმდეგეს ვნე-
ბას ვერ მოუტანს. მკითხველი გასჯის, რო-
გორც უწინ ჟოქვით, ხეირიანათ თუ უგნუ-
რათ ვსწერთ ჩენ, და, ვვგონია, „მნათობის“
გასვენება საკმაოთ გვიმხელს, რა ხასიათის
იქნება ეს გასჯა.—რაც შეეხება ჩენ მწერ-
ლურ პატიოსნებას, უფ. ფურცელაძეს დღეს
ჩენ ვეღარ ამოედება. ამაზე საკმაოთ ნალაპა-
რაკევი იყო ჩენს შარშანდელ სტატიაში, და
ეხლა უფ. ფურცელაძე ვერაფერი ცილის-წა-
მებით ვერ დამტკიცებს, ვითომ უდროებას

„მელალუმე“ ექოს ან „კრებუბლს“ დ. ბაქ-
რაძე ეძაგვებინოს მარტო პიროვანი შეხედუ-
ლობით, მიღვიმით ან სიხარბით. თუმც ეხლა-
უფ. ფურცელაძე ამტკიცებს, რომ თუ „მე-
ლალუმე“ გ. წერეთელს არ მოსწონდა რათ და-
ბეჭდა „კრებულშიო“, თუმც ის დღეს ამბობს,
ვითომდ. ბაქრაძეზე ჩერენ შებრალებით ესწერთ
მარტო იმიტომ რომ იმას ეხლა ჩეგნს მწერ-
ლობაზე უფროსული გავლენა აქვს, მაგრამ
ეს მარტო საბრალო დამარცხების თავვამამარ-
თლებელი ლაპარაკია. იმანაც კარგათ იცის,
რომ „მელალუმის“ დაბეჭვდვის დროს „კრე-
ბულის“ შედგენა გ. წერეთელს კი არა, თვი-
თონ „მელალუმის“ დამწერს ებარა, აგრეთვე
როგორც მშენებელათ იცის, რომ უფ. დ. ბა-
ქრაძეს ჩეგნს მწერლობაზე ერთნაირი გავლე-
ნა მიეცა ჩეგნი სტატიის დაწერის და დაბეჭ-
დვის სამი თვის შემდეგ. რამდენიც უნდა იღა-
პარაკოს ამისანაები უფ. ფურცელაძემ, ამგვარ
შის წერას და სიტყვას მაზანდა. დაკარგული
აქვს. ბლავნის რაც უნდა, თუნდ ისიც თქვას

რომ „საქართველოს მოამბესთვის“ ჩემს დღე-
ში არ მიწინაალმდეგებია, „ცისკარს“ არ
ამოვდგომივარ და არ დავხმარებივარი, ჭა-
ვჭავაძეზე არ დამიწერია, რომ იმის გრძნობა
და წერა უგრძნობელი და შეფერილია, —
ყველა ამისთანა მის თავის-გამართლებას თი-
თოვეული მკითხველი ლირსეულათ დააფასებს
და უკუაგდებს. ეს იმას თვითონაც ესძის. ამის-
გამო ის თავის უმთავრეს ძალას და მოცალი-
ნეობას იმ ნაწილს ატანს და იმ მიზანს ან-
დომებს, რომლის ნაკლულევანება ჩვენ იმას
უწინ შევნიშნეთ, როცა ვამპობლით, რომ პი-
როვან ჩვენს უპატიოსნობაზე მის უსაფუძვ-
ლო და უსაბუთო ნაწერს პასუხი არ მიეცე-
გათქო. დღეს იმას მოუნდომებია „საფუძვლის“
და „საბუთების“ წარმოდგენა. ის ხასიათი და
შევლელობა, რომელიც ჩვენ მივეცით ჩვენს
პოლემიკას „მნათობთან“, მოითხოვა ჩვენგან,
რომ დღეს ეს უკანასკნელი მხარეც გაესინ-
ჯოთ.

II

ჩვენთვის მეტის მეტათ ადვილია, ბევრი ჩვენი მოწინააღმდეგების მიბაძვით, მიუბრუნდეთ უფრო ფურცელაძეს. და უთხრათ, ორში იშას უფლება არ ჰქონდა ჩვენს საკუთარს პიროვნობას შეხებოდა, ჩვენს კერძოობით მოქმედებას და ხასიათს გამოჰყიდებოდა და ჩვენი აზრის დარღვევის მაგიერ, ჩვენ შინაურულ ცხოვრებაზე გაემართა მუსაიფი. ამას ჩვენ დიახაც არ ვიქთ. ყოველი მწერალი, ყოველი საზოგადო საქმეებში და საზოგადობრივ ასპარეზზე გამოსული პირი, რომელიც საზოგადოების დახმარებას, გაწეროთნას, პატრიონობას თუ დარიგებას სჩემობს, მთლათ ერთიანათ საზოგადოებას უნდა ეკუთვნოდეს. საზოგადოების თითოეულს წევრს უფლება აქვს იმას თითოეული მისი სიტყვის, ნაბიჯის და მოქმედების ანგარიში მოთხოვოს, მის კერძოობით და საზოგადობრივ ხასიათს და საჭარელს დაუკვირდეს და კვალში ჩაუდგეს,

რომ მისი მიზანი იცოდეს, მისი სიტყვა სწამ
დეს და მისი ჩემის დანდობა ჰქონდეს. ვინც
კერძოლბრივ ცხოვრებაში უპატიოსნო ან უ-
სინიღისო კაცია, ვინც წერილმანებში ნიაღა-
ბაიუჟშობს, ციხესაც უბრალო საზოგადოშროვ
ან მეგობრულ საქმეებში აზრით და გონიერე-
ბა, სინიღისი და თავგამომეტებულება არ უ-
ჩამს, ის, უეჭველია, სხვილ-სხვილ, მძიმე სახალ-
ხო საქმეშიც უხეიროვ და საკუნძღველოთ მოი-
კცევა, ამის გამო არც მე, არც არავის არ
ცოქმის, რომ ჩემი ნაწერი, ჩემი სიტყვა გაა-
ჯეთ, მიიღეთ ან უკუაგდეთ, მაგრამ — ჩემს
კერძოლბით, შინაურ ხასიათს და ცხოვრებას
ნუ შეეხებითო. ამისი თქმა, ჩემი შერით იყოს
გინდა სხვისო მხრით, უსაუყოდლობა კი არა,
აშკარა საზოგადოების თვალის უხუცევა რქნე-
ბა. ჩევნ ყველანი საზოგადოებას მთლიათ
ცრთიანათ, სულითა და ხორცით ვეკუთვნით,
და საზოგადოებას ნება აქვს თითოეული ჩევ-
ნი მოქმედების განხილვის, გასჯის და დაფა-
სების. მაშასაზამე, უფრო ფურცელაძესაც, რო-

გორუ ჩვენი ქართველი საზოგადოების წევრს, სრულა უფლება ჰქონდა, და როგორც „მნა- თობის კრიტიკოსს ნამდვილი მოვალეობაც აწყა ამ მხარეს შეხებოდა, ამ მხრითაც გაესინ- ჯა ჩვენი ხასიათი, და პასუხი მოეთხოვა ჩვენი ცხოვრების, მოქმედების. ან საქციელის უმს- გავსოებისა.

მავრამ ამ გვაწი უფლების ხმარებას ზო- გიერთი მეტის-მეტათ მძიმე მოვალეობაც მოს- დევს. ამ მხრით მწერლის შოვალეობა გა- მომძიებლობას ეთანხმება, და გამომძიებე- ლი — ეს უფ. ფურცელაძეს კარგათ უნ- და სცოდნოდა — სინდისიანათ უნდა სჯი- დეს, იძევდეს თითოეულ გარემოებას და ბრალმდებას, თითოეულ მოქმედებას და მის მიზეზს. როცა გამომძიებელი მიმდგომი ან გაბრაზებულია, როცა ის უსინიდისოთ ასხა- ფერებს გამოძიების საბუთებს და ფაკტუბს, როცა ის მარტო იმ სიტყვებს ისმენს, რომე- ლიც მის პიროვან გრძნობას აკმაყოფილებს, სამსჯავრო, — ესე იყო მკითხველი საზოგადოე-

ბა — მის გამოძიებას თავზე ახეցვ. და მის და-
კვნას და მთელი გამოძიებასაც უყურადღებოთ
სტოკებს. — უფ. ფურცელაძეს ესეც უნდა
სცოდნოდა, ვვონებოთ. გამომძიებელს, აგრეთ-
ვე, იმასაც მოთხოვენ ხოლმე, რომ იმან-
თავისი გონება და მოაზრება იხმაროს იმ უ-
თავბოლო და უაზრო ჭორების გაგონების
დროს, რომელსაც ის ხანდისხან ყურს შოჰ-
კრავს; იმან ყოველი განაყონი სინიდისიანათ
უნდა გასინჯოს და მარტო მაშინ მიიღოს
სახელმძღვანელოთ, როცა ეგონება, რომ
იმათ ცოტაოდენი საფუძველი მაინც აქვთ.
იმ გამომძიებელს, რომელიც საქვეს შეად-
გენს ან მსჯელობას დააფუძნებს იმისთვის
ჭორზე, რომ აშა და ამ კაცზა, მაგალითად,
სიონის სობორო მოიპარა და ჟილეტის უ-
ბეში ჩაიდგაო, სამსჯავრო და საზოგადოება
გრიყვის სახელსაც არ დაჯერებს. მაშასადამე
იმ პარის, რომელიც რომელიმე მწერლის ან
საზოგადო ასპარეზზე მოქმედი პირის ხასიათს
და ცხოვრებას ეხება და სჯის, უსათუოდ.

სრული რწმუნება უნდა ჰქონდეს, რომ ეს
მწერალი ან მოქმედი პრიზრობით საძაგე-
ლი ან მავნებელია, და ეს მისი რწმუნება
ნამდვილ და მტკიცე მაგალითებზე ან საბუ-
თებზე უნდა ჰქონდეს დაფუძნებული.—ამას
ჩეენ მარტო უფ. ფურცელაძეზე კი არა,
საზოგადოთ ჩეენს მწერლობაზე ვლაპარა-
კობთ, როგორც ყველაფერს, რაც ამ სტა-
ტიკში გამოთქმულია. ჩეენი აზრით საჭიროა
ეს აზატანური ჭეშმარიტებები ერთხელ მაინც
გამოითქვას, რომ ჩეენებურ ვითომ-მწერ-
ლებს გაცნობილი ჰქონდეს ხეირიანი მწერ-
ლობის და პოლემიკის კანონები, რომელსაც
ისინი, როგორც ეტყობათ, სრულიადაც არ
იცნობენ.

წინდახედული და შეტის-შეტათ საფუძ-
ლიანი მოქმედება პიროვან შეტაკების და
პოლემიკის დროს მით უფრო აუცილებლათ
საჭიროა მწერლისთვის, რომ მისი უსაფუძ
ლოება და წინდაუხედველი ბრალის დადება
ან ფურცელის შემოტანა მარტო თვითონ იმას და

მის უურნალს დენებს. მწერალს, მართალია, შეუძლია ხანდისხან (თუკი ის მტკიცეთ დაჯერებულია, რომ მკითხველ საზოგადოებას მასზე ნდობა და რწმუნება აქვს), თავისი სჯა ისე გამოთქვას, რომ მისი დამამტკიცებელი საბუთიან მოაზრება არც კი ახსენოს და მოიყვანოს. მაგრამ ეს ისეთი ძნელი პასუხის გებაა, რომ ამის კისრაობა მწერალმა გაუჭირვებლათ არ უნდა აიღოს, და ოუ აიღო, მტკიცეთ და უეჭვოთ დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მომავალში ის პირი, რომელზედაც იმან დაუფუტვნებელი სჯა გამოთქვა, მართლა დამნაშავეთ ან მავნებელათ გამოვა საზოგადოების თვალში. უსამართლო, მიღებითი ან მტრული სჯის და გაკიცხვის გულისტვის მკითხველმა საზოგადოებამ წარჩინებული და დიდი ნიჭისა და გავლენის პატრონი მწერლებიც შეიძულა, არა თუ უცნობი და უბრალო, უგავლენო პირები. მხილებითი მწერლობის ისტორია ბევრს ამისთანა მაგალითს წარმოგვიდვენს, და რც რ ეპატივა

იმისთანა მწერლებს როგორც ვოლტერი, რუსო ან სანტ-ბევი, ის, უეჭველია, ჩვენის-თანა მწერლებსაც არ მიეტევება.

ამას გარდა საზოგადო ასპარეზზე მოქმედი პირის ხასიათის დამფასებელი ნიადაგ ერთ გარემოებას უნდა იხსენებდეს. ზოგიერთ აპარეზს, ზოგიერთ მდგომარეობას და საჭიროებებს, ზოგიერთს ადგილობრივ ან ღრივით გაწყობილებას ისეთი გავლენა აქვს იმ მოქმედ პირებზე, რომელნიც თავიანთი ქვეყნის და საზოგადოების მდგომარეობას არ იწონებენ და საზოგადო აზრის ან ბედის ერთიან შეცვლას სცდილობენ, რომ ამ პირების მოქმედებას ყველანი პირდაპირ და აშკარათ კი ვერ ხედვენ. ისინი იძულებული არიან იმოქმედონ სხვა ნაირათ, ვინემც სხვები მოქმედებენ; იძულებული არიან სხვა და სხვა მიზეზების გამო არ დაამატონ თითოეულს თავიანთს მოქმედებას; „ჩვენ ამას იმიტომ ეშერებით, რომ ი ესა და ეს კეთილი და პატიოსანი მიზანი გვაქვს, ამა და ამ საქმეს ვამზადებთ, ამა და

ამ ლონბსძიებას, ამა და ამ შემთხვევისთვის ვე-
ძებთ და ვამარაგებთო...“ ამის გამოისობით ამის-
თანა მოქმედი პირის საქციელს, მოქმედებას
და შრომას ძლიერ, ხშირათ ბინდი ჰქონდა, მისი მოქმედების უმეტესი ნაწილი მარტო ერ-
თი, ხშირათ შემაცოლებელი მხრით მოხ ნა.

ამ ვარემოებით ხშირათ სარგებლობენ ამ
გვარი პირების მოწინააღმდეგებენი, რომელიც
ათასნაირი ცილისწამებით და პიროვანი მიზ-
ნით ხსნიან მათ გაუგებარ მოქმედებას, და
ვინ იცის რამდენ სისაძალეს და უსინიდისო-
ბას არ სწამებენ მათ ხასიათს და შრომას.
მიგრამ ყოველი სინიდისიანი კაცი ვალდებუ-
ლია, ამისთანა მოქმედ პირებზე სჯის გამო-
თქმის დროს, თავდაკავებით და მოთწენით
ფადადვას აღაწყვეტილი საბოლოო აზრის შე-
დევნა იქამდი, როცა ამ პირების შრომას და
მოქმედებას ბოლო მოეღება. მარტო ჩაშან
გამოჩენდება ხოლმე, მეტ-ნაკლები სისრულით,
შართლა თავის კერძო თავმოყვარეობას და
პიროვან სარგებლობას ემსახურებოდა ამ გვა-
რი პირი, თუ სხვა უფრო მაღალი და უფრო
წმინდა მიზანი ჰქონდა. მარტო მაშან შესა-
ძლებელია აზრის შედგენა, ხეირიანი, გონიერი
და პატიოსანი საშუალებები უხმარია იმას, რი-
გიანი ვზით უვლია, საკმაო შრომა და ლვა-
წლი დაუდვია თავის საქმისთვის, თუ არა. მაშა-

სადამე მარტო მაშინ მის ცხოვრებაზე, შრომა-ზე და ხასიათნე სჯის გამოთქმას ცილის-წამების, უსაფუძლობის დაღი არ ესვება... ამით ჩეენ იმს კი არ ვამტკიცებთ, ვითომ კაცი აშის-თანა პირებს თავიდამვე თაყვანს ანუ პატივს უნდა სცემდეს და მათი წინაღმდეგი აზრის შედგენას ან გამოთქმას არ უნდა ბედავდეს თქმ სრულიადაც არა, ამისთანა პირებს არც თაყვანისცემა სჭირიათ, არც პატივისცემა. მაგრამ სინიდისიანობა და პატიოსნება მოითხოვს ყოველ ხერიან კაცისგან, რომ ის ამისთანა პირების ხასიათს და მოქმედებას არ აძაგებდეს და უსაფუძლო იჭვით ან ბრალის-დადებით არ სერიდეს, სანამ საკმაოთ არ გა-მოაშკარავდება მათი მოქმედების მიზნი და მათი მიზნის მისაღწევი გზა და საშუალებები.

მკითხველი ეერ წარმოიდგენს, ამ კანონის დავიწყებას რამდენი უმსგავსო და უსინიდისო შედეგი ჰქონია, რამდენი წარმოუდგენელი ცელისწამება და იჭვი გამოთქმულა უპატიოსნებს და უმშვენიერეს მოქმედ პირებზე.

ამ გვარი წინდაუხედველობა და უსაფუძვლო, აჩქარებული აზრის შედგენა და გამო-

თქმა არა თუ პატიოსანს საზოგადო საქმეს ავნებს, ის სიკელილამდი სინიდისს უწუხებს და მოსვენებას არ აძლევს იმას, ვინც ამისთანა შეცოდება მოახდინა, თუ კი იმას ცოტაოდენი სინიდისი მაინც აქვს. და მე გამიგონია, ხშირათ, ამნაირ შეცოობაში ჩავარდნილ პირებიდამ, რომ „ნეტაფი შემეძლოს ჩემი საკუთარი სიცოცხლის შეწირვით იმ ჩემი შეცოობის გამოყიდვა და პოსტცვაო, ნეტაფი მომკვდარვიყო, და ის სიტყვა კი არ წამომაცდენოდა.“

III

ჩვენ საგანგებოთ მოვიყვანეთ ამისთანა სხვილ-სხვილი მაგალითები, აშიტომ რომ იშათ შეურჩეველი და უეჭვო ხასიათი აქვთ. მაგრამ აც სხვილ-სხვილ მაგალითში ცხადათ სჩანს, ის წვრილმანებშიაც ხდება ხოლმე. და სინიდისიან კაცს, ყველა ამგვარ შემთხვევებში მფრის-მეტი თავდაჭავება და წან-დახედულობა სჭირია, რომ არც თვითონ შეცდეს, არც სხვა

რიან კიდეც: ეს კაცი ჩვენ არათ იმიტომ
გვაგდებს, რომ თვითონ უხეირო და უსი-
ნიდისოათ. ისინი მართლაც რომ ვერ ახსნიან
სხვანაირათ იმ გარემოებას, რომ მათ „შნო-
იან“, „მცხარე“ ლაპარაკს კაცმა საკმაო ნდო-
ბა არ მისცა, მათ გაშლილ მკერდს არ მი-
ეკედლი, მათ გრძნობას არ ენდო, და თან
სიტყვით არც კი უთხრა: თქვენში გულდამ-
ჭდარი, თავ-გამომეტებული, თავ-დამვიწყებე-
ლი შჩომისა და საქმის უქონლობას ვიწუ-
ნებო. ვერ წარმოიდგენს კაცი, რამდენი ეჭვი
და ცილისწამება იბადება მაშინ ამ ნაირი პი-
რების თავში, რა უხეიროთ და უტვინოთ,
ხსნიან ისინი თითოეულ სიტყვას, ნაბიჯს-
მოქმედებას იმ პირისას, რომელსაც ისინი
ვერ მიეკედლენ ან ვერ დაცთანხმენ... მაშინ
მისი ირონიით ან ხუმრობით ნათქვამი სიტ-
ყვა, მისი გადაკრულათ გამოთქმული აზრი, მისი
თავის-თავის გმობა ამ პირებს პირდაპირ ესმისთ.
გაუგებლათ განაგონი ფრაზა იმათ ტვინში
სხვაფერდება, იმას მათი საკუთარი ეჭვი ემა-

ტება, თან სხვისი ბუტბუტი, მერე ჭორი და საბოლოოთ გამოდის „ხმა“, ეითომ რასმეზე დაფუძნებული, ეითომ რითიმე დამტკიცებული, წადით, მაშინ, და უყარეთ კაკალი!

წელან ჩვენ სხვილ-სხვილი, მაგალითები მოვიყვანეთ. ჩვენ გარემოებაში, ჩვენს ქვეყანაში ამისთანა მაგალითები, რასაკვირველია, გამოუდევარი და უმნიშვნელო არიან. მაგრამ ეხლა ორიოდე წვრილმან, უბრალო მაგალითებს მოვიყვანთ ისეთებს, რომელნიც ჩვენშეაც გასაგები უნდა იყვნენ.

ვთქვათ, მყითხველო, მოინდომე შენ რომელიმე წვრილმანი საქმის გამოწყება, ვთქვათ წიგნის მაღაზიის გახსნა, გაზეთის გამოცემა ან სხვა რამე ამ გვარი. ვთქვათ, ამ საქმის კარგათ წასაყვანათ გაიცან შენ ათიოდე პირი, რომელთაც ეს აზრი სახეირო დაწყებათ მიაჩნიათ და მისი ასრულებაში მოყვანა სურთ დაიწყეთ საქმე ერთათ. საქმის წაყვანის დროს, უეჭველია, შეგემთხვევათ რომელიმე კერძობით კითხვაში უთანხმობა, ბაასი, სჯა. ხომ?

უეჭველია, რომ თუ შენ და შენი ამხანაგები
სინიდისიანი პირები ხართ, საქმე იმით
დაბოლოვდება, რომ მოილაპარაკებთ, უვე-
ლანი თქვენ თქვენს აზრს გამოთქვამთ, თქვენ
თქვენს საფუძველს მოიყვანთ, და მაშინ ის
გადაწყვეტილება უნდა მიიღოთ, იმ გზას უნ-
და დაადგეთ, რომელიც თქვენი ამხანაგების
უმრავლესობას უკეთესათ მიაჩნია. მაგრამ წარ-
მოვიდგინოთ, რომ უმრავლესობაშ საქმე ისე
გადაწყვიტა, როგორც, ვთქვათ, შენ თქვი,
და ორიოდე შენი ამხანაგი კი ამას არ დაუ-
თანხმა, არ გვინდაო, თქვეს, არაო. უეჭველია,
რომ თუ მოელი საქმის დანგრევა და დაშლა
არ გსურსთ, თქვენ, უმრავლესობა, იმ ორი
ოდე განს-გამდგარს ეტყვის: კარგი, რადგანც
არ გსურთ, მშეიღობით ბრძანდებოდეთ, რაც
შემოგიტანიათ მიირთეთ, რაც ღვაწლი დაგუ-
დვიათ დააფასეთ, გავსწორდეთ და ღმერთმა
გზა დაგილოცოს! ასეა, ხომ? მაგრამ წარმოვი-
დგინოთ, კიდევ, რომ ეს ორიოდე პირი წაბ-
ძანდა და ქუჩა-ქუჩა თრევა და საყვედური

დაიწყო, ეს საქმე ჩეენ დავიწყეთ, ჩეენ გავა-
კეთეთ და ეხლაკი იმ პირმა (ესე იგი შენ,
მკითხველო, და არა თქვენი ამხანაგობის
უმრავლესობამ) წაგვართვა, მოგვტაცა, მოგვ-
პარაო! ამას ჯერ ერთი იტყვის, მერე ათა
გაიშეორებს, ბოლოს ასი, და დაგერქვა შენ
მტაცებელის სახელი.

ეს მიუთითებელი, ერთობ ბურულში გამო-
თქმული მაგალითია. მოვიყვან მეორეს, უფ-
რო ნამდვრლს, უფრო პიროვნულს. ერთხელ
მე, ექვსიოდე ამხანაგების დახვარებით, ვბეჭ-
დავდა ერთი მეტის მეტათ. გამოჩენილი მწერ-
ლის თხზულებას. ერთმა ჩემთა თანა-მშრო-
მელმა დაიჯინა, რომ ამ ჩინებულ თხზულე-
ბაში ერთი თავი უნდა გადავაკეთოთო, ჩეენ
თვირთონ ხელახლათ დავწეროთო, რადგან
ჩემი აზრითო ამ თხზულებაში გამოყვანილი
ქალი სტირის, როცა ქმრის სიკვდილს ტყო-
ბილობს, და ხეირიან და გულმაგარს ქალს
როდი უნდა ეტირაო. წარმოიდგინე მკითხ-
ველო, რა უნდა მეთქვა მე ამ ხეპრულ აზრ-

ზე? რასაკვეირველია მე ჯერ კერძოობით მთელი ერთი კეირის განმავლობაში უმტკიცებდი ამ ახირებულ კაცს; რომ იმ ქალის ხასიათი ჩინებულათ გაუგია და მშვენიერათ გამოუხატავს ავტორს, რომ ჩეენ მისი გასწორება და გადასხვაფერება, არ შეგვიძლია. სხვა რომ არაფერი იყოს, მკითხველი საზოგადოება მასხარეთ აგვიგდებს და სხვ. და სხვ. როცა ამითაც არა გამეწყო რა, უთხარი კარგი, სხვა ჩეენ თანამშრომლებს ვკითხოთ, თუ დათანხმდებიან იყოს ნება მათი მეტქი. მოვგროვდით, იმან თავისი თქვა, მე—ჩემი რასაკვეირველია, რომ თითქმის ყველამ, ორს გარდა, ჭარხარით უპასუხდეს: — „რას მიეღ-მოედებიო, ეს თხზულება ისე უნდა დაიბეჭდოს, როგორც ავტორს დაუწერიაო!“ შაგრამ ის ორი პირი ამ უმრავლესობის გადაწყვეტილებას როდი დაეთანხმა. ჩეენ იმათ, მეტი რაღა ლონე გვქონდა, გზა დაულოცეთ, რადგანც იმათ გამოაცხადეს, რომ თუ არ გადაგვაკეთებიეთ ის თხზულება, თქვენთან ერთათ

შრომა არ გვინდაო. მაგრამ წარმოიდგინე, ეხლა, მკითხველო, რომ იმ ორმა პირმა მაშინ ჩემზე ხმა დაყარეს, რომ იმ თხზულების ბეჭვდა იმან იგდო ხელშით, თუმცი თვითონ ძლიერ კარგათ იცოდენ, რომ ხარჯის და გაჭირვების, წოწიალის და თვალის სინათლის დაკარგვის მეტს არც ხეირს, არც სარგებლობას, არც სახელს მე ის ბეჭდვა არა ფერს მაძლევდა.

ამისთანა წერილმანი უსაფუძველო სამდურევი და უკმაყოფილება ჩემს სიცოცხლეში იმდენი მრგებია რომ, მათა ჩამოთვლა რომ მოვინდომო, მთელ „კრებულს“ ავავსებდი. ნაგრამ აქ მე ეს ჩემი პირადი ცხოვრებისგან მაგალითი მარტო იმიტომ მოვიყენდ, რომ მეჩვენებია, რომ მარტო ფანტაზიის დახმარებით კი არ დამიხატავს ის სურათი, რომელიც ამ სტატიაში აეწერე. ეხლა კი ამ მაგალითს თავი უნდა დავანებო, და როგორც წელან „სხვილ-სხვილი“ მაგალითების შედევრი მოვიყენდ, ისე აქ ამისთანა წერილმან

მაგალითებს ხანდისხან რა ბოლო აქვს
ისიც უნდა ვთქვა.

ერთხელ ერთმა პიროვნათ საკმაოთ პატი-
ოსანმა, თუმცა ერთობ თავმოყვარემ და უსა-
ფუძვლო მწერალმა არ შოიწონა მეორე
მწერლის აზრი. ეს მეორე მწერალი ემიგრან-
ტებზე სწერდა, რომ იმათ მრავმედებას საკ-
მაო გონიერების და დაუღალველი შრომის
ხასიათი არა აქვს, სასურველია, რომ ისინი
უკეთეს გზას დაადგენ, ანა და მთლათ და-
ნებონ თავი საზოგადო საქმეებში გარევასაო.
ეს აზრი არც ერთ პიროვნებას არ შეეხებო-
და, ის მარტო საზოგადოთ სჯიდა. ამის პასუ-
ხათ პირველმა მწერალმა დაბეჭდა, რომ ვინც
ამისთანა აზრს გამოთქვამს ემიგრანტებზე ის
შპიონი და უსინიდისო კაციაო. ვინააო, ჩვენ
იმას კარგათ ვიცნობთო, ის მცარცველი და
მტაცებელიაო, და სხვ. და სხვ. და სხვ. მავ-
რამ თუმც ის ამას იმ მიზნით ამბობდა, რომ
მეორე მწერლის პიროვნი შეურაცხყოფით
ემიგრანტები დაეცვა, თითქმის ყველა მისი

ნაცნობები ისეთ ნაირაზ გააჯავრა და ააშ-
ფოთა იმ გარემოებამ, რომ ეს მწერალი ძალი-
ან კარგათ გრძნობდა მისგან დიბეჭდილი ცი-
ლისწამებების უსაფუძვლობას და სიცრუეს
და შეინც ამ იარაღს ხმარობდა, რომ ის ყვე-
ლამ მაატოვა და შოიძულა, ერთათ ერთი
კაცის მეტმა, რომელიც მისი აზრის იყო,
როცა ის გამოჩენილი მწერლის რომანის
გადაკეთებას აპირებდა.—ამ შემთხვევის შემ-
დეგ ოთხ თვეს არ გაუვლია. და ამ ახირე-
ბულმა მწერალმა ყველასგან მიტოვებულმა
და შეურაცხყოფილმა, ერთ უბედურ დილას
თავი მოიკლა... მისი მეგობარი კი, მართალია,
დღეს ცოცხალია, მაგრამ ვაი იმისთანა სი-
ცოცხლებს: ის დღეს „მოსკოვის უწყებებში“
დონისებს სწერს, იქნება ამით მაინც თავი.
შეაბრალებინოს და „თფილ ნავსაყუდარს“
თავი შეითვაროს. . .

IV

ეს გრძელი აშბავი ჩვენ იმისთვის მოვყენოთ, რომ გვეჩვენებია თუ რა ნაირი წინდანედულობა და საფუძვლიანობა აუცილებლათ საჭიროა ამ გვარ საქმეებში და სჯაში. სინიდისიანი მწერალი თავის დღეში არ უნდა დამდაბლდეს იქამდი, რომ თავის სჯაში, გაბრაზებულ გუნებაზე, უთავბოლო და უსაფუძველო ჭირიკანაობას ხელი წაავლოს. და გამოუკვლეველათ, განუზილველათ იარაღათ იხშაროს. მწერალს მოწინააღმდეგე პირის დასამარცხებლათ საკმაო იარაღი აქვს: ამ პირის აზრების განხილვა, საზოგადო საქმეებში მისი მოქმედების დაფასება, მისი უნიჭობის ან უგუნურობის გამოაშკარავება; ვაჭირებას მეტი როდი რამე უნდა აიძულებდეს მწერალს თავის მოწინააღმდეგეს სულში ჩაძვრომას, მისი პიროვანი ცხოვრების და ხასიათის, მისი შინაური მოქმედების შეხებას,—თუმც იმას ამის უფლებაც აქვს. და როცა ეს საჭიროება

იმას წინ უდგება, მაშინ იმას მეტის მეტი
თავ-დაკავება წინდახედულება საფუძვლია-
ნობა სჭირია, რომ მისი სჯა ვაბრაზებულ
თავმოყვარეობათ არაეინ ახსნას, მისი აზრი
პიროვნი ჯიბრის ამოყრათ არაეინ იცნოს
და ამით როგორც თვითონ ამ მწერლის, ისე
საზოგადოთ მწერლობის და წერა-ბეჭდვის
მნიშვნელობა და გავლენა არ შემცირდეს
და არ დაიღუპოს.

თორემ როცა რომელიმე მწერალი, რამე უმ-
ნიშვნელო პიროვნი ვაბრაზების დროს, თავის
მოწინააღმდეგეზე იმით იყრის ჯიბრს, რომ
მკითხველი საზოგადოების წინ იმაზე ეჭვი
შემოაქვს, მის პატიოსნებას და ხასიათს, მის
შინაურულ ცხოვრებას ეხება, და ამ მიზნით
უაზრო ჭორებს, ჰკრებს, თავისასაც ბევრს უ-
მატებს, ტყუილსა და ეითომ-მართალს ერთათ
რევს და როტაეს, და ყველა მხრით, გამოუ-
ძიებლათ, განუკითხეველათ, თავისი მოწინა-
აღმდეგისთვის სავნებელ ამბებს აგროვებს,
იმის განუხალველათ თუ საიდამ, რა წყარო-

დამ, როგორი პარებიდიმ და მიმართულები-
დამ გამოდის ეს ამბავი ან ჭორი, მაშინ ის—
თუ სინიდისი მთლათ ერთიანათ არ დაკარ-
გვია—მეტის მეტათ საზარელ და საშინელ
პასუხისვებლობას კისრულობს და ცუდ მო-
მავალს იმზადებს... აშკარათ უსინიდისო ან
გრეობამდი გაცოფიანებული კაცის შეტი
ამას არავინ იქს, ჩვენში იყოს, გინდ სხვაგან.
ეს ისეთი ჭეშმარიტებაა, რომ დამტკიცება-
საც არ თხოულობს.

V

ამ შენიშვნების გამოთქმის შემდეგ, გადა-
ვიდეთ უფ. ფურცელაძეზე. ამ ვაჟბატონს
შეუბოჭივს რაც კი რამ ცული გაუგონია სა-
დხე ჩემზე, და დაუბეჭდავს ეს ყველაფერი
გაუხილველათ, მოუფიქრველათ, თითქო მარ-
თლა დარწმუნებული იყოს ამ ცილის-წამე-
ბის სინამდვილეში, თითქო ხეირიანათ გაშო-
ეკვლიოს მათი წყარო და უითარება. მისი სი-
ტუვათ მე და ჩემი მეგობრები ისეთი კაცები

ვართ, რომ ჩეენთან საქმის დაკავება შეუძლებელია ყოველი პატიოსანი კაცისთვისო, ამაში მე, ამბობს ფურცელაძე, ყველა პატიოსანი კაცი დამეთანხმაო. მე ჯერ ერთი პატიოსანი კაცი მინახავს ფურცელაძის თანამოაზრე ამ საგანზე—უფ. ბ. ღოღობერიძე, და თუ უფ. ფურცელაძეს ხევა ეინმე უნახავს, არ ვიცი. ის კი ბეჭითათ ვიცი, რომ ამაში უფ. ფურცელაძეს არ დათანხმებია უფ. ანტ. ფურცელაძე, რომელიც სრული გულით თანხმა იყო ჩეენისთანა უპატიოსნო პარებთან ერთათ საქმე დაეჭირა და ერთათ ეშრომა „დროებაში“ და „კრებულში“, მაგრამ—როგორც ისტორია მოვწითხრობს, ამის უარი ანტ. ფურცელაძისთანა პატიოსან კაცს კი არა, ჩეენისთანა უპატიოსნო კაცებს გამოუცხადებია. ეკითხოს, ამა, „ქიტესას“ და ზოგიერთი „დროებისთვის“ დანიშნული სტატიების და ლექსების ავტორს, უფ. ფურცელაძეს, ეის ეინ დაუწუნია, ჩეენ—იმას, თუ ის—ჩეენ.

— მაგრამ ეს უბრალო კინკლაობაა. ინუგეშოს,

დღეს, „ქილეას“ და „მაცი ხვიტიას“ ავტორ-მა, რომ ჩვენ კი არ დაგვიწუნებია ჩისი ნაწე-რი, იმან ჩვენ უპატიოსნობა დაგვიწუნა და იმიტომ ჩამორჩა ის „კრებულ-დროებას“, როგორც უწინ „საქართველოს მოაშშეს“ ჩამოაკლდა. ბეჭრათ უფრო შესანიშნავია სხვა, უფრო მომსხო ბრალის-დადებები, რომელიც აქა-იქ მოუხიკავს ჩემზე უფ. ფურ-ცელაძეს. ეს ბრალის-დადება, მკითხველო, აი როგორი თვისების არის: ვითომ შე მტა-ცებელი და უსინიდისო კაცი ვიყო, მარტო ჩემი პიროვანი მიზნის მსდეველი, ამ მიზნის-თვის, ესე იგი ორივე მანეთის ხელში ჩაგ-დებისთვის სხვა და სხვა კასსების მცარცვე-ლი, მოლალატე და სხვ. რამოდნათ შექძლო ამ საგანზე აზრის შედგენა უფ. ფურცელაძეს ეს იმან და იმისმა სიზადი სმა იცოდეს; მაგრამ დიდ მოაზრების ძალას ვერ იჩენს. ის, როცა ამ ხეპრულ ცილის-წამებას იმეორებს. უფ. ფურცელაძეს დიდი გონება როდი სჭიროდა იმ მოაზრების პოვნისთვის, რომ ჩემისთანა

კაცი კი არა, ერთიანათ ტეინგათხელებული სულდგმულიც არ იყადრებს ოცი მანეთის-თვის სინილისზე ხელის აღებას. და თუ კი უფ-ფურცელაძემ ამ კასაზე ლაპარაკი დაიწყო, იმას ალბათ მისი გარემოება ეცოდინება, და მაშასადამე, დარწმუნებული იქნება, რომ ამ კასაში ოცდახუთ მანეთზე შეტი თავის დღეში ერთი კაპეიკიც არ ყოფილა. არც დიდი გონება დასჭირდებოდა უფ-ფურცელა-ძეს იმ სტატიის გასაგებათ, რომლიდამაც იმას ეს ცილისწამებები ამოუწერია: შიგვე პირდაპირ სწერია, რომ რაც ფული მე გამ-ჭონდა ვითომ, იმ ფულს მე მაშინვე კასსირს ვაძლეველი. მაშ თუ ამ და ბევრ სხვა ამისთანა გარემოებებს იმისთვის თვალი ვერ აუხელია, ცხადათ სჩანს, რომ უფ-ფურცელაძეს ან სრულებით არაფრის გავება არ შესძლებდა და მართლა ბრმა ყოფილა, ანა და განზრახვით და საგანგებოთ მკითხველების შეცდენასურ-ვებია იმისთანა ამბების გარდაცემით, რომე-ლიც იმას თვითონ ტყუილ ცილისწამებათ

უცენია. „ან ბრიყვი, ან ცრუ,“ ამ ორ სახელს ის ვეღარ წაუვა, და რომელიც სურდეს, ის შითვისოს.

ნუ თუ, მართლა, ან დიდი გონება ან დიდი გამჭრიახობა ან საგანგებო დაკვირვება სჭირია კაცს და სჭიროდა ფურცელაძეს იმის-თვის, რომ ჩვენი მოქმედების და ხასიათის ნამდვილი მხარე გაეცნო და ჟაენახა? ნუ თუ, მარტო წვრილმან და პიროვან სარგებლობას რომ ვეძებდეთ, ჩვენს ქვეყანაში ჩვენ სხვა უფრო „სარგებლიანს,“ უფრო „მყუდარო“ და „პატივცემულ“ ასპარეზი. ვერ აფრიევდით, საღაც ქურდობა, რომ მოინდობოს კაცმა, ათი ათასი თუმნობით შეიძლება და თავმოყვარეობის დაქმაყოფილება. ათია ათასჯერ უფრო ადეილათ და იაფათ დაჯდება? დიდი ბრიყვი და ჩერჩეტი უნდა იყოს ის. ჭურდი და მცარცველი, რომელიც გატყავებულ და გალატაკებულ ჭინდორში, გეენა მწინა და ჭარიშხალის ქვეშ, უბრალო ბალახ-ბულაში, იარავს ჩნ იტაცებს, როცა იმჯე ადეი-

ლათ შექძლებოდა, სხვა უფრო უხევ წრეში უფრო უხევი „საშოგრის“ შეძენა. ამ უხევი საშოგრის მაგალითები, ლცთის მაღლით, ჩევნში იშვიათი როდია, და თუ კაცი იმათ ვერ ხელავს ან ისე იმკვდანურებს თავს, თითქო ვერ ხედავდეს, ცხადა, რომ ის ან პიროვან გაბრაზებას დაუბრმავებია, ან რამე სხვა მიზეზებს უსინიდისო მსაჯულათ გაუხდია. ორივე შემთხვევაში, ვიმეორებთ, იმას თავი წკეთილათ ვერ უსახელებია როცა კაცი ამისთანა მდგომარეობაში დგება, ასე აშკარათ ბინძურ იარაღს ხმარობს, ის ამით თვითონ ამტკიცებს, რომ ერთომ სუსტათ და ცუდათ ყოფილა მისი საქმე. და ის, წყალ-წალებული კაცის არ იყოს, სხვა დახსნის და შევლის იმედ დაწმენდილი, ხატავა და ნაფოტებს ხელს ავლებს, რაგინდ გასერილი და საზიანარი იყოს ეს ხატავი და ეს ნაფოტი.

VI

მაგრამ ჩენ დიდათ შევცდებით; უ. ფურცელაძის ცილისწამება მარცო წუთიერ გაბ-

რაზებას რომ მიყაწიეროთ. რაგინდ უსამზღვრო და სასტიკი იყოს ეს გაპრაზება, დროსა და ფაქტს ყოველთვის შეცძლებოდა მისი გონებაში ჩაგდება და სინანულის ან უარყოფის დაბადება. აქ, ამ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, საქმე უფრო ღრმათაა წახდენილი, იმას უფრო ხანგრძლივი საფუძველი და მიზეზები აქვს. ჩვენ ამ საგანზე ორიოდე სიტყვა უსათუოთ უნდა ვთქვათ.

როცა ჩვენი თაობა ჩვენს მწერლობაში გამოეიდა, როცა იმან ზოგიერთი ახალი მოთხოვნილება და მიზანი შემოიტანა ჩვენს წერა-პეჭდვაში, როცა მისმა შრომაშ ცოტა-ოდნათ ჩქმეტა და ჯლიქვების კერა დაუწყო ჩვენს მიძინებულ საზოგადოებასა და განსაკუთრებით ჩვენს უხეირო ვითომ-ახალგაზღობას, ზოგიერთმა პირებმა ყური გააცქვიტა და ჩვენი გაჩუმება თუ არა, ალაგმა შაინც მოინდომა. ზოგმა იმათვანშა თავისი თავი პიროვნათ ჩვენი თაობისგან შეუჩაცხოვილათ იცნო, ზოგი შეხსიერათ მიხედა, რომ

ჩვენი თაობა სულ სხვა მიზანს და სხვა გზას
აღგა ვინემ იმათი, და აღრე თუ გვიან ჩვენს
შორის სასიკედილო ბრძოლა უნდა გამართუ-
ლიყო; ზოგმა ჩვენი თაობის „ახარებული“
საქციელი და შრომა ვერ მოწინელა,— მაგრამ
უველამ კი ჩუმი, ქვემ-ქვეშ, წინააღმდეგობა
დაგვიწყო. ჯერ ჩვენმა მოწინააღმდეგებმა ფი-
თობ ჩვენი პატრიონობა, დარიგება, გაწვრი-
ნა მოინდომეს, და ლამის კინალამ „მნათო-
ბის“ ბედი დამართეს „დროებას“ დაუბოლო-
ებელი, ბრძნული, გაუგებარი და ლაყე სტა-
ტიკების მოცემითა. მავრამ ერთის მხრით
„დროების“ რედაქციამ, მეორეს მხრით ახა-
ლი შემოსავლიანი აღგილების გახსნამ „დრო-
ებას,“ ღვთის მადლით, ეს განსაცდელი და
ბედი ააცილეს. შემდგომ ამისა ამავე პირებმა,
სხეების დახმარებითაც, ახალი წინააღმდეგო-
ბის სისტემა მიიღეს. მოივრაყეს თუ არა სა-
ყელო, გაიგუდენ, ბრძნული შეხედულება მი-
იღენ და ჩვენი უბედური საზოგადოების წინ
ჩვენს მწერლობაზე ფხრების აწევით. და შებ-

რალების ღიძილით წაყრუება დაწყეს, და თუ როდესმე სიტყვას ამოილებდენ, მარტო ამას გვაკადრებდენ:— „ეჭ, ეს წერა-პეჭდვა სულ ბოვშობააო!“ თან კი ისე გააქნევდენ თავს, თითქო თქმა უნდოდათ: „აი, წერა, ბრძნული წერა როგორი უნდა, იმას ჩვენ გაჩვენებდით დრო რომ გვქონდესო.“ უცადეთ ჩვენ ამ „დროს“, მაგრამ ის დაწყეული არსაილამ შოვიდა, და ჩვენ აბა რა გაგვიწყობოდა, ჩვენ ჩვენი „ბავშური“ წერა უნდა გაგვეგრძელებია. ამასობაში, რაკი „დახმარებით“ და წაყრუებით ვერა გაარიგეს რა, ჩვენმა წინააღმდეგებმა მესამე საშუალება იხმარეს: როცა საზოგადოებაში იმათ თანდათან უფრო და უფრო ხშირათ ესმოდათ, რომ ჩვენს მწერლობაში „მართალი“ და „გონიერი“ რამ გამოითქმოდა ხანდისხან, იმათ ის აიხირეს, რომ აზრი კი, მართალია, ხანდისხან სწორია, მაგრამ ენა გროვთ არ უვარებათო. მკითხველი ვერ წარმოიდგენს, რამდენი თანამერძნობელი, მკითხველი, დამჯერი და ყურის მგდე-

ბლები გვაკლდებოდა ჩვენ, რამდენი მოთმინება და შრომა გვჭიროდა, რამდენი თვისა და წლის ღვაწლი და დაულალველობა, იმის გულისთვის, რომ თითოეული ამ გვარი ხეპტული, ყრუთ გამოთქმული, ბრძან გავემული ვითომ-სჯა გამოათქმოდა ჩვენზე. ერთი ვარაც-საყელოიანი რომა მისთან სჯას გამოთქვამდა, მოივლიდა ის სჯა მთელ საზოგადოებას და შეურყეველ ჰეშმარიტებასავით დაფუძნებელი დებოდა: ისეთი გავლენა ჰქონდა იმ დროს ამ პირების სიტყვას და აზრს. მაგრამ, როგორც იქნა, ჩვენ მოვახერხეთ ამ მესამე სისტემის თავიდამ აკალებაც. ჩვენი წინააღმდეგების გმირული ხასიათი ისეთია, რომ თუ იმათ კაცმა წაუყრუა და გაუჩუმდა, შეგაჯდებიან კისერზე და ხედნას დაგიწყებენ, ბატონათ გაგიხდებიან. მაგრამ ერთი თუ შესძახე, ერთი „ციც, შე გლას!“ თუ შეპყვირე, მოიკავებიან, გაიბუსებიან და მკვდრათ მიეგდებიან, სანამ რამე აჯალს, უცნაურს ოინს არ მოიგონებენ და შორიდამ მხთალათ მახეს არ დაფიგებენ. ამის

მიხედვით ჩვენ იმათ ერთი სტატიით *) ჩვენს „ენაზე“ ლაპარაკი შევაწყვეტინეთ. და ებ-ლა, რაკი ამ ვაჟბატონებს ეს სამი სისტემა წაუხდათ, რაკი მათი წინააღმდეგობა ამ სამი მხერით იმათ უნამყოფოთ თავზე ჩამოეხიათ, მოუგონიათ მეოთხე, ძლიერ მძლავრი და ოსტატური სისტემა.

„მოუგონიათო“ რომ ვთქვით, შეცოდა მოგვიყიდა. ეს მეოთხე სისტემა ის იეზუიტუ-რი სისტემაა, რომელიც ხელოვნურათ გამო-სატა ბომარშემ, ამ ასი წლის წინეთ, თავის კომედიაში „სევილის დალაქი.“ ამ კომედიაში გამოყვანილა იეზუიტი, ღონ-ბაზილ, იმ საქ-ციელს აღგია, რომ ვისიც წინააღმდეგობა უნდა, ვის დამარცხებას ეძებს, იმაზე ერთ უშვერს, აზრში მოუსევლელ რასმე მოიგო-ნებს და ვისმე ყურში ჩაუწვეთს, ხალხში ხმათ გააგდებს და მერმე შორიდამ სეირს უყურებს. იმან ჩინებულათ ცვის, რომ მცი-

*) „დროება“ 1870, № 42 („ჩემ მკითხველს“)

რედი იჭვი, ერთი ნამუშა შეწამება, ერთი-
ოდენა ბრალისდადება, რაგინდ დაუჯერებე-
ლი და უცნაური იყოს, თავისდღეში არ დაი-
კარგება, უკვალოთ არ გაჰქირდება: ის თანდა-
თან უფრო დადება და სხეილდება, ზეავისა
არ იყოს, გზაზე ახლ-ახალ ფესვებს და შტო-
ებს ისხამს და ცოტახანს შემდეგ მოელ სა-
ზოგადოებაში ვრცელდება, ყველას ტეინში
და გონებაში უჯდება და მაშინ იმას ვერ
აშოგდეჯს და ვერ მოსპობს ვერც ერთი
გმირის მძლავრი ხელები.— „ცილისწამეთ, ცი-
ლისწამეთო, აჩბობს დონ-ბაზილ, რაგინდ
უშეერი რამ მოიგონოთ ცოტას მაინც დაი-
ჯერებენო!“ — აი ამ საქციელს დაადგენ ჩეენი
წინააღმდეგები, ეს საშუალება მიიღეს იმათ
მეოთხე სისტემათ.

ამ გვარათ, როცა ვერც ჩეენი აზრების
დარღვევით, ვერც ჩეენი საზოგადობრივი
მოქმედების შეურაცხვოფით, ვერც მწერლური
ნიჭის ძალით, ვერც სამშაირი ასტატური
ოინით ვერ მოიგეს იჩათ საზოგადოების გუ-

ლი და თანაგრძნობა, და ჩვენი მწერლობა
ცერ ჩახუმეს და ტალახში ვერ გათქირეს,
ისინი ჩვენს შინაურ ცხოვრებას, პიროვნულ
ხასიათს, კერძოობით მოქმედებას შეეხენ, და
ვითომ ამ შეხებისთვის მოიგონეს, მოძებნეს
და მოხიკეს ყოველნაირი ჭორები, რომელიც
კი როდისმე ჩვენზე ან გაბრაზებულ თავ-
მოყვარეობას, ან დაბრმავებულ ხარბობას,
ან უმეცარ უნიჭობას მოუგონებია, და ავრ-
ცელებენ ეხლა საზოგადოებაში, გადასხვაფე-
რებულათ, შეფერილათ, გაბერილათ და მო-
მეტებულათ. და რაც ჩვენ უწინ ამაყურათ
უყურადღებოთ მიგვიტოვებდა, რასაც ჩვენის
მხრით პასუხი კი არა, შებრალების ღიშილიც
არ ღირსებია, რისიც პასუხის გაცემის ნება
ჩვენთვის ჩვენი თავის პატივს არ მოუცია,
ის ყველაფერი შეგროვებული, გადასხვაფერე-
ბული და გაზვავებული გვხვდება ეხლა ჩვენს
წინ, იმისგან გვიშენ ბენ ეხლა იმ ჩინეთურ
კედელს, რომელიც ჩვენსა და საზოგადოებას
შუა უნდა დადგეს, ამ ვაჟბატონების აზრით.

როცა ამგვარ ჭორებს, ამგვარ ცილისწა-
მებას უნიჭო, ან უტვინო პირების საკუთრივ
ჩემზე გამოთქმავდენ, როცა ამისთანაებს ჩემ-
ზე კიდევ ბეჭდენ, მე ვიცინოდი და ვხარხა-
რებდი, როგორც კაცი, რომელსაც აბრალე-
ბენ, რომ ის ცხრა დღის სავალზე წავიდა, და
ათასი თუმანი დახარჯა ორი შაურის მოსა-
პარავათო. მაშინ საქმე მარტო მე, პირად მე
მეხებოდა, და მარტო ჩემზე იყო დამოკიდე-
ბული მივიღებდი მე იმას ყურადღებაში, ქი-
შყენდი, ამოვიღებდი ხმას, თუ არა. მაშინ ჩემმა
სიამაყებ ამაებს ყორიც არ ათხოვა: პირათ მე
ერთობ დარწმუნებული ვიყავი და ვარ მათ
ბოლონდელ გამოცრუებაში და ჩემი სახე-
ლის უჩანკოებაში. სხვას რაც უნდა ის ეთ-
ქვა, ბოლო ყველაფერს გასჯიდა და ყველას
შესაფერ სახელს, ლირსეულ დაღს დასმიდა.
მაგრამ დღეს, ჩვენში, საქმე სულ სხვათრივაა.
დღეს ჩემ პიროვნობას რომ ეხებიან, პირად მე
ვერაფერს შაკლებენ და ჩვენს მწერლობას კი
დიდ ზიანს აძლევენ. ცილის-მწამებლებმა კარ-

გათ იციან, რომ მე ამავებზე გავიცინებ, ვიტყვი
კადეც — „შეხედეთ რაებს მწერენ ან ამბობენ
ჩემზეთქო“, და ჩემს საქმეს დაუბრუნდები.
მაგრამ ამასთანავე იმათ კარგათ ნაანგარიშე-
ვი აქვთ, რომ ჩვენს მწერლობას, ჩვენს „დრო-
ებას“ ამით გავლენა აკლდება, საზოგადოების
ტვინში ეჭვი შედის და ამის გამოისობით იმ
კითხვებში და საქმეებში, რომლებშიაც ჩვენს
მწერლობას პირდაპირი ხმა და გავლენა უნდა
ჰქონდეს, მწერლობის მნიშვნელობა მცირე-
ბა, მისი როლი პატარდება. აი ეს მიზანი აქვს
ამ ცილისწამებებს, ეს განზრახვა უძევს იმ
ბრალისდადებას, რომელსაც ჩემს წინააღმდეგ
ხმარობენ. ერთი სიტყვით ამ შემთხვევაში ჩემს
სახელს და პიროვნობას ხმარობენ იმ საშუა-
ლებათ და იარაღათ, რომლითაც ჩვენი მწერ-
ლობის დაცემა და ძირის გაშოკაფვა უნდა
დამზადდეს.

ამ მხრით, რახაკვირველია, ჩემი გაჩუმება
და წაყრუება ჩვენი მწერლობისთვის საენებე-
ლი იქნება, და როცა მწერლობაში გამოდის

ვინმე, რომელიც ამგვარ ცილისწავებას ხმა-
რობს ჩეენს წინააღმდეგ, რაგინდ სასაცი-
ლო ან საზიზლარი იყოს მისი ნაწერი, რაგინდ
სათაკილო იყოს იმასთან ბაასშა შებმა, ჩემი
მხრით აუცილებლათ საჭიროა მისი ნაწერის
ხელში აღება და გასინჯვა, მისი გაჩუმება და
დასჯა.

მაშ მიუბრუნდები, ისევ, უფ. ან. ფურცე-
ლაძე.

VII

ეს ჩვენი ვითომ-მწერალი მწამებს, ვითომ
მე რაღაც საშინელი უპატიოსნო და უსინი-
დისო საქმეები ჩამედინოს ჩემს სიცოცხლეში.
ამასთანავე ის მითათებით მიწერს, ვითომ მე
კუდაბზიკაოპით, მასთან ლაპარაკის დროს,
პისარევი და სხვ. შპიონათ გამომეუყვანოს და
ჩემი თავი კი ისეთ დიდ-რამეთ, რომელსაც
ვითომ ლონდონშიაც უცდიდენ, პარიჟშიაც
უჯერებდენ და სხვ. და სხვ. ერთი სიტყვით

მისი ლაპარაკით მე გამოვიდიარ მარლა რა-
ღაც ცრუ-პენტელათ, ბაქა კუდაბზიკათ და
უკუდო მკვეხნელათ. ვიმოწმებ ყველა ახალ-
გაზდებს, თითქმის ასიოდე კაცს, რომელთა-
ნაც მე ძლიერ ხშირათ ამ საგნებზე მილაპა-
რაკნია; მითქვამს როდესმე ვისმესთვის ამგვარი
რამ თუ არა. და პირდაპირ, აქვე, დარ-
წმუნებით ვაშტკიცებ, რომ ვერცერთი იმათ-
განი ვერ იტყვის — გითქვამსო, რაღა მაინცა
და მაინც ანტ. ფურცელაძეს მივადექი ამის-
თანა თვალ-და-ხელ-შუა ტყუილ სიტყვებით,
და თუ მაინცა და მაინც სიკრონეის მოგო-
ნება მინდოდა, ნუ თუ უფრო დასაჯერებე-
ლი, უფრო ჭკვიანური რაზ ვერ გამოვი-
გონე? —

ეს ერთი მაგრამ ამგარემოებას მე ისე არ
გაუშვებ, სანამ მკითხველს ამავე მაგალითით
არ აუჩსნი, რა ნაირათ შედგება ხოლმე, ზო-
გერთი უტესინოების ან უსინიდისო პირების
დღხმარებით, ძლიერ უბედური და ხეპრული

ცილის-წამება, რომელსაც შემდეგში იქნება
დაჯერებაც და რწმუნებაც მიეცეს.

წარმოიდგინე, მკითხველო, რომ ლიტე-
რატურულ მუსათში მე, ვთქვათ, აი ეს აზრი
გამოვთქვი: მე პისარებს იმიტომ არ ვაფასებ,
რომ იმან, 1862, როცა რუსეთში ხეირიანი
მოძრაობა და უკეთესი მომავლის იმედი იყო,
იმის ქადაგება დაუწყო ახალგაზღიუბას, რომ
„მე რა მენაღვლება ვლეხი-კაცი როგორ
იცხოვდებს, როცა ჩემგან მტკერის მეტი არა-
ფერი დარჩებაო“. წარმოიდგინე, კიდევ, რომ
ამას მე დაუმატე: ამგვარი ქადაგებით იმან იმ
მიმართულებას აენო, რომელსაც ჩვენი სიძ-
პატია ეკუთვნის, იმ მიმართულებას არგო, რო-
მელიც ყოველ პატიოსან კაცს საზიზღარათ
უნდა შიაჩინდესო. ეს ხომ ლიტერატურული
კრიტიკის აზრია, მეტი არაფერის მაგრამ იმ
პირებს შეა, რომელთანაც ეს ლაპარაკი მაქცე,
დაესწრება ვინმე, უფრო ფურცელაძისთანა მხი-
ჭელ-ყურიანი, და სამი-ოთხი წლის შემდეგ

გხვდება აი ეს „ბრალის დადება:“ — შენ სთქვი
პისარევი შპილნი იყოთ.

წარმოვიდგინოთ კიდევ, რომ 1868-ში,
როცა ჩეენში ჟულ-ფავრი და მისი ამხანაგები
თითქმის ყველას გმირათ და გენიოსათ მია-
ჩნდა, შენ აი რა სთქვი: ჟულ-ფავრს ისეთი
მიმართულება აქვს, რომ ის ახალ-მიმართუ-
ლებას, ახალ-ცხოვრების შომხრეებს ხეირს
არ დააყრის, ის დიდ ვნებას მოუტანს საფ-
რანგეთსო; ჩემი აზრით აუცილებლათ საჭი-
როა, რომ მისი გავლენა მოისპოს, სანამ ჩე-
სპუბლიკელი პარტია საფრანგეთის მმართვე-
ლათ არ გახდება. ეს ხომ პოლიტიკური აზრის
გამოთქმაა, მეტი არაფერი? ხომ დამტკიცდა
ამ აზრის გონიერება დღეს? მაგრამ წარმოიდ-
გინე, რომ იმ პირებს შუა, ვისთანაც შენ ეს
აზრი გამოთქვი, ერთი ვინჩე ფურცელაძე იყო,
და „მნათობში“ ხუთი წლის შემდეგ იბეჭ-
დება აი ეს ცილისწამება: — „შენ სთქვი, რომ

ფრანცუზებს ფურჩევდი შულ-ჭავრი და შისი
ამხანაგები ჩამოარჩევთო! *)

წარმოვიდგინოთ, კიდევ, რომ სამზღვარს
გარეთიღამ დაბრუნების ღრმას რაშდენიმე ძვე-
ლმა წაცნობებმა გვითხა—იქაური გაშოჩე-
ნილი პირების ამბავი გვითხარი, ვით ნახე,
ვინ რათა, და შენ აი რა უპანუხდი მე არავინ
არ მინახავს. ერთმა ჩემმა წაცნობმა (ამან და
ამან) კი მითხრა ვისაც გრძნდა გაგაცნობო,
მაგრამ შე არ მინდოდა იმათი გაცნობა! რაც
მათში ჩემთვის გამოსაღები იქნებოდა, იმას
მე იმათ თხზულებიღაშაც შევიძენდი, და ჩემი
თავი იმსთოვის აბა რა საინტერესო ან სასარგე-
ბლო იქნებოდა: ჭკუას ხომ ფურ ვასწავლიდი

*) ეს. უკიკელია თვითონ უფ. ფურცელაძის რჩევაა,
და შარტო შინი უცოდინს რობით აისწერა. ამ რჩევას
მე, აბა, აღიღორ შივუმდი ფრანცუზებს! ფურცელაძე
ხომ არა ფრ, არ ვიცოდე რომ საფრანგეთში ჩამორჩიო
შიორ ტასჭა კწნონით აღქრძალულია და იქაური საზო-
გადობრივი აზრის და ზნების წინააღმდეგია?

იმათო!“ რაა, ამ სიტყვებში ან კუდაბზიკაობა, ან ტრაბახობა? მაგრამ წარმოიდგინე, რომ ამ სიტყვებს უფ. ფურცელაძემაც ყური მოჰკრა, და ი, დღეს როგორი ცილისწამება; გხვდება: შენ სთქოი რომ ლაბულეს კი უნდოდა ჩემი გაცნობა, მაგრამ მე არ ვიკადრეო და სხვ. *)

და სხვ. და სხვ. და სხვ. და სხვ.

ი, ჩემო მკითხველო, როგორ იბადება ცალისწამება, როგორ მზადდება ბრალმდება და როგორ სდგება ჩეენი მოწინააღმდეგების „მსჯელობა“! საზოგადოთ იმათ არაფრის გჯება არა აქვთ, და სჯა, ახრის შედგენა ჭიკველაფერზე უნდათ. მოჰკრავენ რასმე ყურს, ვერ გაიგებენ, გადასხვაფერებენ, წაუმატებ ენ-

*) ალბათ ლაბულე მაშინ და ეხლაც უფ. ანტ. ფურცელაძის „ლმერთი“ ყოფილა. ჩემთვის კი ის 1865 შიც ის დყო, რაც ეხლა მთელი ქვეყნისთვის (ფურცელაძეს გარდა) არის: უფარული უჭარუტიღ ჭიურულება დღეს რეაცენტურულები, ხვალ ბონაპარტისტი, ზეგან ირლეანდელებ და მუდამ კი უდირუკვლილი.

თავიანთ ტეინიდამ მოგონებული ასამე და
გამოდიან ქადაგებით: „სკანდელმა აი რა სთქვა,
მე მითხრა, ბატონიო, ამა და ამ პირების იქ
დასწრებითო!“ და აშის გამგონი (მეტი რა ღონე
აქვს), ფიქრობს: დიდი ცრუ-პენტელა ყოფილა
ეგ სწანდელი ვიღაც არისო! და შედგა „სა-
ზოგადო აზრი“! წალი და ზღიე მერე შენ იმას
კუდში.

რაც შეეხება სხვა პიროვან ცილისწამებას,
ზოგზე მე ზემოთ ეილაპარაკე, და ვინ ცუიტხვა
იცის, ისაძლეილათ დაინახავს რა გვარი იაჩა-
ლისთვის მოუკიდია ხელი უფა. ფურცელაძეს, ეს
ამოდგომის გვერდში და რა პარტიას გამო-
დგომია კუდში. თუმც მე დიახაც საქებრაზ
უნდა მიმაჩნდეს იმისთვის გაზეთის მხრით
გჩნება, რომელსაც ანტ. ფურცელაძე ასახე-
ლებს, თუმც მე დიახაც უნდა ვამპარტვანობ-
დე, რომ ნაგინები ვარ იშვირების თანასწო-
რათ, რომელთაც ვერაფერი ტალახი და ვერა-
ფერი ფურცელაძე ვერ გათქებს, მაგრამ, ჩვეუ-
ნი ქართული მწერლობის გულისთვის მე—ზე-

მოთ ნათქვამის გარდა, აი რას ეუპასუხებ უფ. ფურცელაძეს.

თუ იმას ერთი ოდნათ მაინც სჯერა ის, რაც თეითონ დაუწერია და დაუბეჭდია ჩემზე თავის სტატიაში, თუ იმას მართლა ჰეონია, რომ მე უპატიოსნო კი არა, ცოტაოდნათ ძა-გების ღირსი ვარ, პიროვანი მხრით, თუ იმას მართლა ის აზრი აქვს გულში, რომ ჩემ სა-ზოგადობრივ მოქმედებას პიროვანი მიზანი აქვს, გამობრძანდეს, განიხილოს მთელი ჩემი ცხოვრება, შეკრიბოს რაც უნდა ცნობები, ჭირები და ხმები და მითითებით, ტითოეული ჩემი მოქმედების დასახელებით და აწერით დაუმტკიცოს საზოგადოებას ჩემი უსინილი-სობა ან უფარგისობა, თუ ბიჭია, თუ უმ' გავსი ცილისმწამებელი არ არის, გამოვიწევთ რომ ამ გვარი საბუთიანი, საფუძველიანი გამოძიე-ბით და გამოკვლევით დაამტკიცოს თავისი უსაფუძველო აზრი, ვითომ მე ძაგების ღირსი ვიყო. თუ იმას „მნათობი“ აღარ აქვს, თუ იმას ცხლკე წიგნათ ბეჭდვა არ შეუძლია

გაგვინდსნია იმისთვის „კრებულის“ ფურცლები. ჩვენ მის წარერს ამ საგანზე, რაგინდეს უმსგავსო და სასტიკი ცილისწამებით და დაბრალებებით იყოს ის გაესებული, ხელ-უხლებლათ, შეუცვლელათ, სრულათ დაებეჭდავთ. მობრძანდეს, აბა, და დაუმტკიცოს თავისი აზრი ჩვენს მკითხველებს, წარმოუდგინოს იმათ მისი დამამტკიცებელი ჭაკტები, და ვნახოთ, მაშინ, რამოღნათ საფუძვლიანი, რა მოღნათ სინიდისიანია მის მხრით ჩვენი ლანძღვა, და გინება.

სიტყვას ვაძლევთ, რომ არც ერთ მის ცილისწამებას მე უპასუხოთ არ დაესტოვებ, არც ერთ ჭაკტზე არ ვრტყვიან ეს ჩემ შინაურ ცხოვრებას ეკუთვნის, არც ერთხე არ ვიხმარ მის წინააღმდეგ თანასწორ იარაღს, არც ერთი სიტყვით მის საკუთარ კერძოობით ცხოვრებას არ შევეხები, და არც არასოდეს არ ვაძაგებ იმას იმის გულისთვის, რომ ის კი ჩემ კერძო ცხოვრებას და პირად ხასიათს შევხო. ამ პირობებით ნებას ვაძლევ

გასინჯოს მთელი ჩემი წარსული, თითოეული ჩემი წაბიჯი და უაშბოს, როგორც ისურვებს, რაგინდ სასტიკი ძაგებით ან გინებით იყოს, ჩვენ მკითხველ საზოგადოებას. ყველა ფერს დაუბეჭდავთ, ყველაფერზე ახსნას და პასუხს მივცემთ და შეკითხველმა მაშინ გასინჯოს საქმე და სჯა დაადგინოს,

მაგრამ თუ უფრო ფურცელაძე ამ ჩემ გამოწვევაზე ხმა არ ამოიღო, თუ ამ ჩემ წინა დადებას არ დაეთანხმა, სრული ნება მექნება ვთქა იმაზე, რომ ის იეზუიტური ჩვეულებების შემოღებას ცდილობს ჩვენს მწერლობაში და უსინიდისოთ, უსაფუძვლოთ, პიროვანი გრძბრაზების გამო, უშეერის ცილისწამებრთ გვიხდის ჩვენს საშინელ და გამოუთქმელ შეცოდებას, რომ „კრებულში“ მისგან მოძღვნილი „ქიტესა“ არ დავწეჭდეთ.

სანამ უფრო ფურცელაძე ამ ჩვენს გამოწვევას არ შიღღებს, იმას ჩვენგან, კუდაბზიკას. სამაგიეროთ, იეზუიტი დონ-ბაზილის სახელი მიერომევა. ამ სახელს ჩვენ და შეკით-

ხეელი საზოგადოება იმას მარტო მაშინ ახ-
სნის, როცა ჩემი ნამდვილი, საფუძვლიანი გა-
მოაშეკარავებით ის მართლა დააშტკიცებს, რომ
მართლა დარწმუნებულია იმაში, რასაც ჩემზე
სწერს და მეჭდავს.

დამავიწყდა. „ჩემის მწერლობაში“ ფურ-
ცელაძის შესახებ მე აი რა დავწერე შარშან:

„რა აზრი უნდა იქონიოს კაცმა იმ მწერალზე, რომე-
ლსაც არ შეუძლია წარმოიდგინოს სხვაში ან გულ-
წრფელი და პატიოსანი შრომის სურვილი, ან უანგა-
რო სიყვარული საზოგადო სიკეთისა, და რომელიც
ყოველ მწერალში ხედავს მხოლოდ ხარბ, უსინიდისო
და უპატიოსნო კაცს? ამისთანა მწერალზე კაცმა უნდა
იფიქროს, რომ თუ იმას პატიოსნების წარმოდგენა არ
შეუძლია, ეს იმას ნიშნავს, რომ პატიოსნობის გაგება
არა აქვა, რადგანც კაცი მარტო იმას იგებს და კნობს
სხვაში, რასაც თვითონ გრძნობს და რაც თვითონვე
აქვს.“

დღეს უფრო ფურცელაძე გვამტყუნებს ჩემ
იმაში, რომ ეს აზრი ჩემი დობროლიუბოვის

თხზულებებიდამ ამოგვიწერია, და იმ ადგილსაც
გვითითებს სადაც დობროლიუბოვი თითქმის
სიტყვა-სიტყვით ამავე აზრს გამოთქვამს. გუ-
ლითად მაღლობას უძლენით უფ. ფურცელა-
ძეს ამ გახსენებისა და გამტყუნებისთვის!—
დიახ, მკითხველო, ეს აზრი, რომელიც ეხლა
წერილი ასოებითაა დაბეჭდილი, გამოუთქვამს
იმისთანა პატიოსანს, გონიერს, ნიჭიერს და
თავგამომეტებულ მწერალს, როგორც დობ-
როლიუბოვი, იმ პირის წინააღმდეგ, რომე-
ლიც თუმც თვითონ კვარტლათ იყო, მაგ-
რამ *Современникъ*, ის მწერლებზე კი ბეჭდდა უ-
პატიოსნები ირიანო. დიდი მაღლობელი ვართ
უფ. ფურცელაძის, რომ ამ ჩვენს სიტყვებს
იმან დობროლიუბოვის მაგალითი და ავტო-
რიტეტი მიანიჭა.

მაშ ნახეამდის, უფ. ფურცელაძე!

ნ. სკანდელი.

ხელის-მოწერა „კრებულზე“

1873 წლის

გაუგზავნელად. გაგზავნით.

ერთი წლით —	5 მ.ნ.	6	"
ნახევარი წლით —	2. 50.	3	"
თითო წიგნი —	" 50	" 60.	

„დროება“ და „კრებული“ ერთათ ელიტება: ერთი წლით 9 მანეთი და ნახევარი წლით 5 მანეთი.

ხელის-მოწერა მიიღება

თუ ილი ს ში: „კრებულის“ ან „დროების“ რედაქციის კანტორაში, სოლოლაკზე სოლომონ მირიმანოვის სახლებში. აგრეთვე ივანოვის ბიბლიოთეკაში.

ქუთაისში: გ. კალანდარიშვილთან, სასულიერო სახწავლებელში, და ს. მესხესას, სილაზე.

„კრებულის“ რედაქცია.

(გამოიცა 30 აგვისტო 1873)

157. ~~Aug~~ Brz. 1882

Phragmites
2000 ft. 22 Abayama

3895
1873